

K 207969
30v

საქართველო



ქართული
ლიბრარიონი

საქართველოს
პარლამენტის
პეჩის
ქალაქის



ნ. ცერცვაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურული ვაზის კლასიფიკაცია

სტრუქტურა - 2000
შენიშვნა



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“
თბილისი — 1989

42.36 (2r)
634.8 (479.22)
ც 442

634.8 (c922)



ეროვნული

ბიბლიოთეკა

6. ცერცვაძე. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
თბ.: საბჭოთა საქართველო, 1989. გვ. 96. ილ.

წიგნში მოცემულია ქართული ვაზის ჯიშების ნიშან-თვისებათა
საშუალო მაჩვენებლები და მათი მოდიფიკაციური ცვალებადობის
შესწავლის მასალები; დადგენილია ქართული ვაზის ჯიშების ეკო-
ლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში მორფოლოგიურ ნი-
შანთა და ბიოლოგიურ თვისებათა კავშირები; დაზუსტებულია ქარ-
თული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია, მასში შეტანილია სათანადო
კორექტივები.

K 207-969
708

3803030500 — 085

II — 94 — 89

M601(08) — 89

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

ISBN 5-529-00215-3

ს.კ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის
ჩატარების მიზნები და ამოცანები

ვაზის ჯიშობრივი ფონდის მოწესრიგება, სინონიმების გამოვლენისა და ჯიშური სისწორის დადგენასთან ერთად, გულისხმობს ეკოლოგიურ-გეოგრაფიული კლასიფიკაციის საკითხების დაზუსტებას.

ქართული ვაზის ჯიშები ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

დომინანტური გენებით მდიდარი და ფენოტიპურად მრავალფეროვანი, განსხვავებული საწყისი მასალიდან წარმოშობილი ვაზის აბორიგენული ჯიშების სორტიმენტი ძირითადად ლოკალიზებულია ცალკეულ ენდემურ, იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში.

ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვან სორტიმენტში გარკვევის პირველი ცდაა ფ. კოლენატის (1846) ნაშრომი, სადაც აბორიგენული ჯიშები ორ ნაირსახეობადაა გაყოფილი.

ი. ანდრაზოვსკიმ მისივე შედგენილი კულტურული ვაზის სისტემატიკაში ქართული ვაზის ჯიშები მიაკუთვნა სახეობებს: *V. mediterranea* და *V. byzantina*.

აღსანიშნავია, რომ ავტორის მიერ ქართული ვაზის ჯიშების კონკრეტული სორტიმენტის სუსტად ცოდნამ იგი მიიყვანა მთელ რიგ არასწორ დასკვნამდე. მაგალითად, *V. byzantina*-ს სახეობის შემადგენლობაში, რომლის არეალი, მისი აზრით, მოიცავს დასავლეთ აზიას, გაერთიანებულია მხოლოდ ვაზის ისეთი ჯიშები, რომელთაც ახასიათებთ ფოთლის სუსტი შებუსვა და მომრგვალო ფორმის მარცვალი.

ქართული ვაზის ჯიშების ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ფოთლის ძლიერი, ქეჩისებრი შებუსვა, მომრგვალო და წვნიანი მარცვალი და სხვ.) ი. ანდრაზოვსკის სისტემატიკაში ფიგურირებს მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის აუზის რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშების ჯგუფში *V. mediterranea*.

ა. ნეგრულმა (1946) ქართული ვაზის ჯიშები განერთიანა *pr. pontica*, subpr. *Georgica* ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფში. ამავე დროს ამ ჯგუფში მან საკმაო რაოდენობით ჯიშებიც, რომლებსაც არა აქვთ ამ ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ნაწილი ქართული ვაზის ჯიშისა მექანიკურად მიკუთვნებულია სხვა (დასავლეთის ან აღმოსავლეთის) ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს.

ამრიგად, ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია საბოლოოდ არ არის დაზუსტებული.

განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვანი ტიპების არსებობა საშუალებას იძლევა აღნიშნული ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის შემდგომი დაზუსტების და ლოკალიზებული ქვეჯგუფების გამოსაყოფად.

ქართული ვაზის ჯიშები, იმყოფება რა ვაზის ორი, სხვადასხვა ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფის, ერთი მხრივ, ძლიერად შებუსუსული და, მეორე მხრივ, შიშველფოთლიან მცენარეთა გავრცელების არეალების მიჯნაზე, ორივე მათგანთან ამჟღავნებს ურთიერთობის ნიშნებს და მათი სისტემატიზაცია საჭიროებს შემდგომ დაზუსტებასა და დეტალიზაციას.

ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებს შიგნით არ ჩატარებულა მუშაობა ახლომდგომი ჯიშების — ჯიშტაპებისა და ჯიშჯგუფების გამოსაყოფად და მათ შორის ურთიერთობათა დასადგენად.

ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციას ექნება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა — იგი მოგვცემს საშუალებას უფრო სრულად გამოვიყენოთ ჯიშური რესურსები, შევიტანოთ გარკვეული წესრიგი არსებულ სორტიმენტში, დავაზუსტოთ ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფი *pr. pontica*, subpr. *Georgica* და დავსაზოთ სწორი გზა შემდგომი სელექციური მუშაობის წარმართვისათვის.

ამგვარად, მუშაობის ძირითადი მიზანია ქართული ვაზის ჯიშებს შორის მცირე განსხვავებების გამოვლენა, ცალკეულ ჯგუფებში შემავალი ჯიშების სავსებით ნიშან-თვისებების დადგენა, ჯიშტაპების (სავსებით საწყისიდან წარმოშობილი ჯიშების) და ჯიშჯგუფების (ვეგეტატიური ცვალებადობის შედეგად წარმოშობილი ჯიშები) გამოყოფა და ქართული ვაზის ჯიშების არსებული კლასიფიკაციის შემდგომი დაზუსტება.

კვლევის ამოცანა:

1. ქართული ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული დახასიათება. ჯიშების აღწერა წარმოებდა ერთიანი მეთოდით. გათვალისწინებული იყო ცალკეული ნიშან-თვისებების მოდიფიკაციების ლეზალობა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელოვანი ურთიერთშედარებისას.

მეორე მხრივ, სტაბილური, ნაკლებად მოდიფიცირე ნიშან-თვისებების გამოსაყოფად და მათ გამოსაყენებლად ჯიშების კლასიფიკაციაში, ერთი და იგივე ჯიშები ისწავლებოდა სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში;

2. ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიური პლასტიკურობის შესწავლა;

3. ქართული ვაზის ჯიშების მორფოლოგიური ნიშნებისა და ბიოლოგიური თვისებების ურთიერთკავშირების დადგენა ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში;

4. ქართული ვაზის ჯიშების არსებული კლასიფიკაციის დაზუსტება და გარკვეული კორექტივების შეტანა.

მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს მეზალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საკოლექციო ვენახებში.

ჩატარდა სადღეისოდ ფიქსირებული 291 ქართული ვაზის ჯიშის ამპელომეტრული ანალიზი. მათ შორის კახური ვაზის ჯიშებია 61, ქართლის—38, იმერეთის—51, რაჭის—39, სამეგრელოს—15, გურიის—20, აჭარის—22, აფხაზეთის—28, გაურკვეველი წარმოშობისა—17.

ა) ჯიშების ამპელოგრაფიული დახასიათება წარმოებდა „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის“ (1946) რედაქციის მიერ დამტკიცებული და ამპელოგრაფიული კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-მეთოდურ სხდომაზე (1960) მიღებული ერთიანი მეთოდით.

ბ) ამპელომეტრული შესწავლა: გამოყენებული იყო თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერების მიერ დამუშავებული ბიომეტრული მეთოდები, რომლებიც მოიწონა 1965 წლის საკავშირო-სამეცნიერო სხდომამ.

მასალა მათემატიკურად დამუშავდა ა. საპეგინის (1929), დ. სნედეკორის (1961), ნ. პლოხინსკის (1970), ბ. დოსპეხოვის (1965) მეთოდებით.

თითოეულ ვაზის ჯიშზე ისწავლებოდა 7 რაოდენობრივი და 15 ხარისხობრივი მაჩვენებელი. თითოეულიდან ვიღებდით სამუალო იარუსის 50 ფოთოლს, 100 მტევანს და 100 მარცვალს. რომლებზეც ვაზომვის შედეგად ისწავლებოდა: ფოთოლი — სიგრძე, სიგანე, სიგრძის შეფარდება სიგანესთან, დანაკვეთის ხაზის რაოდენობა, ზედაპირის ხასიათი, ყუნწისა და გვერდითი ამონაკვეთების ფორმა, შებუსვის ტიპი; ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვის ტიპი; მტევანი — სიგრძე, სიგანე, ფორმა, სიმკვრივე, მზრიალობა ან ფრთიანობა; მარცვალი — სიგრძე, სიგანე, ფორმა, შეფერვა; ყვავილი — ტიპი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი, სამეურნეო მიმართულება, ვაზის ზრდის ღონე.

ყველა მონაცემი დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით.

გ) მოდიფიკაციური და მემკვიდრული ცვალებადობა: ისწავლებოდა ვაზის ჯიშების ბოტანიკური ნიშნებისა და ბიოლოგიური თვისებების ცვალებადობა როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში. მიღებული ექსპერიმენტული მასალა დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით. გარდა ზემოაღნიშნული მეთოდებისა, მიღებული მასალა დამუშავდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მათემატიკური სტატისტიკის სექტორში (გ. ბერიშვილი, გ. სოხაძე).

გამოვლენილია მკირედ და ძლიერად ცვალებადი ნიშან-თვისებები, გამოყოფილია შედარებით ფართო ეკოლოგიური პლასტიკურობის მქონე ვაზის ჯიშების ჯგუფები.

ფარული, რეცესიული ნიშნების არსებობის დასადგენად, ჩატარებულია ორსქესიანი ჯიშების თვითდამტვერვა და ფუნქციურად მდებრობითი ყვავილის მქონე ჯიშების შეჯვარება ერთ ჯიშთან — რქაწითელთან.

მიღებული თესლნერგები შესწავლილია მორფოლოგიურ ნიშანთა ურთიერთშედარების გზით. რეცესიული გენების ჰომოზიგოტები გამოირჩევიან ფენოტიპურად.

დ) ტაქსონომია: ჩატარებულია მუშაობა ჯიშების მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისებათა გამოსაყოფად. ჯიშები დაჯგუფდა ჯიშტიპებად და ჯიშჯგუფებად. მასალის მათემატიკური დამუშავებისას გამოყენებულია ბ. დოსპეხოვის (1965), ნ. პლოხინსკის (1970), დ. სნედეკორის (1961), ა. საპეგინის (1929), პ. ტერენტევის (1960) მეთოდები. საფუძვლად დაედო გ. ბერიშვილის (1979) ფორმულები.

ვაზის ჯიშების განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში შესწავლის შედეგად გამოყოფილია ნაკლებცვალებადობის მქონე ნიშნთვისებები.

ტაქსონომიაში გამოყენების თვალსაზრისით აღნიშნული ნიშნთვისებები გავანაწილეთ შემდეგი თანამიმდევრობით (10-ბალანი სისტემით): ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა—10; ფოთლის ფირფიტის დანაკვეთა — 9; მარცვლის ფორმა — 9; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—8,5; მტევნის ფორმა—8; ყურძნის სამეურნეო მიმართულება—8; ახალგაზრდა ყლორტის შებუსვის ტიპი—8; მტევნის სიმკვრივე—7; ყვავილის ტიპი—7; ფოთლის სიგრძის შეფარდება სიგანესთან—7; მარცვლის შეფერვა—6, მტევნის სიგრძე—6; მტევნის სიგანე—6; მარცვლის სიგრძე—5,5; მარცვლის სიგანე—5,5; ფოთლის სიგრძე—5; ფოთლის სიგანე—5; ვაზის ზრდის ღონე—5; ფოთლის ყუნწისა და გვერდითი ამონაკვეთების ფორმა—4; ფოთლის ფირფიტის ზედაპირის ხასიათი—3.

მანძილი ჯიშებს შორის, რაოდენობრივი მაჩვენებლებით, განისაზღვრებოდა ფორმულით:

$$r_{x_i}^2(\alpha, \beta) = \left[\frac{x_i(\alpha) - x_i(\beta)}{\alpha_i} \right]^2.$$

მანძილები ხარისხობრივი მაჩვენებლებით კი:

$$r_{y_j}^2(\alpha, \beta) = \frac{1}{2} \sum_{k=1}^{n_j} (y_j^k(\alpha) - y_j^k(\beta))^2.$$

საბოლოოდ ჯიშებს შორის მანძილები გამოითვლებოდა ფორმულით:

$$R^2(\alpha, \beta) = \frac{1}{\sum_{j=1}^{m_x} P_{x_i}^2 + \sum_{j=1}^{m_y} P_{y_j}^2} \left[\sum_{i=1}^{m_x} r_{x_i}^2(\alpha, \beta) \cdot P_{x_i}^2 + \sum_{j=1}^{m_y} r_{y_j}^2(\alpha, \beta) \cdot P_{y_j}^2 \right].$$

სადაც:

α და β შესადარებელი ჯიშების ნომრებია,

i — რაოდენობრივი მაჩვენებლის ნომერი,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ix — რადენობრივი მაჩვენებლები,
- j — ხარისხობრივი მაჩვენებლის ნომერი,
- my — ხარისხობრივი მაჩვენებლები,
- nj — j — ხარისხობრივი მაჩვენებლის „ალტერნატივის“ ოდენობა,

xi (a) — i რადენობრივი მაჩვენებლის მნიშვნელობა a ჯიშისათვის.

yi (a) — ხარისხობრივი მაჩვენებლის „ალტერნატივის“ ნაწილის მნიშვნელობა a ჯიშისათვის.

Pxi — i რადენობრივი მაჩვენებლის წონა.

Pyi — j ხარისხობრივი მაჩვენებლის წონა.

ჯიშებს შორის მანძილების განსაზღვრისა და ჯიშების დაჯგუფების შემდეგ თითოეული ჯგუფისათვის მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

1. ჯგუფის სიმძიმის ცენტრი (ეტალონი),
2. დისპერსიის ჯამი,
3. ჯგუფის დისპერსია თითოეული მაჩვენებლისათვის,
4. მანძილების მატრიცა ჯგუფის ელემენტებს შორის,
5. მანძილების მატრიცა ჯგუფის ცენტრებს შორის,
6. ჯიშების მთლიანი შემადგენლობის საშუალო სიდიდეები და დისპერსია.

დაჯგუფების შემდეგ მიღებულია მსგავსი ჯიშების ჯგუფები და შედგენილია მათი კლასიფიკაცია.

ე) ჯიშების სარკვევის შედეგადა: ჩვენ მიერ შედგენილი სარკვევი აგებულია პოლიტომიურ პრინციპზე და გამოირჩევა დამახასიათებელი თავისებურებებით.

უმეტესი ქართული ვაზის ჯიშების ძირითად ნიშან-თვისებათა დიდი მსგავსების გამო, ძირითადად ვიმუშავეთ შედარებით მცირერიცხოვანი მსგავსი ჯიშების ჯგუფების გამოსაყოფად, რისთვისაც რკვევის პირველ ეტაპზე გამოვიყენეთ რამდენიმე წრიული გასაღები.

შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტილია აგრეთვე ცვალებადი ნიშან-თვისებების გამოყენების პრობლემაც.

ქართული ვაზის ჯიშების ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები

ჯიშების შედარებითი ამპელოგრაფიული ანალიზის ჩატარების კრიტერიუმად აღებულია ნიშან-თვისებათა დაყოფა სპეციალური რუბრიკაციით, საფუძვლად—საშუალო სიდიდიდან მაქსიმალური

გადახრა, ხოლო ჯგუფის დამახასიათებლად ის ნიშან-თვისებები, რომლებიც ყველაზე მეტად განასხვავებენ აღნიშნულ ჯგუფს სხვებისაგან.

ეროვნული

ქართული ვაზის ჯიშები, რომლებიც გაერთიანებულია *pontica subproles Georgica* Negr. ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფში, ხასიათდება საერთო, ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით:

ფოთოლი ძირითადად საშუალო და დიდი ზომის, მომრგვალო, სუსტად და საშუალოდ დანაკეთული, უმეტესად ძლიერად და საშუალოდ შებუსული; ყვავილის ტიპი—უმეტესად ორსქესიანი, ხოლო დაახლოებით ერთ მეხუთედ შემთხვევაში ფუნქციურად მდედრობითი. მტევანი — საშუალო ზომის, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმისი; მარცვალი—საშუალო ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საშუალო და საგვიანო, ძირითადად საღვინე მიმართულების; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ძლიერი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ფორმათწარმოქმნის კერებში წარმოშობილი ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდება კონცენტრირებული, სტაბილური, მემკვიდრული ნიშან-თვისებებით.

ქვემოთ მოგვყავს ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფების ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ვარიირების ანალიზი.

აფხაზეთის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვის ტიპი ჯიშების უმრავლესობისათვის (79%) ქეჩისებრია, უმცირესობისათვის (21%) — აბლაბუდისებრი; ფოთოლი — დიდი ზომის, მომრგვალო, ჯიშების ნახევარზე მეტის ფოთოლი ძლიერად შებუსული, სუსტად დანაკეთული, გვერდითი ამონაკეთები ან სულ არ აქვს, ან შეჭრილი კუთხისებრი; მტევანი — საშუალო ზომის, ძირითადად კონუსური, გვხვდება ცილინდრულ-კონუსური და უფრო იშვიათად ცილინდრული მტევნებიც; მარცვალი — საშუალო ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, იშვიათად ოვალური, უმეტესად შავი ან ვარდისფერი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საგვიანო ან ძლიერ საგვიანო, უმეტესად საღვინე მიმართულების; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი უფრო იშვიათად საშუალო.

სამეგრელოს ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი — ძლიერად, ქეჩისებრად შებუსული; ფოთოლი — დიდი ზომის, მომრგვალო, ძი-

რითადად სუსტად დანაკვთული, ფოთლის ქვედა მხარის შებუსხვა ძლიერი; ქეჩისებრი; მტევანი — საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად კონუსური ან ცილინდრული, სამუქრო სიკუმსის უმხრო; მარცვალი — საშუალო ზომის, მომრგვალო-ოვალური, უფრო იშვიათად ოვალური; შეფერვა ერთნაირად ან შავი, ან თეთრი. ძირითადად სიმწიფის საგვიანო პერიოდის და საღვინე მიმართულებისა; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო, უფრო იშვიათად ძლიერი.

აჭარის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—ძირითადად (77) ქეჩისებრად შებუსხული, გვხვდება აბლაბუდისებრად (18) შებუსხული და ძალიან იშვიათად შეუბუსხავი (5); ფოთოლი—დიდი ზომის, მომრგვალო, სუსტად, იშვიათად საშუალოდ დანაკვთული, შებუსხული ძლიერად ქეჩისებრად ან უფრო იშვიათად აბლაბუდისებრად; მტევანი—საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური და კონუსური, ძირითადად უმხრო, გვხვდება დატოტვილი. მარცვალი — საშუალო ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, იშვიათად გვხვდება ოვალური მარცვლებიც, მარცვლის შეფერვა უფრო მეტად შავი და წითელი, უფრო იშვიათად თეთრი. აჭარის ვაზის ჯიშები, როგორც წესი, სიმწიფის საგვიანო პერიოდის და საღვინე მიმართულებისა, უფრო იშვიათად გვხვდება სასუფრე მიმართულების ჯიშებიც; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ძლიერი.

იმერეთის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—ქეჩისებრად (86) და აბლაბუდისებრად (12) შებუსხული, იშვიათად (2) შეუბუსხავი; ფოთოლი — დიდი ზომის, მომრგვალო, ნახევარჯერ სუსტად დანაკვთული, ერთ მესამედ შემთხვევაში საშუალოდ დანაკვთული, გვხვდება ძლიერად დანაკვთულიც; შებუსხვა ძლიერი, ქეჩისებრი, უფრო იშვიათად აბლაბუდისებრი; მტევანი — საშუალო ზომის, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, უმეტეს შემთხვევაში საშუალო სიკუმსის და უმხრო; მარცვალი — მომრგვალო, იშვიათად მომრგვალო-ოვალური და ოვალური; შეფერვა უმეტესად შავი და წითელი, ჯიშების ერთი მესამედი თეთრი ფერის მარცვლით ხასიათდება; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო, მაგრამ გვხვდება ძლიერი ზრდის ღონის ჯიშებიც.

გურიის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—ქეჩისებრად შებუსხული; ფოთოლი—დიდი ზომის, მომრგვალო, სუსტად, უფრო იშვიათად საშუალოდ დანაკვთული, ქეჩისებრად შებუსხული, იშვიათად

კი აბლაბუდისებრად შებუსული; მარცვალი — საშუალო ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, ხანდახან ოვალური, უმეტესად შავი ფერის; სიმწიფის პერიოდი—საგვიანო და ძლიერ საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება—ძირითადად სასაფრეო; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

რაქა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—ძირითადად შებუსულია ძლიერი ქეჩისებრი ბუსუსებით: ფოთოლი — დიდი ზომის, მომრგვალო, სუსტად და საშუალოდ, იშვიათად ძლიერად დანაკვეთული, ძლიერად ქეჩისებრად და საშუალოდ აბლაბუდისებრად შებუსული, იშვიათად გვხვდება შეუბუსავი ფოთლებიც; მტევანი — საშუალო ზომის, კონუსური, ცილინდრულ-კონუსური და იშვიათად ცილინდრული, უმეტეს შემთხვევებში საშუალო სიკუმსის, უმხრო; მარცვალი — მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საშუალო და საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და იშვიათად ძლიერი.

ქართლის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—უმეტესად (53) აბლაბუდისებრად, შედარებით ნაკლებად (45) ქეჩისებრად შებუსული, ძალიან იშვიათად (3) შეუბუსავი; ფოთოლი დიდი ზომის, მომრგვალო, თითქმის ერთნაირად სუსტად, საშუალოდ და ძლიერად დანაკვეთული, უმეტესად შეუბუსავი, მაგრამ გვხვდება ძლიერად ქეჩისებრად და საშუალოდ აბლაბუდისებრად შებუსული ფოთლებიც; მტევანი — საშუალო ზომის, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმსის, უმხრო; მარცვალი — საშუალო ზომის, უმეტესად მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, მაგრამ საკმაოდ ხშირად ოვალური, მარცვლის შეფერვა როგორც თეთრი, ისე შავი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—უმეტესად საშუალო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე და სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

კახეთის ვაზის ჯიშები: ახალგაზრდა ყლორტი—უმეტესად (76) ქეჩისებრად, უმცირეს შემთხვევებში (16) აბლაბუდისებრად შებუსული, ძალიან იშვიათად (7) შეუბუსავი; ფოთოლი—დიდი ზომის, მომრგვალო, თანაბრად სუსტად, საშუალოდ ან ძლიერად დანაკვეთული, ფოთლის შებუსვა ძლიერი ქეჩისებრი და საშუალო აბლაბუდისებრი, უფრო იშვიათად გვხვდება შეუბუსავი ფოთლებიც; მტევანი—საშუალო ზომის, ნახევარჯერ კონუსური, ერთ მესამედ შემთხვევაში ცილინდრულ-კონუსური, ძირითადად საშუალო სიკუმსის, უმხრო;

მარცვალი—საშუალო ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, იშვიათად ოვალური, ნახევარზე მეტჯერ თეთრი ფერის; ყერძის სიმწიფის პერიოდი, როგორც წესი, საშუალო; პროტეინების შემცველი ნივთიერების შემცველობა—ძირითადად საღვინე, თუმცა ნაკლებად გვხვდება სასუფრე ვაზის ჯიშებიც: ვაზის ზრდის ღონე—უმეტესად საშუალო, იშვიათად ძლიერი.

ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ჯგუფების ძირითადი ნიჟან-თვისებები

ფოთლის შებუსვის ტიპი და ხარისხი განაწილებულია ქართული ვაზის ცალკე ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად: ძლიერი ქეჩისებრი შებუსვით ხასიათდება სამეგრელოს (100%), დიდი ნაწილი იმერეთის (74), გურიის (71), აგრეთვე აჭარის (59), რაჭის (55), აფხაზეთის (52), ნაწილობრივ კახეთის (44) და ქართლის (30%) ვაზის ჯიშები.

აბლაბუდისებრი შებუსვა, ქართული ვაზის ჯიშების სხვადასხვა ჯგუფში ვარიირებს 0-დან 38%-მდე. აბსოლუტურად არ გვხვდება სამეგრელოს ვაზის ჯიშების ჯგუფში, ძალიან ცოტაა (17%) იმერეთის ჯიშებში. ასეთივე ტიპის შებუსვა გვხვდება ქართლის (23), გურიის (29), აჭარისა და რაჭის (33), აფხაზეთისა და კახეთის (38%) ჯიშებში.

შეუბუსავი ფოთოლი არ გვხვდება სამეგრელოსა და გურიის ჯიშებში, ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით არის აჭარისა და იმერეთის (9), აფხაზეთის (10), რაჭის (12), კახეთის (18) და ქართლის (46%) ჯიშებში. ამგვარი ტიპის შეუბუსავი ფოთლები შედარებით მეტი რაოდენობითაა ქართლის ვაზის ჯიშების ჯგუფში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ასეთი ვაზის ჯიშების ახალგაზრდა ყლორტი უმეტესად აბლაბუდისებრია (შეუბუსავი ახალგაზრდა ყლორტი გვხვდება ქართული ვაზის ჯიშების მხოლოდ 0,02—0,07%-ში), ზრდადასრულებული ფოთლები კი შეუბუსავი.

ფოთლის ფირფიტის დანაკვეთვა. სუსტად დანაკვეთული და დაუნაკვეთავი ფოთლები ახასიათებს აფხაზეთის (98%), სამეგრელოს (85), აგრეთვე აჭარის (71) და გურიის (68%) ვაზის ჯიშებს. რაჭისა და იმერეთის ვაზის ჯიშებში ასეთი ფოთლები თითქმის ნახევარია, შესაბამისად 61% და 51%. აღმოსავლეთ საქართველოს—კახეთისა და ქართლის ვაზის ჯიშებში კი დაუნაკვეთავი და სუსტად დანაკვეთული ფოთლები მხოლოდ ერთი მესამედია — 35% და 34%.

საშუალოდ დანაკვეთული ფოთლის ფირფიტა, ქართული ვაზის ჯიშებში გვხვდება უფრო იშვიათად, ქართლისა და კახეთის ვაზის ჯიშებში კი 41% და 36%-ია. დასავლეთ საქართველოს ჯიშებიდან ასეთი ფოთოლი აქვთ იმერეთის (37%), გურიის (32%), აჭარის (23%) ჯიშებს, ყველაზე მცირე პროცენტი სამეგრელოსა და აფხაზეთის (2%) ვაზის ჯიშების ჯგუფებშია.

ძლიერად დანაკვეთული ფოთოლი ქართული ვაზის ჯიშებში კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება და ისიც უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშების ჯგუფებში, კახეთისა (29) და ქართლის (25%) ჯიშებში. ძალიან ცოტაა ასეთი ფოთლები რაჭისა (13) და იმერეთის (12%) ჯიშების ჯგუფებში. არ გვხვდება ან პრაქტიკულად უმნიშვნელო რაოდენობითაა აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ჯიშებში.

მარცვლის ფორმა. ქართული ვაზის ჯიშებისათვის დამახასიათებელია მომრგვალო და მომრგვალო-მოოვალო მარცვალი, უმეტეს შემთხვევაში, პრევალირებს რაჭის (95%), სამეგრელოს (87), აჭარის (85), აფხაზეთის (82), იმერეთის (80%) ჯიშებში. ასეთი მარცვალი ოდნავ ნაკლებია კახეთის (75%), ქართლისა (74) და გურიის (79%) ვაზის ჯიშებში.

ოვალური მარცვალი ქართული ვაზის ჯიშებში გვხვდება უფრო იშვიათად, გურიის (19%), ქართლის (23), კახეთის (21), იმერეთის (19), აჭარის (16), აფხაზეთის (14), სამეგრელოსა (13) და რაჭის (4%) ჯიშებში.

მარცვლის წაგრძელებული ფორმა, საერთოდ, უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ქართული ვაზის ჯიშებში და ცალკეული ჯგუფების მიხედვით ვარიირებს 1—4%-მდე. მარცვლის ასეთი ფორმა სრულიად არ არის სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშებში.

მარცვლის გრძელი ფორმა, ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიურ ჯგუფში არ გვხვდება, გამონაკლისის, ერთეული შემთხვევების სახითაა (2%) კახეთის ვაზის ჯიშებში.

მარცვლის ზომა. ქართული ვაზის ჯიშების მარცვალი ძირითადად საშუალო ზომისაა.

მარცვლის შეფერვა. ქართული ვაზის ჯიშების უმეტესობის მარცვალი ძირითადად შავი ფერისაა. გამონაკლისია კახეთის ვაზის ჯიშების ჯგუფი, სადაც მეტია თეთრი ფერის მარცვალი.

მარცვლის შავი და ვარდისფერი შეფერვა ჭარბობს აფხაზეთის

(79%), გურიის (81), აჭარის (73), რაჭის (69), იმერეთისა (61) და სამეგრელოს (60%) ჯიშებში. ქართლის ვაზის ჯიშებში იგი თითქმის ნახევარია (54%).

მარცვლის ნაცრისფერი შეფერვა ქართული ვაზის ჯიშებში იშვიათად გვხვდება (2—4%). იგი სულ არაა იმერეთის, აჭარისა და გურიის ვაზის ჯიშებში.

მტევნის ზომა. ქართულ ვაზის ჯიშებს ახასიათებს ძირითადად საშუალო ზომის მტევანი.

მტევნის ფორმა. ქართული ვაზის ჯიშებისათვის უფრო დამახასიათებელია კონუსური და ცილინდრულ-კონუსური მტევნები.

კონუსური მტევნები გვხვდება: აფხაზეთის (58%), კახეთის (52), რაჭის (49), იმერეთის (46), ქართლის (43), გურიის (31), სამეგრელოს (26), აჭარის (24%) ვაზის ჯიშებში.

კონუსური მტევნის შემდეგ ყველაზე გავრცელებულია ცილინდრულ-კონუსური: სამეგრელოს (52%), აჭარისა და გურიის (46), ქართლის (37), რაჭის (39), იმერეთის (33), კახეთისა (25) და აფხაზეთის (24%) ვაზის ჯიშებში.

კონუსურ და ცილინდრულ-კონუსურ მტევნებთან შედარებით, ცილინდრული მტევნები ქართულ ვაზის ჯიშებში იშვიათად გვხვდება. ასეთი ფორმის მტევნებია აჭარის (22%), სამეგრელოს (20), გურიის (19), იმერეთისა და რაჭის (16), ქართლის (14), აფხაზეთის (14) და კახეთის (9%) ვაზის ჯიშებში.

განიერ-კონუსური და გრძელი მტევნები ქართული ვაზის ჯიშებში პრაქტიკულად ძალიან იშვიათად გვხვდება და ისინი განაწილებულია შემდეგნაირად: განიერ-კონუსური მტევნები: კახეთის (11%), ქართლისა და აჭარის (6), იმერეთის (5), გურიისა და აფხაზეთის (4), სამეგრელოს (2), რაჭის (1%) ვაზის ჯიშები.

გრძელი მტევნები გვხვდება უფრო იშვიათად: კახეთის (4%), აფხაზეთის (3), აჭარის (2), იმერეთისა და რაჭის (1%) ჯიშებში, ხოლო ქართლის, სამეგრელოსა და გურიის ვაზის ჯიშებში ასეთი მტევნები, საერთოდ, არ არის.

მტევნის სიკუმსე. ქართული ვაზის ჯიშებისათვის დამახასიათებელია საშუალო სიკუმსის მტევნები. მეჩხერი და ძლიერ კუმსი მტევნები გვხვდება გაცილებით იშვიათად.

მეჩხერი მტევნები ცალკეული ჯგუფების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: აჭარის (32%), გურიის (30), აფხაზეთის (26),

კახეთის (24), სამეგრელოს (21), იმერეთისა და ქართლის (16), რაჭის (15%) ვაზის ჯიშებში.

ძლიერ კუმსი მტევნებია რაჭის (19%), გურიის, იმერეთისა და აჭარის (17), ქართლისა და სამეგრელოს (12), კახეთისა და იმერეთის (8%) ვაზის ჯიშებში.

ყურძნის სიმწიფის პერიოდი. ძლიერ საადრეო და საადრეო სიმწიფის პერიოდის ჯიშები ქართული ვაზის ეკოლოგიურ ჯგუფში არ გვხვდება. ქართული ვაზის ჯიშებისათვის დამახასიათებელია სიმწიფის საშუალო პერიოდი აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებისათვის, საგვიანო და ძლიერ საგვიანო პერიოდი — დასავლეთ საქართველოს ჯიშებისათვის.

ვაზის ზრდის ღონე. ქართული ვაზის ჯიშების უმეტესობა საშუალო და ძლიერი ზრდის ღონით ხასიათდება.

ყურძნის სამეურნეო მიმართულება. ქართული ვაზის ჯიშების უმეტესობა საღვინე მიმართულებისაა. სასუფრე მიმართულების ჯიშები უმცირესობას შეადგენს.

საღვინე მიმართულების ჯიშები ცალკეული ჯგუფების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: სამეგრელოსა და რაჭის ჯიშებში 100%, იმერეთის—90, აფხაზეთისა და გურიის—80, კახეთის—70, ქართლის—68, აჭარის ჯიშებში—64%.

მკვეთრად გამოვლენილი საღვინე მიმართულების ჯიშებს გარდა, ქართული ვაზის ჯიშების შემადგენლობაშია აგრეთვე საღვინე-სასუფრე მიმართულების ჯიშებიც, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სასუფრედ. ასეთი ჯიშები გვხვდებიან კახეთის (17%), ქართლის, აფხაზეთის (16), გურიის (10), აჭარის (9), იმერეთის (8%) ჯგუფებში. სამეგრელოსა და რაჭის ჯგუფებში ასეთი ჯიშები არ არის.

სასუფრე მიმართულების ვაზის ჯიშები ძალიან ცოტაა: აჭარის ჯიშების 27%-ია, ქართლის—16, კახეთის—10, გურიის—10, აფხაზეთის—4, იმერეთის—2%, სამეგრელოსა და რაჭის ჯიშების ჯგუფებში ასეთები არ გვხვდება.

ამრიგად, ქართული ვაზის ჯიშების ცალკეულ ფორმათწარმოქმნის კერებში კონცენტრირებული სტაბილური მემკვიდრული თვისებები საფუძველს გვაძლევს ქართული ვაზის ჯიშების ერთიან ამპელოგრაფიულ ტიპში გამოვყოთ ერთმანეთისაგან განსხვავებული: აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ვარიანტი.

დასავლეთ საქართველოს ვარიანტში თავმოყრილია უფრო ძვე-

ლი, დომინანტური ნიშან-თვისებები. აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტში მეტად არის გამოვლენილი რეცესიული თვისებები (მეტად დანაკვეთული, ნაკლებად შებუსუსული ფოთოლი, ოვალური და გარდამავალი, თეთრი მარცვალი და სხვ.).

ძირითად ნიშან-თვისებათა ცვალებადობა, აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტების მიხედვით, გამოისახება შემდეგნაირად:

დასავლეთ საქართველოს ვარიანტი: ფოთოლი—შებუსვა ძლიერი, ქეჩისებრი (52—100%), სუსტად (58—98%) და საშუალოდ (13%)—მდე დანაკვეთული; მტევანი — საშუალო და მცირე ზომის; მარცვალი—საშუალო, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური (70—95%); ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საგვიანო (ოქტომბერი) და ძლიერ საგვიანო—(ნოემბერი); მაქსიმალური მაჩვენებელი—96; ჯიშების სამეურნეო მიმართულება—ძირითადად საღვინე (64—100%).

დასავლეთ საქართველოს ვარიანტიდან გამოიყოფა: აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის ვაზის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები.

რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, გურიისა და აფხაზეთის ჯიშებს, ძლიერ შებუსუსულ ფოთოლთან ერთად ხშირად ახასიათებთ აბლაბუდისებრი (29—38%, უფრო იშვიათად რაჭა-ლეჩხუმის, აჭარისა და აგრეთვე იმერეთის ჯიშების შეუბუსუსავი (9—11%) ფოთოლიც, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის ჯიშების ჯგუფებში ძლიერად დანაკვეთული ფოთლები (12—13%), გურიის (27%), აგრეთვე იმერეთის (19%), აჭარის (16%) და აფხაზეთის ჯიშების ჯგუფებში გვხვდება ოვალური და ძალიან იშვიათად მოგრძო ფორმის მარცვლებიც. აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ჯიშებს მტევანი ძირითადად ცილინდრულ-კონუსური და ცილინდრული აქვთ. რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის ჯიშებში საკმაოდ დიდი პროცენტი უკავიათ სიმწიფის საშუალო პერიოდის ჯიშებს და, პირიქით, აფხაზეთის ჯიშების მთელი რაოდენობის თითქმის ერთი მეოთხედი მიეკუთვნება სიმწიფის ძლიერ საგვიანო (ოქტომბრის ბოლო—ნოემბერი) პერიოდს.

რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის ჯიშები უმეტეს შემთხვევებში ზრდის საშუალო სიძლიერისანია. აფხაზეთის ჯიშებს ახასიათებთ ძალიან ძლიერი ზრდა. აჭარის ჯიშების რიცხვში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასუფრე მიმართულების ჯიშებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტი: ფოთოლი—მცირედ შებუსუსული, შიშველი ან დაფარული აბლაბუდისებრი ბუსუსებით (56—69%), უფრო იშვიათად ძლიერად ქეჩისებრად შებუსუსული (30 —

44%), ძლიერად და საშუალოდ დანაკვეთული (25—29%); მტევანი — საშუალო ან ხშირად, დიდი ზომის; მარცვალი — საშუალო, იშვიათად დიდი ზომის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, ხშირად ოვალური (21 — 23%); ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საშუალო (სექტემბერი) (87—94%); ჯიშების სამეურნეო მიზნებისადმი სარგებლობა, გვხვდება საკმაო რაოდენობით სასუფრე და სასუფრე-სალენე მიმართულების ჯიშებიც (29—32%).

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტიდან გამოიყოფა საერთოდ მსგავსი, მაგრამ ლოკალურად განსხვავებული, კახეთისა და ქართლის ვაზის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები.

ქართლის ვაზის ჯიშები უფრო მეტად ძლიერი ზრდის, შიშველ-ფოთლიანებია. კახეთის ვაზის ჯიშები ქართლისებთან შედარებით დასიათდება უფრო მეტი რაოდენობის საშუალო ზრდის, უფრო ძლიერად შებუსხულფოთლიანი ჯიშების არსებობით.

ამრიგად, ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფების ამპელოგრაფიული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტები ქართული ვაზის ჯიშების საერთო ამპელოგრაფიული ტიპის ნაირსახეობებია.

ამასთან, ვაზისათვის დომინანტური ნიშან-თვისებები (ძლიერად შებუსხვილი, სუსტად და საშუალოდ დანაკვეთული ფოთოლი, მომრგვალო, შავი ფერისა და წვნიანი მარცვალი და ა. შ.) კონცენტრირებულია უმეტესად დასავლეთ საქართველოს ვარიანტში. აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტში, უფრო შესამჩნევია რეცესიულ ნიშან-თვისებათა გამოვლინება.

თითოეული ვარიანტის ცალკეულ ლოკალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა, მათში გაცილებით მეტია საერთო, ვიდრე განმასხვავებელი და, ამიტომ პირველადი უნდა იყოს მსგავსება, ხოლო მეორადი; დივერგენციის შედეგად ფორმირებული განსხვავებები.

საქ. სსრ კ. მარქსის
ს.ხ. ს.ხ. რესპუბ.
ა. ზალითოვი

ქართული ვაზის ჯიშების ძირითადი
ნიშან-თვისებების ცვალებადობა და
მემკვიდრეობა



ქართული
მემკვიდრეობა

ქართული ვაზის ჯიშების მოდიფიკაციური ცვალებადობა მოდიფიკაცია ნიშან-თვისებათა არამემკვიდრული ცვალებადობა რომელიც გამოწვეულია გარემო პირობების ზეგავლენით.

ჩვენ ვსწავლობდით ქართული ვაზის ჯიშების ძირითადი ნიშან-თვისებების მოდიფიკაციურ ცვალებადობას მათი გენოტიპების რეაქციის ნორმის ფარგლებში.

ამ მიზნით ტიპური ქართული ვაზის ჯიშებს ვიკვლევდით მკვეთრად განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში: დასავლეთ საქართველოში—აფხაზეთში (კლიმატი—ნოტიო სუბტროპიკული) და აღმოსავლეთ საქართველოში—თბილისში (კლიმატი—კონტინენტური, შედარებით მშრალი).

ჩატარებულ კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ვაზის ჯიშების გენოფონდის ბუნების დაზუსტებისათვის: ცალკეული მორფოლოგიური ნიშნებისა და ბიოლოგიური თვისებების ამპელოგრაფიული დიაგნოსტიკისათვის და შედარებით პლასტიკური ჯიშების გამოსაყოფად.

ქართული ვაზის ჯიშების გოტანიკური ნიშნების
მოდიფიკაციური ცვალებადობა

ფოთლის ზომის ცვალებადობა. ზრდა-განვითარების ოპტიმალური პირობები ხელს უწყობს მემკვიდრულად განპირობებულ ნიშანთა მაქსიმალურად გამოვლენას.

ფოთლის ზომის შედარება სხვადასხვა პირობებში გვარწმუნებს, რომ ამ ნიშნის აბსოლუტური მაჩვენებლები ჯიშების უმეტესობისათვის მეტია ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, ამავე დროს მტკიცედ არის შენარჩუნებული ჯიშური განსხვავებები. ის ჯიშები, რომლებსაც ახასიათებთ დიდი ზომის ფოთლები, ინარჩუნებენ მას სხვა ჯიშებთან შედარებით ზრდა-განვითარების ყველა პირობებში.

ფოთლის ზომა ძირითადად განპირობებულია გენოტიპით. ამასთანავე, ზრდა-განვითარების ადგილის შესაბამისად იგი განიცდის

საკმაოდ შესამჩნევ მოდიფიკაციურ ცვლებადობას. ამიტომ ფოთლის ზომის გამოყენების დროს ჭიშების ურთიერთშესადარებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს უკანასკნელი ვარემოება.

ფოთლის ფორმის ცვლებადობა. ფოთლის ფორმის ცვლებადობის დასადგენად გამოყენებული გვქონდა მაჩვენებელი ფოთლის ინდექსი (ფოთლის სიგრძის შეფარდება სიგანესთან).

როგორც კვლევამ დაგვანახვა, ფოთლის ფორმის ინდექსი განიცდის უმნიშვნელო ცვლებადობას, რაც იმას მოწმობს, რომ ფოთლის ფორმა ნაკლებცვალებადი და ძვირფასი ამპელოგრაფიული ნიშანია.

ფოთლის ფირფიტის დანაკვეთის ცვლებადობა. შესწავლის მასალა იმის საფუძველს გვაძლევს, რომ დავადგინოთ ფოთლის ფირფიტის დანაკვეთის საკმაო ცვლებადობა ეკოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობების გავლენით. ამიტომ ჭიშების ურთიერთშედარების და აღწერის დროს, ფოთლის ფირფიტის დანაკვეთას ვთვლით ერთ-ერთ ძირითად ამპელოგრაფიულ ნიშნად. ამავე დროს მხედველობაში ვიღებთ მის საკმაო ვარიაციების უნარს.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსხვა. ფოთლის შებუსხვა ჭიშის ფარგლებში ძალიან მცირედ ცვლებადობს. ამის გამო იგი შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებცვალებად ძირითად ამპელოგრაფიულ ნიშნად, რომელიც პირველ რიგში უნდა იყოს გამოყენებული ვაზის ჭიშების რკვევის დროს.

მტევანი და მარცვალი. ნაკლებად ცვლებადობს: მტევნის სიკუმსე და მხრიანობა, მარცვლის ფორმა. საშუალოდ ცვლებადობს: მტევნის ფორმა. ძლიერად ცვლებადობს: მტევნის სიგრძე და სიგანე, მარცვლის სიგრძე და სიგანე.

მტევნისა და მარცვლის ყველა ნიშანი მაქსიმალურ ზომას აღწევს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში.

**ქართული ვაზის ჯიშების ზიოლოგიური თვისებების
მოდიფიკაციური ცვალვალობა**

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა. დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, ვაზის მცენარე-

¹ აღნიშნულ საკითხზე გამოყენებულია რ. ლომინაშვილის საკანდიდატო დისერტაციის („ძირითადი ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიური პლასტიკურობის შესწავლა“) მასალები, რომელთა ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ჩვენი თანავეტრობით.

გების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა უფრო ხანგრძლივი პერიოდი და აქტიურ ტემპერატურათა მეტი რაოდენობა.

აღმოსავლეთ საქართველოში, სიმწიფის საშუალო პერიოდის ჯიშებისათვის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 140—165 დღეა. საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი — 3.330—3.280°, სიმწიფის საგვიანო პერიოდის ჯიშებისათვის კი 165—175 დღეა, 3.330 — 3.550°.

ამავე პერიოდის ჯიშებისათვის, დასავლეთ საქართველოს პირობებში საჭიროა ტემპერატურათა უფრო მეტი რაოდენობა, რაც შესაბამისად ზრდის მათ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას.

საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ პირობებში 4.000° და მეტია, ხოლო სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა—190—200 დღე.

ვაზის ზრდის ღონე გენეტიკურად განპირობებული თვისებაა, რომელიც ცვალებადობს გარემო პირობების ზეგავლენით.

ზრდა-განვითარების თანაბარ პირობებში, ქართული ვაზის ჯიშების უმეტესობა ხასიათდება საშუალო ზრდის ღონით, რომელიც ნაკლებად ცვალებადობს ცალკეული წლების მიხედვით.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ნოტიო კლიმატის პირობებში ყველა ჯიში უფრო ინტენსიურად იზრდება.

სოკოვან დაავადებათა მიმართ შედარებითი გამძლეობა.

სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ცალკეული წლების მეტეოროლოგიურ პირობებზე. ამავე დროს ზოგიერთი ვაზის ჯიში და მათი ჯგუფები ყველა წლებში ამჟღავნებენ შედარებით კარგ გამძლეობას სოკოვანი დაავადებების მიმართ. აღნიშნული თვისება ძალიან ცვალებადობს აგრეთვე ზრდა-განვითარების განსხვავებულ პირობებში. დასავლეთ საქართველოს ტენიანი კლიმატის პირობებში ყველა ჯიში ზიანდება უფრო მეტად. ამ პირობებში ჭრაქის მიმართ ყველაზე ნაკლებად გამძლენი აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები. უფრო გამძლენი—იმერეთის ჯიშები.

ამგვარად, სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ გამძლეობა, მემკვიდრულად განპირობებული თვისებაა, რომელიც ამავე დროს განიცდის მნიშვნელოვან მოდიფიკაციურ ცვალებადობას.

მოსავლიანობა. მემკვიდრულად განპირობებული თვისებაა, მაგრამ მოსავლიანობის ელემენტების ცვალებადობა დამოკიდებულია როგორც ეკოლოგიურ, ასევე მეტეოროლოგიურ პირობებზე.

ერთდამიმავე პირობებში (მეტეოროლოგიური ზეგავლენით), შე-

დარებით სტაბილური აღმოჩნდა მოსავლიანობის კოეფიციენტი, შემდეგ მსხმოიარების კოეფიციენტი. განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში აგრეთვე ნაკლებად ცვალებადობს მოსავლიანობის კოეფიციენტი. ძლიერად ცვალებადობს ძირზე, მტევნის საშუალო წონა, რქის პროდუქტიულობა.

მტევნის მექანიკური ანალიზი. ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა და პროდუქციის ხარისხი. მტევნის მექანიკური შემადგენლობა ძლიერად ცვალებადი მაჩვენებელია. ყურძნის წვენის შაქრიანობისა და მჟავიანობის ცვალებადობა დამოკიდებულია ჯიშსა და ზრდა-განვითარების პირობებზე. რქაწითელის, მწვანე კახურის, მგალობლიშვილის, საფერავისათვის ეს სხვაობა 4,6—5,6%-ია.

სხვა ჯიშებთან შედარებით, ყურძნის წვენში შაქრის კარგი დაგროვების უნარით ხასიათდება კახეთის ვაზის ჯიშები.

საერთოდ, შაქრის დაგროვების უნარი ყველა ჯიშისათვის მეტია აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი კლიმატის პირობებში.

დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მიუხედავად იქ არსებული აქტიურ ტემპერატურათა მეტი ჯამისა, ჯიშები ნაკლებ შაქარს აგროვებენ. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ძირითადად სიმწიფის საგვიანო პერიოდის ჯიშები, აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ვერ ასწრებენ მომწიფებას და, ბუნებრივია, აგროვებენ შაქრის უფრო ნაკლებ რაოდენობას და ინარჩუნებენ მაღალ მჟავიანობას.

ზრდა-განვითარების განსხვავებულ პირობებში მნიშვნელოვნად ცვალებადობს აგრეთვე მიღებული ღვინის კომპონენტების ქიმიური შემადგენლობა.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები, დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან შედარებით ხასიათდება ფართო ეკოლოგიური პლასტიკურობით. შესწავლის შედეგად გამოყოფილია სწორედ ასეთი ქართული ვაზის ჯიშები, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ მაღალი ხარისხის პროდუქცია თავისი გავრცელების ძირითადი ზონის ფარგლებს გარეთაც. ეს ჯიშებია: საფერავი, მწვანე კახური, გორული მწვანე, რომლებსაც ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ იმერეთის მევენახეობის ზონაში გასავრცელებლად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვაზის ჯიში ხასიათდება სტაბილუ-



რი გენეტიკური სპეციფიკურობით და შეიძლება მათი კულტივირება განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოცემული ნაშრომები იმერეთის ზონაში აღნიშნული ჯიშების გასაფრთხილებლად

ამრიგად, ვაჩამებთ რა საერთო შედეგებს ჯიშების მოდიფიკაციური ცვალებადობის შესწავლის შესახებ, ვასკვნიოთ:

ცალკეული ნიშან-თვისებები ხასიათდება სხვადასხვანაირი ცვალებადობის უნარით გენოტიპების რეაქციის ნორმის ფარგლებში (მოდიფიცირების განსხვავებული უნარი), ამავე დროს ზოგიერთ ამ ნიშან-თვისებათა ცვალებადობაზე უფრო მეტად ზეგავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები, ზოგჯე — ზრდა-განვითარების ეკოლოგიური პირობები. გარკვეული ნაწილი კი ორივე აღნიშნული ფაქტორის გავლენით განიცდის მხოლოდ უმნიშვნელო ცვალებადობას.

ამ ნიშან-თვისებებს, რომლებსაც ჩვენ ვაერთიანებთ პირველ ჯგუფში (ფოთოლი—ფორმა, შებუსვის ტიპი; მტევანი — ფორმა; მარცვალი — ფორმა, შეფერვა; მოსავლიანობის კოეფიციენტი) აქვს დიდი ამპელოგრაფიული ღირებულება—შეიძლება გამოვიყენოთ ჯიშების რკვევისა და ურთიერთშედარებისას, ზრდა-განვითარების როგორც თანაბარ, ისე განსხვავებულ პირობებში.

მეორე ჯგუფის ნიშან-თვისებები (ფოთოლი—ზომა, დანაკვეთა, ყუნწის ამონაკვეთის ფორმა; სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და ა. შ.) ამპელოგრაფიულ მუშაობაში შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მათი მოდიფიცირების უნარის გათვალისწინებით.

მესამე ჯგუფის ნიშან-თვისებები, რომლებიც ძლიერად ცვალებადობს როგორც მეტეოროლოგიური, ისე ეკოლოგიური პირობების ზეგავლენით (მოსავალი ძირზე; მტევნის საშუალო წონა; მარცვლების რაოდენობა მტევანზე, ასი მარცვლის წონა; ყურძნის წვენი შაქრის დაგროვების უნარი და ა. შ.), შეიძლება გამოვიყენოთ ჯიშების რკვევისას მხოლოდ ერთ და იგივე ადგილზე და მსგავსი ამინდის პირობებში.

ქართული ვაზის ჯიშების მემკვიდრული ცვალებადობა. ჩავატარეთ ვაზის ჯიშების თვითდამტვერვა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებლობა იქმნება ჯიშების გენოტიპებში ჩაქსოვილი ფარულ რეცესიულ ნიშანთა გამოვლენისა, რომლებიც ფენოტიპურად მუდგანდებიან მათი ჰეტეროზიგოტულიდან ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში გადასვლისას.

ვაზი ჯვარედინად დამამტვერიანებელი მცენარეა. ვაზის ჯიშები

ყალიბდებოდა დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ძვირფასი სამეურნეო ღირებულების მქონე თესლნერგების გამორჩევის გზით. ამიტომ ხასიათდება მაღალი ჰეტეროზიგოტულობით და დატვირთულია სხვადასხვა მავნე მუტაციით.

ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, რეცესიული გენების ტესტის გამოვლენის მიზნით, საჭიროა თვითდამტვერვის ჩატარება რამდენიმე (5—10) ინცუბტაობაში, რაც მოითხოვს ძალიან დიდ დროს. ჩვენ რა თქმა უნდა, ასეთი შესაძლებლობა არ გვქონდა. ჩვენს ცდებში მოყვანილია დაკვირვების მასალები სრულმსხმოიარე, 10 წლის ასაკის თესლნერგებზე, რომლებიც წარმოდგენას იძლევა ნიშანთა დათიშვაზე პირველ თაობაში.

ამრიგად, ჩვენ მიერ ფიქსირებულია პირველ ინცუბტაობაშივე გამოვლენილი ტაქსონომიური მნიშვნელობის მქონე რეცესიული ნიშნები.

მიღებული მასალის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ:

ქართული ვაზის ჯიშებისათვის ჰეტეროგამეტულია: ყვავილის ტიპი, ფოთლის შებუსვის ტიპი და დანაკვეთის ხარისხი, მტევნისა და მარცვლის ფორმა, მარცვლის შავი ფერი.

ჰომოგამეტურია: მარცვლის თეთრი შეფერვა.

ფარული, რეცესიული ნიშნებია: ახალგაზრდა ყლორტისა და ფოთლის სუსტი და საშუალო აბლაბუდისებრი შებუსვა, ყვავილის ფუნქციურად მდედრობითი ტიპი, ფოთლის ფირფიტის სუსტი, საშუალო და ძლიერი დანაკვეთვა, მტევნის ცილინდრულ-კონუსური, კონუსური და ცილინდრული ფორმა, მარცვლის ოვალური და მომრგვალო ფორმა და მარცვლის თეთრი შეფერვა შავი ფერის მარცვლის მქონე ჯიშებისათვის.

ფუნქციურად მდედრობითი ყვავილის ტიპის მქონე ჯიშების შეჯვარებისას ერთ საწყის, ორსქესიან ჯიშთან—რქაწითელთან, აღმოჩნდა ამკარად დომინანტური, პირველ თაობაშივე გამოვლენილი ნიშნები: ფოთლის ქეჩისებრი შებუსვა და მარცვლის შავი ფერი.

ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია

ფენოტიპი გენოტიპის ბუნების შესაძლებელი რეალიზაციის შედეგია ზრდა-განვითარების განსაზღვრულ პირობებში. ამავე დროს ფენოტიპში არასოდეს სრულად არ ვლინდება ყველა გენეტიკური

შესაძლებლობა. ამიტომ ქართული ვაზის ჯიშების დაჯგუფებისას ჩვენ ვთვლით, რომ ჯიშების მსგავსება, თუმცა არ არის მათ შორის გენეტიკური ნათესაობის სრული დამამტკიცებელი დაქვეყნებული დად მაინც ითვლება ამ უკანასკნელის გამოხატულებად.

ქვემოთ მოგვყავს ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციური ჯგუფების გამოსაყოფად ჩატარებული მუშაობის შედეგები. გამოყოფილ ჯგუფებს სახელწოდებას ვაძლევდით იმ ჯიშის მიხედვით, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოთავსებული ჯგუფის ცენტრთან. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ჯიშის სახელწოდებას ემატებოდა ჯგუფში შემავალი ცნობილი ჯიშის სახელწოდებაც.

გამოყოფილია ქართული ვაზის ჯიშების ერთმანეთისაგან, ნიშან-თვისებების კომპლექსით განსხვავებული 45 კლასიფიკაციური ჯგუფი. თითოეული ასეთი ჯგუფის შიგნით ჯიშები დაჯგუფებულია ჯიშ-ტიპებად და ჯიშ-ჯგუფებად.

ჯიშებს შორის მანძილების მაჩვენებლების კრიტერიუმების დადგენის საფუძველზე გამოყავით ქართული ვაზის ჯიშების შემდეგი ჯგუფები:

1. ჯიშ-ტიპები—ჯიშები, რომლებიც წარმოშობილია ერთი საწყისიდან და გაერთიანებულია საერთო ნიშან-თვისებებით.

2. ჯიშ-ჯგუფები—ჯიშები, რომლებიც წარმოშობილია ვეგეტატიური ცვალებადობის შედეგად და ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ რამდენიმე ნიშან-თვისებით.

ჯიშებს შორის დასაშვები მანძილები მერყეობს 0—100-მდე. ეს სიდიდე გაყოფილია 5 ნაწილად:

1. 0—20 — ჯიშ-ჯგუფი ძლიერი,
2. 21—25 — ჯიშ-ჯგუფი სუსტი,
3. 26—30 — ჯიშ-ტიპი ძლიერი,
4. 31—35 — ჯიშ-ტიპი საშუალო,
5. 36—40 — ჯიშ-ტიპი სუსტი.

ქართული ვაზის ჯიშების უძველესი და თვითმყოფადი სორტიმენტი ხასიათდება ისეთი თვისებებით, რომლებიც მოწმობს აქ არსებული ერთ-ერთი მისი ფორმათწარმოქმნის კერის არსებობას.

ასეთი თვისებებია პირველ რიგში დომინანტური, პირველად ნიშანთა დიდი რაოდენობის კონცენტრაცია.

მეორე რიგში, არეალის პერიფერიაში, პოპულაციის იზოლირებულ რეგიონში, ჯიშების გენეტიკური ცვალებადობა და ადაპტაცი-

ური გენოტიპების არსებობა, რაც გამოიხატება რეცესიულ ნიშნით გამოვლენით ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში.

ხანგრძლივ გეოგრაფიულ იზოლაციას ხელს უწყობდა ადგილობრივი მდებარეობის რთული რელიეფი და ფეოდალური კარნაკტილობა. ასეთ პირობებში, საქართველოს თითოეულ იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში ფორმირდებოდა განცალკევებული, საწყისი მასალით განსხვავებული ვაზის ჯიშების სორტიმენტი. ქართული ვაზის ჯიშების უმეტესობა დღესაც გავრცელებულია მხოლოდ თავისი პირველადი წარმოშობის რეგიონებში.

ქართული ვაზის ჯიშების დამახასიათებელი თავისებურებაა შემოტანილ ჯიშთა სიმცირე. ხალხური სელექციის მიმართულება და მიზანი რამდენიმე ათეული საუკუნეების მანძილზე, პირველ რიგში, მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშების მიღება იყო.

ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. ჯიშების კლასიფიკაციის დახვეწის გზები მიუთითა ჯერ კიდევ პროფ. ა. ნეგრულმა, რომლის განცხადებით—„გეოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფების ფარგლებში ჯიშ-ტიპების გამოყოფა გაკეთებულია ნაწილობრივ და მოითხოვს შემდგომ დახვეწას“¹.

სწორედ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას—ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის დაზუსტებას—მივუძღვენით ჩვენი მუშაობა.

ქართული ვაზის ჯიშების სისტემატიკა უნდა ზუსტდებოდეს მსგავსი და ახლომდგომი ჯიშების შიგაჯგუფური გაერთიანების გზით.

ამგვარი სამუშაო—ქართული ვაზის ჯიშების ფარგლებში ცალკეული ჯიშ-ტიპებისა და ჯიშ-ჯგუფების გამოყოფა — აქამდე არავის ჩაუტარებია.

ასეთი მუშაობის შედეგად წესრიგში მოიყვანება ჯიშებს შორის ურთიერთობის საკითხები და დაზუსტდება დღემდე დეტალებში არამთლიანად დამუშავებული ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია.

თითოეულ გამოყოფილ ჯგუფში ჩატარებულია ჯიშების ურთიერთობის ანალიზი. გამოყოფილია რეგიონალური ტიპები, ურთიერთშედარებულია ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები. დადგენილია ჯიშების განაწილების კანონზომიერება გამოყოფილ საკლასიფიკაციო ჯგუფებში.

¹ Ампеლოграфия СССР, т. I, М.: Пищепромиздат, 1946, с. 185.

მუშაობის პროცესში გამოყენებულია მცენარეთა სისტემატიკის დროს ძირითადად ხმარებული შედარებითი მორფოლოგიური მეთოდი, აგრეთვე ჩატარებულია ძირითად ბიოლოგიურ თვისებებზე ურთიერთშედარება.

რადგანაც ფენოტიპი გარკვეულ გარემო პირობებში გამოვლენილი ორგანიზმის ნიშან-თვისებათა სისტემაა და, მიუხედავად იმისა, რომ ფენოტიპში მთლიანად ვერ აისახება ყველა გენეტიკური შესაძლებლობანი და, პირიქით, ზოგჯერ გარეგნული ერთგვაროვნების ქვეშ შეიძლება იმალებოდეს მრავალი სხვადასხვა გენის მოქმედება—სტაბილური, ნაკლებცვალებადი ნიშნების გამოყენებისას—შედარებითი მორფოლოგიური მეთოდი, შეიძლება ჩაითვალოს ფენოფონდის მთელი მრავალფეროვნების შესასწავლად ყველაზე გამოსადეგ მეთოდად.

ქართული ვაზის ჯიშების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფის კრიტერიუმი აღებულია მათი ერთმანეთთან მსგავსების უმეტესი მორფოლოგიური ნიშნებისა და ძირითადი ბიოლოგიური თვისებების მიხედვით.

კლასიფიკაციის დროს გამოსაყენებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის, ფოთლის შებუსვის ტიპის მიხედვით გამოყოფილი კლასიფიკაციური ჯგუფები დაიყო სამ ნაწილად: ჯიშების უმეტესობა—ნახევარზე მეტი (21 კლასიფიკაციური ჯგუფი—ჯიშების რაოდენობა 162) განაწილდა ძლიერად, ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშების ჯგუფში.

ჯიშების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, საშუალოდ, აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშების ჯგუფში (12 კლასიფიკაციურ ჯგუფში—76 ჯიში), ხოლო ჯიშების უმცირესობა (12 კლასიფიკაციური ჯგუფი—53 ჯიში) შიშველფოთლიანი ჯიშების ჯგუფში.

მანძილების გამოთვლის შედეგად, დადგინდა კლასიფიკაციურ ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირები. გამოყოფილია ერთმანეთთან უფრო ახლომდგომი და, პირიქით, ერთმანეთისაგან დაშორებული ჯგუფები.

დამტკიცდა, რომ ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშების ჯგუფები უახლოვდება ან გარდამავალი თვისებები აქვს აბლაბუდისებრად შებუსულ ფოთლიანი ჯიშების ჯგუფებთან, რაც ადასტურებს დივერგენციის გზით ფორმათწარმოქმნის საერთო, დომინან-

ტური გენების კონცენტრაციის მქონე კერიდან მათი წარმოშობის მოსაზრებას.

შიშველფოთლიანი ჯიშების ჯგუფები უფრო საგრძნობლადაა დაშორებული ორივე აღნიშნული ჯგუფისაგან, რაც მათთვის საწყისი ფორმათწარმოქმნის კერიდან მათი გამოყოფის უფრო ადვილად ხელს უწყობს და მათ წარმოშობაში უფრო მეტი განსხვავებული საწყისი მასალის მონაწილეობაზე.

ჯიშების ლოკალური ჯგუფების ერთმანეთთან ურთიერთობაში შემდეგი მდგომარეობაა:

ქართული ვაზის ჯიშები კონცენტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ორ, ურთიერთდაპირისპირებულ განზოგადებად.

აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშების განზოგადებაში ორივე: ქართლისა და კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები ერთმანეთისაგან ახლო მანძილზე დგას (მანძილი 12,9).

დასავლეთ საქართველოს ჯიშების განზოგადებაში, სადაც მასში შემავალ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის მანძილების მაჩვენებლები, საერთოდ, საშუალოა, გამოიყოფა ერთმანეთთან უფრო ახლომდგომი ჯგუფები: მაგალითად, აჭარისა და გურიის ჯიშების ჯგუფები (მანძილი 13,5).

თავის მხრივ, სამეგრელოს ჯიშების ჯგუფი ყველაზე დიდი მანძილით არის დაშორებული აჭარის ჯიშების ჯგუფიდან (მანძილი 18).

აფხაზეთის ვაზის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი საკმაოდ განცალკევებით დგას დასავლეთ საქართველოს ჯიშების განზოგადებისაგან. ამ ჯგუფის მინიმალური მანძილებია გურიის ჯიშებთან 17,8; აჭარის ჯიშებთან—19.

გარდამავალი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჯიშების განზოგადების დამაკავშირებელ ჯგუფად შეიძლება ჩაითვალოს რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშების ჯგუფი, რომლის მანძილებია იმერეთის ვაზის ჯიშების ჯგუფთან 15,1, ხოლო კახეთის ჯიშებთან—16,2.

ქართული ვაზის ჯიშების თითოეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფში ტიპურთან ერთად გვხვდება გარკვეული რაოდენობის, ამ ჯგუფისათვის არადამახასიათებელი ჯიშების ჯგუფები. მაგალითად, მორფოლოგიურ და ბიოლოგიურ ნიშან-თვისებებით მსგავს, აფხაზეთის ვაზის ჯიშების ჯგუფში გვხვდება ჯიშების ისეთი ნაწილიც, რომელიც ხასიათდება აბლაბუდისებრად შებუსუსული ახალგაზრდა ყლორტით და ფოთლით, მოგრძო-მოოვალო მარცვლით და სხვ.

ამგვარი მაგალითები შეიმჩნევა სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ
ჯგუფებშიც. ასეთი, ტიპურიდან განსხვავებული ნიშან-თვისებანი
ჯიშების წარმოშობის მიზეზები შეიძლება რამდენიმე ცალკე
ნაბარი საწყისი მასალა. ნიშან-თვისებათა დათიშვა და უფრო საქ-
ლებ შემთხვევებში—ინტროდუქცია).

წარმოდგენილი მასალის ანალიზი გვარწმუნებს, რომ კლასი-
ფიკაციური ჯგუფები, რომლებშიც მოხვედრილი ჯიშები მიეკუთვნე-
ბიან განსხვავებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებს, ითვლება
ქართული ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული ტიპის აღმოსავლეთ და
დასავლეთ საქართველოს ვარიანტების შემადგენელ ნაწილებად. მათ
უმეტესობას ახლო კავშირი აქვს აღმოსავლეთ საქართველოში კახე-
თისა, და დასავლეთ საქართველოში იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის
ვაზის ჯიშებთან.

კლასიფიკაციური ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ ძლიერად,
ქეჩისებრად შებუსულფოთლიან ვაზის ჯიშებს. გამოყოფილია ასეთი
21 ჯგუფი. ამ ჯგუფებში გაერთიანებული ვაზის ჯიშები თავისი მორ-
ფოლოგიური ნიშნებითა და ბიოლოგიური თვისებებით ითვლება
ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის *rp. pontica subpr Georgica*
Negr. ტიპურ წარმომადგენლად და მიეკუთვნება ქართული ვაზის
ჯიშების დასავლეთ საქართველოს ვარიანტს და კულტურული ვა-
ზის ჯიშების ფორმათწარმოქმნის კოლხეთის კერას.

აღნიშნული კლასიფიკაციური ჯგუფების წარმომადგენლების
არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (დაახლოებით კა-
ხეთისა და ქართლის ვაზის ჯიშების 44%), ჩვენი აზრით, მიუთითებს
ძლიერად შებუსვილფოთლიანი ვაზის ჯიშების უფრო ფართო
მონაწილეობაზე ინტენსიური ფორმათწარმოქმნის პროცესში, რის
შედეგადაც ეს პირველადი დომინანტური ფენა შეიძლება გამხდა-
რიყო ფართული ნიშან-თვისებების (უფრო სუსტად შებუსული ფო-
თოლი) გამოყოფის წყარო და ადგილობრივი, აღმოსავლეთ საქარ-
თველოს ჯიშების მიღების კომპონენტი.

კლასიფიკაციური ჯგუფი № 1 (აჟაფში). მასში შე-
დის 6 ჯიში: აჟაფში, აყყაფში, ამლახუ, აწეიყი, აწლიყი, აწისიყი.
აფხაზური ვაზის ჯიშების დომინანტური ჯგუფია. ყველა ჯიში აფ-
ხაზურია.

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშები წარმოქმნიან სუსტ ჯიშ-ტიპს,
მაგრამ ჯგუფის ორი ჯიში—ამლახუ და აყყაფში დგანან აღნიშნული
ჯიშ-ტიპის ფარგლებს გარეთ.

ყველა ჯიში ფორმათწარმოქმნის კოლხეთის კერის წარმომადგენელია. მათგან ამლახუ და აყყაფში შედარებით ძველი ჯიშებია, რომლებიც ცნობილია უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ ჯიშების ძველ წარმოშობაზე კარგად მეტყველებს ჩვენ შიგნით ნატარებული ჯიშების ამლახუსა და აწეიყის გენეტიკური ანალიზი.

ჯ გ უ ფ ი № 2 აშულაყ-ბუტკო-მეკრენჩხი-ოჯალეში) შედგება 17 ჯიშისაგან: ალმურა შავი (აჭ.) აპაპნიყი (აფხ.), არგვეთული საფერე (იმერ.), აშულაყი (აფხ.), ბუტკო (აჭ.). იმერული შავი, კირწმაგარა (იმერ.), მახვატელი (მეგრ.), მეკრენჩხი (აჭ.), ოჯალეში (მეგრ.), პუმპულა (მეგრ.), ტაგიძურა (აჭ.), შონური (მეგრ.), ჩიტისთვალა აჭარული, ძელშავი ობჩური (იმერ.), ჭუმუტა (გურ.), ხარისთვალა კოლხური.

აღნიშნული ჯგუფის „საშუალო ჯიშის“ აღწერა: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი ზომის, მომრგვალო, დაუნაკვთავი, ზედაპირი ბადისებრ-დანაოჭებული, მაგრამ გვხვდება აგრეთვე წვრილბურთულიანი და გლუვი, ყუნწის ამონაკვეთი—ძირითადად ჩანგისებრი და თალისებრი, იშვიათად ელიფსური და ისრისებრი, ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა—ძლიერი, ქეჩისებრი. მტევანი—საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად კონუსური, გვხვდება აგრეთვე ცილინდრული, ძირითადად საშუალო სიკუმსის; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, შავი, იშვიათ შემთხვევებში წითელი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება — საღვინე, იშვიათად საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო, იშვიათად ძლიერი.

მთლიანად ჯგუფი წარმოადგენს საშუალო ჯიშ-ტიპს, რომლის შიგნით გამოიყოფა დაქვემდებარებული ჯგუფები:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1.1 (საშ. მანძილი — 19) ალმურა შავი, მახვატელი;

1.2 (საშ. მანძ. — 19,5) — აშულაყ, ბუტკო, იმერული შავი.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ.—24,7) — 1. 1+1. 2+არგვეთული საფერე, კირწმაგარა.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 27) — ჩიტისთვალა აჭარული, შონური,

2 ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1960. გვ. 103.

3. 2. (საშ. მანძ.—27,1)—ძველშავი ობხური, ოჯალეში.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მანძ. — 33,4) — ჯგუფში შემავალი ყველა ჯიში, ჯგუფი უფრო ახლოს არის იმერეთის ვაზის ჯიშებთან, ვიდრე

9 ჯგუფებთან).

ბუტკო — ძველი ჯიშია, ცნობილია XII საუკუნემდე, აკად. ი. ჯავახიშვილის ცნობით, გვხვდებოდა შავშეთ-კლარჯეთში. ამ ჯიშს აქვს მჭიდრო კავშირი აჭარის სხვა ვაზის ჯიშებთან **ალმურა შავთან, მეკრენჩხთან, ტაგიძურასთან**, რომლებიც საქართველოში ფილოქსერის შემოჭრამდე ფართოდ იყო აგრეთვე გავრცელებული აჭარაში, ხოლო ჯიში მეკრენჩხი, რომლის ძველ წარმოშობაზე მიუთითებს მის მემკვიდრულ, თვითდამტვერილ შთამომავლობაში გამოვლენილი ფართული რეცესიული ნიშან-თვისებები, გვხვდებოდა მეზობელ გუბიაშიც.

არგვეთულა საფერე — ლიტერატურული მონაცემებით, მისი წარმოშობა მიეკუთვნება XIX საუკუნეს. უმეტეს ავტორთა აზრით (ვ. სტაროსელსკი³, აკად. ი. ჯავახიშვილი, ვ. დემეტრაძე, თ. კვარაცელია, ა. მიროტაძე, ჯიში შემოიტანეს და გაავრცელეს ზემო იმერეთში შედარებით ახლო პერიოდში, რასაც, გარდა სხვა მოსაზრებებისა ადასტურებს ამ ჯიშის სინონიმი — კობახიძის საფერე, რომელიც ამ ჯიშის შემომტანი ადამიანის გვარსაც კი მიუნიშნებს. ვ. დემეტრაძის აზრით, შესაძლებელია, ჯიში გამოიყო ადგილობრივი იმერეთის ვაზის ფორმებიდან ან შემოიტანეს სხვა რაიონიდან. აღნიშნული საკითხი, მართლაც, ძნელი გადასაჭრელია. სხვა ჯიშებთან შედარებით იგი ახლოს დგას აჭარის ჯიშებთან — **ალმურა შავთან, ბუტკოსთან, მეკრენჩხთან, ტაგიძურასთან** და აგრეთვე აფხაზეთის ვაზის ჯიშთან — **აშულაყთან**.

აშულაყი წარმოშობილია ადგილობრივ, კოლხეთის კერაში. მისი კულტურაში გამოჩენა მიეკუთვნება შორეულ წარსულს⁴. ახლო მსგავსება აჭარის ჯიშებთან — **ალმურა შავთან, ბუტკოსთან, მეკრენჩხთან, ტაგიძურასთან, იმერეთის ჯიშებთან** — იმერულ შავთან, არგვეთულ საფერესთან, სამეგრელოს ჯიშთან — **პუმპულასთან** და სხვა ჯიშებთან მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ჯიში კოლხეთის ფორმათწარმოქმნის კერაში წარმოებული ინტენსიური სელექციური პროცესის

³ Старосельский В. А. Материалы к ампелографии Кавказа. Тифлис, 1893, вып. I, с. 14.

⁴ Ампелография СССР. Пищепромиздат, 1963, т. I, с. 135.

პროდუქტია. ამ ჯიშის ძველი წარმოშობის შესახებ აგრეთვე არასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული ამ ჯიშის გენეტიკური ანალიზის დასალა, რომლის დროსაც დადგინდა ფარული, რეცესიული ნიშნების (ახალგაზრდა ყლორტისა და ფოთლის აბლაბუდისებრი შიშვანა, ფოთლის ფირფიტის ძლიერი დანაკვეთა) არსებობა.

პუმპულა სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი ვაზის ჯიშია. ამორიგენულობასა და კოლხეთის კერასთან მიკუთვნებას ადასტურებს მისი ახლო მსგავსება აჭარის ჯიშებთან და აფხაზეთის აშულაყთან.

მასვატელი ადგილობრივი, სამეგრელოს ჯიშია. აქვს ახლო მსგავსება აჭარის ალმურა შავთან. **კირწმაგარა** იმერეთის რაიონებში უძველესი დროიდან კულტივირებული ჯიშია. **ოჯალეში** უძველესი სამეგრელოს ჯიშია, რომელიც ფილოქსერის გავრცელებამდე ხშირად გვხვდებოდა შუა და ზემო სამეგრელოში. **ძველშავი ობჩური**— უძველესი იმერული ჯიშია, რომლის კულტურაში გამოჩენის დროის დადგენა გაძნელებულია და, რომელსაც ადრე უფრო ფართო გავრცელების არეალი ჰქონდა.

სამეგრელოს **შონური** და აჭარის **ჩიტისთვალა** ადგილობრივი ჯიშებია, თუმცა ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ამპელოგრაფიაში არასწორად არის მიკუთვნებული *pr. occidentalis* Negr. ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჩგუფს.

აფხაზეთის ვაზის ჯიშის **აპაპნიყის** წარმოშობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. პროფ. დ. ტაბიძე მიუთითებს, რომ ეს ჯიში გვხვდება როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრელოში. აკად. ს. ჩოლოყაშვილი⁵ აღნიშნავს რომ „საფუძვლიანად არ არის ცნობილი ეს ჯიში აფხაზეთში, თუ იგი შემოტანილია აქ სამეგრელოდან“⁵. ერთი შეჭველია—აპაპნიყი ადგილობრივი კულტურული ვაზის კოლხეთის ფორმათა წარმოქმნის ჯიშია. მისი ახლო მსგავსება არა აფხაზეთის ჯიშებთან, არამედ სამეგრელოს შონურთან, აჭარულ ალმურა შავთან და წინათ მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ **ხარისთვალა კოლხურთან**, გვაიძულებს დავეთანხმოთ ზემოთ მოყვანილ ავტორებს და გავიზიაროთ მათი აზრი აპაპნიყის შემოტანის შესახებ აფხაზეთში საქართველოს მეზობელი რაიონებიდან.

ვითვალისწინებთ რა წარსულში **ჭუმუტას** ვიწრო ლოკალიზაციას, განსაკუთრებით გურიის რაიონებში, შეიძლება იგი მიეკუთვნ-

⁵ ს. ჩოლოყაშვილი, მევენახეობის სახელმძღვანელო. წიგნი II. ამპელოგრაფია, თბილისი, 1939. გვ. 124.

ნოს ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშების რიცხვს. ჩვენ ვერ დავგე-
თანსმებით ზოგიერთ ავტორს, რომლებიც ჭუმუტას, ზოგიერთ სხვა
გურიისა და აჭარის ვაზის ჯიშებთან ერთად მიაკუთვნებენ დასავლეთ
ევროპის ჯიშების ჯგუფს, რადგანაც აღნიშნულ ეკოლოგიურ-გეოგ-
რაფიულ ჯგუფს თავისი სიმორისა და არსებული სიფრთხილით
ლაციის გამო არ შეეძლო რაიმე საგრძნობი გავლენა მოეხდინა ად-
გილობრივ, ქართულ კერებში მიმდინარე ფორმათწარმოქმნის პრო-
ცესებზე.

ჯ გ უ ფ ი № 6 (სამაჭრია — ხიხვი) შედგება 6 ჯიშისაგან: აბის-
ტაჟი (აფხ.), დიღმურა (ქართ.), კირწითელა (რაჭ.), ნაკუთვენული
(რაჭ.), ხიხვი (ჯახ.).

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების თვისებებია: ახალგაზრდა
ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი ზომის, მომრგვა-
ლო, სუსტად დანაკეთული, ძალიან იშვიათად ძლიერად და საშუალოდ
დანაკეთული, შებუსვა ძლიერი ქეჩისებრი; მტევანი—საშუალო ზო-
მის, ცილინდრულ-კონუსური, უფრო იშვიათად ცილინდრული და
კონუსური; მარცვალი — საშუალო ზომის, მომრგვალო, უმეტეს შემ-
თხვევაში ვარდისფერი, გვხვდება თეთრი, ძალიან იშვიათად შავი;
სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეურნეო მიმართულება — სა-
ღვინე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო.

მთელი ჯგუფი ძლიერი ჯიშ-ტიპია და შედგება შემდეგი დაქვემ-
დებარებული ჯგუფებისაგან:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1. 1. (საშ. მანძ. — 19) — დიღმურა, სამაჭრია,

1. 2. (საშ. მანძ.—19)—დიღმურა, ნაკუთვენული.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ. — 22,7) — დიღმურა, კირწითელა, ნაკუთვ-
ნული, სამაჭრია,

2. 2. (საშ. მანძ. — 24) — აბისტაჟი, ხიხვი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 29,1) — ჯგუფის ყველა ჯიში.

რაჭა-ლეჩხუმის ჯიშების დომინანტური ჯგუფია.

ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ჯიშების ჯგუფია: **სამაჭ-**
რია, კირწითელა, ნაკუთვენული და **დიღმურა**. მკვლევართა მითი-
თებანი ამ ჯიშების გავრცელების ლოკალიზებული არეალის შესახებ,
აგრეთვე მათ ფენოტიპებში დომინანტურ, ხოლო გენოტიპებში ფა-
რული, რეცესიული ნიშანთა არსებობა, გვაძლევს საფუძველს მათი

ადგილობრივი წარმოშობის ჯიშების ჯგუფში მიკუთვნებისათვის. ხიხვი — ფილოქსერას შემოჭრამდე გავრცელებული იყო კახეთში. ჯიშის სახელწოდების ლინგვისტური ანალიზის შედეგად აკად. ი. ჯავახიშვილი მიდის სწორ დასკვნამდე და მას თვლის უფრო ადრე (V და შემდგომი საუკუნეები) წარმოშობის დასტურდება ამ ჯიშში თავმოყრილი უფრო ძველი და პირველადი მორფოლოგიური ნიშნებითა და ფარული რეცესიულ ნიშანთა ანალიზით.

ჯ გ უ ფ ი № 8 (მამუკას საფერე—საფერე ოცხანური). მასში შედის 15 ჯიში: ადანასური (იმერ.), ბახვა (რაჭ.), ვერტყვიჯალის თეთრი (იმერ.), ღვანურა (აჭ.) ძველშავი საჩხერის, დონდლლაბი მწვანე (იმერ.), მალლარი მსხვილთვალა (იმერ.), მამუკას საფერე (იმერ.), მარგული საფერე (იმერ.), პანეში (მეგრ.), საფერე ოცხანური (იმერ.), საწურავი (აჭ.), ხემხუ (გურ.), ხუშია შავი (გურ.), ჩხიკოურა (იმერ.).

ქვემოთ მოგვყავს ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების მაჩვენებლების საშუალო ცენტრი:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი ზომის, უმეტეს შემთხვევებში საშუალოდ დანაკეთული, გვხვდება აგრეთვე დაუნაკეთავი და უფრო იშვიათად ძლიერად დანაკეთული ფოთლები, შებუსვა ძლიერი, ქეჩისებრი; მტევანი — საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური და კონუსური, საშუალო სიკუმისი, უმეტეს შემთხვევებში უმხრო; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, ხანდახან მომრგვალო-მოოვალო; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის დონე—ძლიერი და საშუალო.

მთელი ჯგუფი საშუალო ჯიშ-ტიპისაა. მის ფარგლებში გამოიყოფა:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1. 1. (საშ. მანძ. — 19) — ძველშავი საჩხერის, ხუშია შავი, ხემხუ,
1. 2. (საშ. მანძ. — 20) — ბახვა, მამუკას საფერე.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ. — 20,8) — 1. 1.+მამუკას საფერე,
2. 2. (საშ. მანძ. — 24,4) — 1. 2.+ადანასური, მარგული საფერე, ხუშია შავი,
2. 3. (საშ. მანძ. — 25) — ჩხიკოურა, ხემხუ,

2. 4. (საშ. მანძ. — 25) — ღვანურა, მარგული საფერე, საფერე ოცხანური, ხუშია შავი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 29,4) — ყველა ჯიშ **გარეხანური** მსხვილთვალსი.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

ჯგუფში შემაჯავლი ყველა ჯიში.

იმერული ვაზის ჯიშების დომინანტური ჯგუფი.

იმერეთის ჯიშების ჯგუფისათვის ტიპური ჯიშები **საფერე ოცხანური** და **მამუკას საფერე** გვხვდება იმერეთის რაიონებში.

ერთ-ერთ უძველეს ქართული ვაზის ჯიშს—საფერე ოცხანურს, ადრე, დღევანდელთან შედარებით, ჰქონდა გავრცელების ფართო არეალი. აკად. ი. ჯავახიშვილის და პროფ. დ. ტაბიძის აზრით, ჯიში ძველად გარდა იმერეთის რაიონებისა, გვხვდებოდა გურიაშიც. მისმა სახელწოდებამ კი აფიქრებინა მკვლევარებს, რომ იგი შეიძლება წარმოშობილი ყოფილიყო სოფ. ოცხანადან (გურია). ამ ჯიშის სიძველეზე მეტყველებს მისი მორფოლოგიურ ნიშანთა კომპლექსი. თვითდამტკერებელ თესლნერგებს ზოგიერთ შემთხვევაში აღმოაჩნდა ისეთი ფარული რეცესიული ნიშნები, როგორცაა უფრო სუსტად შებუსუსული ახალგაზრდა ყლორტი და ფოთოლი.

საფერე ოცხანური, ერთი მხრივ, ძალიან ახლოს დგას იმერულ ჯიშებთან: მარგულ საფერესთან, საჩხერის ძველშავთან, ხოლო, მეორე მხრივ, გურიის ხუშია შავთან. **ხუშია შავი** ახლო წარსულში გვხვდებოდა როგორც გურიაში (ჩოხატაური), ისე იმერეთში (სამტრედიაში).

აღნიშნულის გამო სავარაუდოა, რომ ეს ჯიშები წარმოშობილია ქვემო იმერეთისა და ზემო გურიის რეგიონში.

მამუკას საფერე და **მარგული საფერე** იმერული ჯიშებია, რომლებსაც ახასიათებთ გავრცელების ვიწრო არეალი ზემო და შუა იმერეთის რაიონებში.

ძველშავი საჩხერის ჯიში, რომელიც ამჟამად გვხვდება მხოლოდ ზემო იმერეთის რაიონებში, ვ. დემეტრაძის, თ. კვარაცხელიას და ა. მიროტაძის აზრით, „შესაძლებელია შემოტანილი იყო საქართველოს რომელიმე სხვა რაიონიდან და აქ პოვა გავრცელება... ამ სახელწოდებით“⁶.

⁶ Ампелография СССР. М.: Пищепромиздат, 1963, т. I, с. 474.

ასეთ მოსახრებას ადასტურებს ჩვენი მუშაობის შედეგად დადგენილი ამ ჯიშის დიდი სიახლოვე გურიის ჯიშებთან — ხუშია შავთან და ხემხუსთან.

ბახვა რაჭული ჯიშია. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, ეს ჯიშია რაჭაში შემოტანილი ყოფილიყო გურიის სოფელ **ბიჭვინჯი** რამ ამ ჯიშის გურიაში არარსებობა როგორც წარსულში, ისე ახლა და მისი იმერულ ჯიშებთან დიდი მსგავსება; საფუძველს არ გვაძლევს ჩავთვალოთ იგი გურიიდან რაჭაში შემოტანილად. აჭარული ჯიშია **ღვანურა**, რომელიც ერთეული ძირების სახით გვხვდება ხულოს რაიონში და იმერული ჯიშია **ჩხიკოურა**, რომელიც აგრეთვე ერთეული ძირების, ხოლო უფრო იშვიათად სუფთა ნარგაობის სახითაა შუა იმერეთში. სიახლოვეს ამყლავნებს იმერეთისა და გურიის ჯიშებთან — ხუშია შავთან და ხემხუსთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჯიშები მიეკუთვნება ფორმათწარმოქმნის აღნიშნულ რეგიონს.

ძალიან ძველი იმერეთის ჯიშია **ადანასური** თავისი გავრცელების არეალისა და იმერეთის ჯიშებთან და აგრეთვე გურიის ხუშია შავთან, რომელიც, თავის მხრივ, გვხვდებოდა როგორც გურიაში, ისე იმერეთში, მსგავსების გამო შეიძლება მიეკუთვნოს იმერეთის აბორიგენული ჯიშების რიცხვს.

ამკარად იმერეთის ჯიშებია **მალლარი მსხვილთვალა** და **დონდლაბი მწვანე**, რომლებსაც ახასიათებს გავრცელების ლოკალიზებული არეალი იმერეთის რაიონებში და დიდი მორფოლოგიური მსგავსება სხვა იმერეთის ჯიშებთან.

იმერეთის ჯიშია **ვერტყვიჭალის თეთრი**, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ ზემო იმერეთის რაიონებში და ბევრი საერთო აქვს იმერულ ჯიშებთან: მამუკას საფერესთან, ჩხიკოურასთან, ადანასურთან, მარგულ საფერესთან და სხვ., ამყლავნებს გარკვეულ სიახლოვეს გურიის ხუშია შავთან, რომელიც ახლო წარსულში გვხვდებოდა იმერეთის რაიონებშიც.

აჭარის ჯიშია **საწური** ავლენს ყველაზე მეტ სიახლოვეს სამეგრელოს **პანეშთან**, იმერეთის მამუკას საფერესთან და რაჭის ბახვასთან. ჯიშია ადგილობრივი, აჭარულია. ხშირად გვხვდებოდა აჭარაში XVIII საუკუნეში. ამ ჯიშის სიახლოვე ზემოთ ჩამოთვლილ ჯიშებთან, მიუთითებს იმ პირველადი ფორმების ფართოდ გავრცელებაზე, რომლებმაც საწყისი მისცეს ამ ჯიშის ფორმირებას.

ძველი ჯიშია **პანეში**, რომელიც გავრცელებული იყო სამეგრელოს შემადლებულ ზონაში, აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს ფართო

ფორმათწარმოქმნის პროცესის პროდუქტად, რასაც მოწმობს მისი როგორც საკმაოდ ახლო ურთიერთობები იმერეთის ჯიშებთან, ისე თვითდამტვერილი თესლენერგების ანალიზისას გამოქვეყნებული მისი სტაბილური გენეტიკური ნიშნები.

ჯ გ უ ფ ი № 9 (ცოლიკოური — ციცქა — ხაფშირა): მასში გაერთიანებულია 12 ჯიში: ათურქუყი (აფხ.), ახარდანი (აფხ.), ბადაგი (გურ.), ბაზალეთური (იმერ.), თავწითელა (იმერ.), კაპისტონი თეთრი (იმერ.), კაჭიჭი (აფხ.), კუნძა (იმერ.), მურადოული (იმერ.), ხაფშირა (აფხ.), ციცქა (იმერ.), ცოლიკოური (იმერ.).

ჯგუფის საერთო მაჩვენებელი:

ახალგაზრდა ყლორტი—ქეჩისებრი შებუსვა; ფოთოლი — დიდი ზომის, ძირითადად დაუნაკვთავი, ზოგჯერ საშუალოდ დანაკვთული, შებუსვა ძლიერი ქეჩისებრი; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ ცილინდრული, საშუალო სიკუმსის; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, უმეტეს შემთხვევებში თეთრი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება — საღვინე; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი, აგრეთვე საშუალო.

ჯგუფი მთლიანად ძლიერი ჯიშ-ტიპია.

მის ფარგლებში გამოიყოფა:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1. 1. (საშ. მანძ. — 19,3) — კაპისტონი თეთრი, თავწითელა,

1. 2. (საშ. მანძ. — 20) — ახარდანი, კაჭიჭი.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ.—24,6)—ათურქუყი, კუნძა, ციცქა, ცოლიკოური, ხაფშირა,

2. 2. (საშ. მანძ. — 25) — ბაზალეთური, მურადოული.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ.—29,5) — ჯგუფის ყველა ჯიში.

იმერეთის ჯიშების დომინანტური ჯგუფია, აფხაზეთის ჯიშების საგრძნობი მონაწილეობით.

ჯიში **ბაზალეთური** ძველი, დასავლეთ საქართველოს ჯიშია, ცოლიკოურის ვარიაცია და მისი ძველი სახელის შემქმნელია, ახლოს დგას **მურადოულთან**, რომელთანაც ერთად, ვფიქრობთ, საერთო წარმოშობის უნდა იყოს.

ცოლიკოური (ობჩური ცოლიკოური), ამჟამად დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჯიშია. საერთო ნარგაობები-

დან გამოიყო შედარებით გვიან პერიოდში, როგორც სოკოვანი და ავადებების მიმართ შედარებით კარგი გამძლე.

ციცქა ერთ-ერთი უძველესი დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ასეთი მოსახრებისათვის საფუძველს იძლევა მისი მრავალფეროვანი ნიშნების ანალიზი და ის, რომ ეს ჯიში ლიტერატურაში მოიხსენიება სხვა ჯიშებთან შედარებით ადრე. ციცქა ახლოს დგას უძველეს იმერეთის ჯიშებთან — **კუნძასთან** და **კაპისტონ თეთრთან**, რაც მიუთითებს მათ საერთო წარმომავლობაზე. ციცქასთან და კაპისტონ თეთრთან ახლოსაა აგრეთვე იმერეთის ძველი ჯიში **თავწითელა**.

აფხაზეთის ჯიშები **ათურქუჯი** და **ხაფშირა**, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან, აგრეთვე გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ ძველ იმერეთის ჯიშებთან, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ვერსიას მათ ძველ წარმოშობაზე. აფხაზეთის ჯიში **ახარდანი** დ. ტაბიძის აზრით, წარმოშობილია დასავლეთ საქართველოში. გარდა აფხაზეთისა, სამკაქვას სახელწოდებით გვხვდებოდა იმერეთში, აგრეთვე სამეგრელოში. აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ჯიში გვხვდება გურიაშიც.

მეორე აფხაზეთის ჯიში **კაჭიჭი** ძველად გავრცელებული იყო როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრელოში. ამ ჯიშების ურთიერთსიახლოვე და მათი იმერეთის ჯიშების დომინანტურ ჯგუფში მოხვედრის ფაქტი მოწმობს მათ საერთო წარმოშობაზე კოლხეთის ფორმატ-წარმოქმნის კერაში.

გურიის ჯიში **ბადაგი** ფილოქსერის შემოჭრამდე ფართოდ იყო გავრცელებული გურიაში.

ჯგუფი № 10 (შავკაპიტო). ჯგუფში 9 ჯიშია: ბუზა (ქართ.), თქვლაფა (ქართ.), იყალთოს წითელი (კახ.), კუმსი შავი (კახ.), თხტოურა (იმერ.), რაჭული შავი, ქველოური (იმერ.), ლარიბა წითელი (ქართ.), შავკაპიტო (ქართ.).

ჯგუფში გავრთიანებული ჯიშების ძირითადი ნიშან-თვისებების საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, მომრგვალო, საშუალოდ და სუსტად დანაკეთული, შებუსვა ძლიერი, ქეჩისებრი; მტევანი—საშუალო, ცილინდრულ-კონუსური და კონუსური, იშვიათად ცილინდრული, საშუალო სიკუმსის; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, შავი, სიმწიფის საშუალო პერიოდის; სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვახის ზრდის ღონე—საშუალო.

მთლიანად ჯგუფი ძლიერი ჯიშ-ტიპია. მის შიგნით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:



1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

- 1. 1. (საშ. მანძ. — 16) — ღარიბა წითელი, ქველოური,
- 1. 2. (საშ. მანძ. — 19) — ქველოური, ოსტოური,
- 1. 3. (საშ. მანძ. — 19) — თქვლაფა, შავი,
- 1. 4. (საშ. მანძ. — 19) — ბუზა, თქვლაფა,
- 1. 5. (საშ. მანძ. — 20) — კუმსი შავი, ოსტოურა.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

- 2. 1. (საშ. მანძ.—22,3) — ბუზა, კუმსი შავი, თქვლაფა,
- 2. 2. (საშ. მანძ. — 22,3) — იყალთოს წითელი, რაჭული შავი, თქვლაფა, შავკაპიტო,
- 2. 3. (საშ. მანძ. — 23,5) — ყველა ჯიში გარდა ბუზასი და რაჭული შავის.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

- 3. 1. (საშ. მანძ. — 25,6) — ჯგუფის ყველა ჯიში.

ქართლის ვაზის ჯიშების დომინანტური ჯგუფია.

ქართლის ჯიშები **შავკაპიტო, თქვლაფა** და **ბუზა** ადგილობრივი ჯიშებია და ვაზის ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი მცენარეების გავრცელების არეალის აღმოსავლეთ ზონაში მიმდინარე ფორმათ-წარმოქმნის პროცესის პროდუქტია. შავკაპიტო ძირითადად გავრცე-ლებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი⁷ მას არასწორად თვლიდნენ კახეთის ჯიშების ენდემური ჯგუფის წარმომადგენლად.

ჩვენ მიერ წარმოებული, შავკაპიტოს თვითდამტვერილი თესლ-ნერგების შესწავლისას გამოვლინდა ფართულ მდგომარეობაში მყოფი რეცესიული ნიშნები — ფოთლის აბლაბუდისებრი შებუსვა, მარცვლის თეთრი შეფერვა და სხვ. ჰომოზიგოტური აღმოჩნდა მარცვლის მომრგვალო ფორმა, ახალგაზრდა ყლორტის ქეჩისებრი შებუსვა, ყვავილის ორსქესიანი ტიპი და სხვ, რითაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა ამ ჯიშის შედარებით ძველი წარმოშობა.

ბუზა და **თქვლაფა** ლოკალიზებულია ქართლის რაიონებში.

ბუზას შედარებით ძველ წარმოშობაზე ფენოტიპის ნიშნების გარდა, მეტყველებს მისი გენეტიკური ანალიზის მასალა.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის ასეთივე შებუსულფოთ-

⁷ Пиралов А., Шавердов С. Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе. Тифлис. Изд. Кавказского филлоксерного комитета. 1895, кн. III—IV, с. 241.

ლიანი ჯიშებია, კახეთის ჯიშები: იყალთოს წითელი, კუმის შავი და ქართლის ჯიში ღარიბა წითელი.



რაჭის ჯიშები ქველოური, რაჭული შავი და იმერეთის ოსტოურა მიეკუთვნებიან დასავლეთ საქართველოს ბის რიცხვს. ქველოურის ვაზის ჯიშის სახელწოდება გვხვდება XVI საუკუნის მკვლევარის სულხან საბა ორბელიანის შრომაში⁸.

ქველოურის, რაჭული შავისა და ოსტოურას დასავლეთ საქართველოს მიკროზონებში ვიწრო ლოკალიზაციის მიუხედავად, ისინი ამჟღავნებენ რა ამავე საკლასიფიკაციო ჯგუფის სიახლოვეს, აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის შებუსუსლფოთლიან ჯიშებთან, მიუთითებს თავის სავარაუდო საერთო წარმომავლობას.

ჯ გ უ ფ ი № 12 (ძიგანიძე-კოცხანა) შედგება ორი ჯიშისაგან: იმერეთის — ძიგანიძე და გურიის — კოცხანა.

აღნიშნული ჯიშები ერთმანეთსა ჰგავს შემდეგი ნიშან-თვისებებით: ახალგაზრდა ყლორტი შებუსუსლია ქეჩისებრი ბუსუსებით; ყვავილის ტიპი ორივე ჯიშს ფუნქციურად მდებარეობითი აქვს; ფოთოლი—დიდი, საშუალოდ დანაკეთული, ძლიერად შებუსუსლი ქეჩისებრად; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმისი და უფრო იშვიათად ძალიან კუმისი, გვხვდება ფრთიანი მტევნები; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო-ოვალური, შავი; სიმწიფის პერიოდი — საგვიანო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

ორივე ჯიში გაერთიანებულია სუსტ ჯიშ-ჯგუფად.

ჯ გ უ ფ ი № 14 (გაბეხაურა შავი-სხილათუბანი). მასში გაერთიანებულია 13 ჯიში: ავშილური (მეგრ.), აჭარული შავი, გაბეხაურა შავი (იმერ.), დუდლუში (მეგრ.), ზამთრის თეთრი, მაური თეთრი (გურ.), მაჭყვატური (მეგრ.), ოფოურა (გურ.), საფერავი ვაიო (აჭ.), სხილათუბანი (გურ.), შავბარდა (იმერ.), ჩერგვალი (მეგრ.), ჭოდი სალხინოსი (მეგრ.).

საშუალო ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, მომრგვალო, დაუნაკეთავი, ზოგჯერ საშუალოდ დანაკეთული, ძლიერად, ქეჩისებრად შებუსუსლი; მტევანი—საშუალო, უმეტეს შემთხვევებში ცილინდრულ-კონუსური; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო-მოოვალო. ყურძნის სიმწიფის პერიოდი საგვიანო და ზოგჯერ

⁸ ორბელიანი სულხან საბა. ქართულ სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, „ქართული წიგნი“, 1928, გვ. 368.

ძლიერ საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება — საღვინე.
მთელი ჯგუფი საშუალო ჯიშ-ტიპია. მასში გამოიყოფა:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1. 1. (საშ. მანძ. — 18) — აჭარული შავი სხილათუბანი,
1. 2. (საშ. მანძ. — 19,7) — გაბეხოურა შავი, სხილათუბანი, ჭოდი სალხინოსი,
1. 3. (საშ. მანძ. — 18) — დუღლუში, მაჭყვატური.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ. — 22,8) — 1. 1.+1. 2,
2. 2. (საშ. მანძ. — 23,7) — 1. 3.+ ავშილური,
2. 3. (საშ. მანძ. — 24,9) — 1. 3.+1. 2.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 26,7) — 2. 1.+2, 2,
3. 2. (საშ. მანძ. — 27,3) — ზამთრის თეთრი, სხილათუბანი, ჭოდი, სალხინოსი,
3. 3. (საშ. მანძ. — 27,9) — 2. 2+მაური თეთრი, ჩერგვალი,
3. 4. (საშ. მანძ. — 30) — საფერავი ვაიო, სხილათუბანი.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მანძ.—34,6) — ჯგუფის ყველა ჯიში.

ჯგუფი სამეგრელოს ჯიშების საგრძნობი წილით. ახლოს არის №32 ჯგუფთან. ამჟღავნებს გარდამავალ თვისებებს აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშების ჯგუფებისაკენ.

სამეგრელოს ჯიშები **ავშილური, მაჭყვატური** და **დუღლუში**, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მეორეხარისხოვანი ნიშნებით, შეადგენს ჯიშ-ჯგუფს. გავრცელებულია ზემო და ნაწილობრივ შუა სამეგრელოში. სამეგრელოს ჯიში **ჩერგვალი** ამჟღავნებს აგრეთვე მსგავსებას აღნიშნულ ჯიშებთან. იგივე ჯიშებთან ახლოს არის გურიის **მაური თეთრი**.

გაბეხოურა შავი იმერეთის ჯიშია. ახლოს დგას გურიის **სხილათუბანთან** და სამეგრელოს **ჭოდი სალხინოსთან**. სხილათუბანი გვხვდება გურიაში, მაგრამ ადრე ცნობილი იყო იმერეთშიც.

თავის მხრივ, სხილათუბანიან მსგავსებას ამჟღავნებს ჯიში **აჭარული შავი**. **საფერავი ვაიო** ადგილობრივი, აჭარის ჯიშია, **შავბარდა** — იმერეთის, უფრო ახლოს მდგომია იმერეთის **გაბეხოურა** შავთან და გურიის ჯიშ **სხილათუბანიან**. გურიის ჯიში **ოფურა** ემსგავსება გურიის **სხილათუბანს** (ჯა აჭარულ შავს. გაურკვეველი წარ-

მოშობის ჯიშში ზამთრის თეთრი, ალბათ, უფრო ახლოსაა გურჯისტისა და სამეგრელოს ჯიშებთან.

ამრიგად, აღნიშნულ კლასიფიკაციურ ჯგუფში გაერთიანებული ჯიშები კონცენტრირდებიან კოლხეთის ფორმათწარმოქმნის ცენტრალურ და სამხრეთ ზონებში.

ჯგუფი № 15 (ჩემი — ჭანკილოური). ჯგუფში 9 ჯიშია: ბეწოურა (იმერ.), კიბურა (აჭ.), წითლანი (გურ.), ჭანკილოური (დას. საქ.), ჭვიტილური (მეგრ.), ჭეჭიბერა (აჭ.), ჩემი (მეგრ.), ჩხუჩემი (მეგრ.), ხროგი (რაჭ.).

ამ ჯიშების ნიშან-თვისებათა საშუალო მაჩვენებლებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, დაუნაკეთავე და იშვიათ შემთხვევებში საშუალოდ დანაკეთული, შებუსული ქეჩისებრი ბუსუსებით; მტევანი—საშუალო, ცილინდრული და ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ კონუსური, უმხრო; მარცვალი—საშუალო, მომრგვალო, თეთრი და ვარდისფერი; სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება—საღვინე და იშვიათად სასუფრე; ვახის ზრდის ღონე საშუალო, ზოგჯერ ძლიერი.

ჯგუფი საშუალო ჯიშ-ტიპია. მასში გამოიყოფა:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ.—25)—ჭვიტილური, ჩემი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ.—28)—ბეწოურა, წითლანი,

3. 2. (საშ. მანძ.—28)—ჭეჭიბერა, ჩემი,

3. 3. (საშ. მანძ. 29,5) — 2. 1.+ხროგი, ჭანკილოური.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მანძ. — 34,9) — ჯგუფის ყველა ჯიშ.

ჯგუფი სამეგრელოს ჯიშების საგრძნობი წილით. ახლოს არის №№ 8, 9, 2 ჯგუფთან.

ჭვიტილური საკმაოდ ფართოდ ცნობილი, სამეგრელოს ჯიშია, რომელიც გავრცელებული იყო სამეგრელოს თითქმის ყველა სოფელში.

ჩემი სამეგრელოს ჯიშია. ძალიან ჰგავს ჭვიტილურს. ჭანკილოურის წარმოშობის პირველად რეგიონად ითვლება კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. **ჩხუჩემი** სამეგრელოს ჯიშია და გვხვდება ერაყული ძირების სახით ზემო სამეგრელოში. ნიშან-თვისებებით ახლოს არის ადგილობრივი ჯიშების ჯგუფთან. **ჭეჭიბერა** აჭარული ჯიშია, გვხვდება აითო-ოროლა ხულოს რაიონში, ამჟღავ-



ნებს გარკვეულ ურთიერთკავშირს სამეგრელოს ჯიშებთან—ჩეშთან, ჭვიტილურთან, ჩხუჩეშთან და მათთან ერთად ითვლება კოლხელოს ფორმათწარმოქმნის კერის ტიპურ წარმომადგენლად.

რაჭის ჯიში **ხროგი**, თითოეორღა გვხვდება შიშისა და ურის რაიონში, ამჟღავნებს ურთიერთობას კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულ ჯიშებთან და, უნდა ვიფიქროთ, რომ იქიდან არის შეტანილი რაჭაში. იმერეთის **ბეწოურა** და გურიის **წითლანი**, რომლებიც ერთეული ძირების სახით გვხვდება იმერეთისა და გურიის რაიონებში, ჩგუფში შემავალ ყველა ჯიშზე უფრო მეტად ამჟღავნებს ურთიერთმსგავსებას. აბორიგენული აჭარის ჯიში **კიბურა**, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მორფოლოგიური ნიშნებითა და ბიოლოგიური თვისებებით (ძლიერად, ქეჩისებრად შებუსუსული ახალგაზრდა ყლორტი და ფოთოლი, სიმწიფის საგვიანო პერიოდი და სხვ.) ავლენს მსგავსებას დასავლეთ საქართველოს ჯიშების ჩგუფთან, საბჭოთა კავშირის ამპელოგრაფიაში არამართებულად მიაკუთვნეს იგი დასავლეთ ევროპის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჩგუფის ჯიშებს.

ჩგუფი № 19 (ვენაძის თეთრა-მწკლარტა), მასში ორი ჯიშია—ვენაძის თეთრა და კახეთის, მწკლარტა. ორივე ჯიშისათვის საშუალო მაჩვენებლებია: ახალგაზრდა ყლორტი — შებუსუსა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, ქეჩისებრად შებუსუსული; მტევანი — საშუალო, კონუსური; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე.

ვენაძის თეთრა და მწკლარტა ერთმანეთისაგან დაშორებულია მანძილით 30, რაც საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი ძლიერ ჯიშ-ტიპის ჩგუფში.

ჩგუფი № 24 (საფერავი-ჩეჩიფეში). მასში გაერთიანებულია 11 ჯიში.: ზერდაგი (მეგრ.), კამური თეთრი (დას. საქ.), კამური შავი (დას. საქ.), კრახუნა შავი (იმერ.), მცვივანი წითელი (იმერ.), სამარხი (გურ.), სამაჭრე (იმერ.), საფერავი (კახ.), საფერავი ატენის (ქართ.), ცხენის ძუძუ კახური, ჩეჭიფეში (მეგრ.).

ჩგუფისათვის დამახასიათებელი საშუალო ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსუსა ქეჩისებრი; ფოთოლი — დიდი, ძირითადად სუსტად დანაკეთული, ქეჩისებრი შებუსუსით; მტევანი— საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, უფრო იშვიათად ცილინდრული, საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მეჩხერი, ძირითადად უმხრო, ზოგჯერ ფრთიანი; მარცვალი—საშუალო, უმეტე-

სად ოვალური, თანაბრად შავი, ან თეთრი, ყურძნის სიმწიფის პერი-
ოდი—საშუალო და საგვიანო; სამეურნეო მიმართულება ძირითადად
საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო.

მთელი ჯგუფი, გარდა კრახუნა შავისა, სუსტი მკვრივობისაა.
მეწივე გამოიყოფა:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ. — 22,7) — კამური შავი, საფერავი, საფერა-
ვი ატენის,

2. 2. (საშ. მანძ. — 23) — ზერდავი, ჩეჭიფეში.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 28,5) — 2.1+სამაჭრე,

3. 2. (საშ. მანძ. — 28,7) — 2.1+კამური თეთრი, ჩეჭიფეში,

3. 3. (საშ. მანძ. — 29,1) — 2. 1.+მცვივანი წითელი, ჩე-
ჭიფეში.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 30,7) — 2.2.+სამარხი,

4. 2. (საშ. მანძ. — 33) — ყველა ჯიში, გარდა კრახუნა შა-
ვის, სამარხის ცხენის ძუძუ კახურის.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 36,7) — ყველა ჯიში, გარდა კრახუნა
შავისა.

შერეული ჯგუფია. უახლოვდება ჯგუფებს №№ 36, 6 და 32-ს,
საფერავი ერთ-ერთი უძველესი ქართული ვაზის ჯიშია. ისტო-
რიული და ლინგვისტური მონაცემების დეტალური გამოკვლევისა
და ანალიზის შედეგად, აკად. ი. ჯავახიშვილი ამ უძველესი ჯიშის
წარმოშობის შესახებ აკეთებს შემდეგ დასკვნას: საფერავი პირვე-
ლად წარმოიშვა კოლხეთის ფორმათწარმოქმნის კერაში, შავი ზღვის
აღმოსავლეთ სანაპიროზე, ძველ ქართულ პროვინცია შავშეთ-კლარ-
ჯეთში. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, იგი გავრცელდა აღმოსავლე-
თისაკენ და XVII საუკუნეში უკვე კარგად იყო ცნობილი ქართლ-
ში, ხოლო მოგვიანებით კახეთშიც. იმას, რომ საფერავი მართლაც,
ძველი ჯიშია, გარდა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა, კარგად
მოწმობს მისი უფრო ძველი, დომინანტური ნიშნები, რომელთა
სტაბილურობა დადასტურდა ჩვენ მიერ ჩატარებული ამ ჯიშის გე-
ნეტიკური ანალიზის დროს.

იმის დამამტკიცებლად, რომ საფერავი შეიძლება წარმოშო-

ბილიყო კოლხეთის კერაში და არა უშუალოდ ჯიშების ფორმათ-
წარმოქმნის აღმოსავლეთ ზონაში, შეიძლება გამოდგეს ჩვენ მიერ
გამოვლენილი მისი მყარი კავშირები უძველეს დასავლურ საქართვე-
ლოს ვახის ჯიშებთან—კამურ შავთან და თეთრთან, ჩეტილთან
სამაქრესთან, წითელ მცვივანთან და სხვ.

საფერავი ატენის უმნიშვნელოდ განსხვავდება საფერავისაგა-
და ახლოს არის ზემოთ ჩამოთვლილ, საფერავთან ახლოს მდგომ ჯი-
შებთან, ერთეული ძირების სახით გვხვდება ცენტრალური ქართ-
ლის რაიონებში და, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს ახლო-
მდგომ ფორმად, რომელიც გამოიყო ადგილობრივ პირობებში სა-
ერთო საწყისიდან.

კამური თეთრი და კამური შავი უძველესი, დასავლეთ საქარ-
თლოს ჯიშებია. კამური თეთრი, აკად. ი. ჩოლოყაშვილის, ე. ნაკა-
შიძის⁹, მ. რამიშვილის აზრით, ადგილობრივი გურიის ჯიშია. სხვა
მკვლევარები — აკად. ი. ჯავახიშვილი, ი. ბახტაძე¹⁰ თვლიან, რომ
კამური თეთრი, ისე როგორც კამური შავი, გურიის გარდა გავრცე-
ლებული იყო იმერეთშიც.

სამეგრელოს ჯიშები ჩეჭიფეში და ზერდაგი ითვლებიან აგრე-
თვე უძველეს, კოლხეთის ფორმათწარმოქმნის კერის ტიპურ წარ-
მომადგენლებად. გურიის სამარხი ასეთივე უძველესი, ადგილობრი-
ვი კოლხეთის კერის ჯიშია, რომლის სიძველეზე, თავის დროზე მიუ-
თითებდა აკად. ი. ჯავახიშვილი; სამაქრე უძველესი იმერეთის ჯიშია;
კრახუნა შავისა და მცვივანი წითელის გავრცელების არეალი იმე-
რეთია; ცხენის ძუძუ კახური ძველთაგანვე ცნობილი ქართული ვა-
ხის ჯიშია, აქვს შორეული მსგავსება საფერავთან, ატენის საფერავ-
თან, კამურ თეთრთან და კამურ შავთან.

გ ვ უ ფ ი № 25 (ჩხუში). — ერთი ჯიშია, აჭარული — ჩხუში.

ეს ჯიში ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით: ახალგაზრდა
ყლორტი—შებუსვა სქელი ქეჩისებრი ბუსუსებით; ყვავილის ტიპი—
ფუნქციონალურად მდებრობითი; ფოთოლი—დიდი, მომრგვალო,
საშუალოდ და ძლიერად დანაკვეთილი, შებუსუსული სქელი ქეჩისებ-
რი ბუსუსებით, ყუნწის ამონაკვეთი—ღია, თალისებრი, ჩანგისებრი
და ისრისებრი; მტევანი—საშუალო, ცილინდრული, უმეტესად მეჩ-

⁹ Накашидзе Е. Сборник сведений по виноградарству и вино-
делию на Кавказе. 1896. Вып. IV, с. 36.

¹⁰ Бахтадзе И. Г. Результаты обследования полевых культур Аб-
хазии и Верхней Сванетии, 1927, с. 22.

ხერი, მაგრამ გვხვდება საშუალო სიკუმსის მტევნებიც; ძირითადად უმბრო; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო და მომრგვალო-მოივლო, შავი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — სავეიანო და ძლიერ სავეიანო; პროდუქციის სამეურნეო მიმართულება — **საჩვენებელი ზის ზრდის ღონე — საშუალო.**

საჩვენებელი ზის ღონე

ჯ გ უ ფ ი № 28 (წირქვალის თეთრი). გაერთიანებულია 4 ჯიში: ალაბეური თეთრი (რაჭ.), ციცქინა, წირქვალის თეთრი (იმერ.), წმინდა თეთრი (რაჭ.).

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების საშუალო მაჩვენებლებია: ახალგაზრდა ყლორტი—ქეჩისებრად და აბლაბუდისებრად შებუსუსული; ფოთოლი — საშუალო, ძირითადად დაუნაკეთავი, შებუსევა ძლიერა, ქეჩისებრი; მტევანი — საშუალო, საშუალო სიკუმსის; მარცვალი—საშუალო, მომრგვალო, თეთრი და შავი. სიმწიფის პერიოდი—საშუალო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე; ვაზის ზრდის ღონე-საშუალო, იშვიათად სუსტი.

მთლიანად ჯგუფი საშუალო ჯიშ-ტიპია. მასში გამოიყოფიან:

- 3. ძლიერი ჯიშ-ტიპი;
- 3. 1. (საშ. მანძ. — 27,7) — ალაბეური თეთრი, წირქვალის თეთრი, წმინდა თეთრი.
- 4. საშუალო ჯიშ-ტიპი;
- 4. 1. (საშ. მანძ. — 34) — ყველა ჯიში.

ჯგუფი რაჭის ჯიშების საგრძნობი წილით.

ალაბეური თეთრი ძირითადად გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, მაგრამ გვხვდებოდა იმერეთშიც. რაჭის აბორიგენული ჯიშია აგრეთვე **წმინდა თეთრი**. იმერეთის ჯიში **წირქვალის თეთრი**, ერთეული ძირებისა და ძირების ჯგუფების სახით გვხვდება რაჭის მოსაზღვრე ჭიათურის რაიონში, სიახლოვეს ამჟღავნებს აღნიშნულ რაჭულ ჯიშებთან და ნიშან-თვისებათა კომპლექსით ტიპური აბორიგენული ჯიშია, რაც, მით უმეტეს, არ იძლევა არავითარ საფუძველს მისი მიკუთვნებისათვის დასავლეთ ევროპის ჯიშთა ჯგუფისათვის¹¹.

ციცქინა გამოყოფილი ჯიშ-ტიპის წევრია, რაც აგრეთვე მითითებს იმაზე, რომ ისიც ადგილობრივი ჯიშია.

ჯ გ უ ფ ი № 31 (კახის წითელი — რცხილი).

გაერთიანებულია 7 ჯიში: კახის წითელი (კახ.), მირზაანული (კახ.), მცვივანი რაჭული, რცხილი (რაჭ.), საფერავი ბეჟაშვილის (ქართ.), შაბა (ქართ.), შავთხილა (კახ.).

¹¹ Амцелография СССР. М.: Пищепромиздат, 1966, т. III, с. 386.

ამ ჯიშებისათვის დამახასიათებელია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთლოვანი—დიდი, მომრგვალო, საშუალოდ, ზოგჯერ სუსტად დანაკვეთული, შებუსული ძლიერად, ქეჩისებრად; მტევანი — საშუალო, კონუსური და იშვიათად ცილინდრული; იშვიათად მეჩხერი, ძირითადად უმხრო; მარცვალი—საშუალო, მომრგვალო-მოოვლო; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ზოგჯერ ძლიერი.

ჯიშები გაერთიანებულია ერთ სუსტ ჯიშ-ტიპად. მის ფარგლებში გამოყოფილია:

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 28) — კახის წითელი, რცხილი,

3. 2. (საშ. მანძ. — 28) — მცვევანი რაჭული, შაბა.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 31) — 3. 1. + საფერავი ბეჟაშვილის,

4. 2. (საშ. მანძ. — 33,3) — 3. 2. + მირზაანული.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 37,3) — ყველა ჯიში.

ახლოს არის №№ 32, 42, 10 ჩგუფებთან.

ჯიშების უმრავლესობა მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის ძლიერად შებუსულფოთლიანი ვაზის ჯიშების ნაირსახეობას.

კახური ვაზის ჯიშების—კახის წითელი, მირზაანული, შავთხილი და ქართლის ჯიშების — შაბა და საფერავი ბეჟაშვილის მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისინი არიან შედარებით ძველი, საქართველოს ვაზის კულტურული ჯიშების ადგილობრივი ფორმათწარმოქმნის კერაში წარმოშობილი ვაზის ჯიშები.

რაჭის ჯიშები მცვევანი და რცხილი აგრეთვე ძველი ჯიშებია. ვიწრო ლოკალიზაცია, კულტურის სიძველე და მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი მოწმობს მათ ენდემურობაზე. ამავე დროს ამ ჯიშების სიახლოვე ჩგუფის აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ მათთან ერთად მათი საერთო წარმოშობა პირველსაწყისი წყაროდან.

ჩგუფი № 32 (კრახუნა-მცვევანი კახური-ბაშანიკი). მასში 7 ჯიშია: ინგილოური (კახ.), კაბისტონი რგვალი (რაჭ.), კრახუნა

(იმერ.), მცვივანი კახური, პაშანიკი (რაჭ.), ყვირა (რაჭ.), წყობილა (კახ.).

ჩგუფის საშუალო ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; დაუნაკვათავი, ქეჩისებრად შებუსვილი; მტევანი—თადად კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, ძირითადად საშუალო სიკუმის, უმბრო; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო-ოვალური, იშვიათად მომრგვალო, უმეტესად თეთრი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საშუალო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ძლიერი.

მთელი ჩგუფი ძლიერი ჯიშ-ტიპია. მის ფარგლებში გამოიყოფა სუსტი ჯიშ-ჩგუფი.

2. სუსტი ჯიშ-ჩგუფი:

2. 1. (საშ. მანძ. — 23) — ინგილოური, კაბისტონი რგვალი, მცვივანი კახური, პაშანიკი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 29,9) — ჩგუფის ყველა ჯიში.

ჩგუფი კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ჯიშების საგრძნობი წილით.

კახეთის ჯიშები — მცვივანი, ინგილოური და წყობილა აღმოსავლეთ საქართველოს პირველადი, წარმომობით უფრო ძველი ნაირსახეობის წარმომადგენლებია.

მცვივანი კახური ცნობილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაგრამ საგულისხმოა მისი უფრო ძველი არსებობა. გვხვდებოდა ნარევის სახით რქაწითელის ვენახებში, **ინგილოური** — ერთეული ძირების სახით, **წყობილა** — საფერავის ნარგაობებში აგრეთვე ერთეული ძირების სახით. პროფ. დ. ტაბიძის აზრით, ეს ჯიში „ბოტანიკური ნიშნებით ახლოს არის საფერავთან და მისგან განსხვავდება ძირითადად მარცვლის მომრგვალო ფორმით, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ღია ფორმით და სხვ.“¹².

ნიშანთა ანალიზის ჩატარებითა და ჯიშების შედარებით აღმოჩნდა, რომ წყობილა უფრო ახლოს დგას სხვა კახეთის ჯიშებთან — ინგილოურთან და მცვივანთან.

კაბისტონი მრგვალი და პაშანიკი რაჭის ჯიშებია, რომლებიც ახლოსაა კახეთის ჯიშებთან მცვივანთან და ინგილოურთან.

¹² Ампелография СССР. М.: Пищепромиздат, 1966, т. III, с. 392.

კახისტონი მრგვალი ძველთაგანვე ცნობილი, გავრცელების საკმაოდ ფართო არეალის მქონე დასავლეთ საქართველოს ჯიშია. ეს ჯიში პროფ. დ. ტაბიძის სიტყვით, ახლო წარსულში გვხვდებოდა იმერეთის, რაჭისა და გურიის რაიონებში ერთეულად, მაგრამ უკვე ტარა მასივების სახით. **პაშანიკს** აქვს უფრო ვიწრო ლიწებულებები, ლიწებულები არეალი. იმერეთის ჯიში **კრაზუნა** ერთ-ერთი უძველესი ქართული ვაზის ჯიშია. ვ. სტაროსელსკის აზრით, იგი იმერეთში შემოტანილია კახეთიდან. ძირითადად გავრცელებული იყო იმერეთში, მაგრამ გვხვდებოდა კახეთში, ქართლში, რაჭაში, სამეგრელოსა და აჭარაში.

ყველა ზემოთქმული მოსაზრებები, აგრეთვე ამ ჯიშის სიახლოვე კახეთისა და რაჭის ჯიშებთან, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მისი მოძრაობა დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ზონებში ხდებოდა ამ რაიონებიდან.

რაჭის ყვირას წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ მისი სიახლოვე სხვა ადგილობრივ ჯიშებთან, აგრეთვე ის, რომ მას ახასიათებს ქართული ვაზის ჯიშებისათვის ტიპური ნიშანთვისებები, საფუძველს არ გვაძლევს ამ ჯიშის მიკუთვნებისათვის დასავლეთ ევროპის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფისათვის, როგორც ეს მოცემული აქვს „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის“ ტომში ა. მიროტაძეს.

ჯ გ უ ფ ი № 33 (ძველი ალექსანდროული — კახის თეთრი). შედგება ორი ჯიშისაგან: ძველი ალექსანდროული (რაჭ.) და კახის თეთრი (კახ.).

ორივე ჯიშისათვის საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, ძლიერად ქეჩისებრად შებუსული; მტევანი — საშუალო, უმთავრესად საშუალო სიკუმისი, ზოგჯერ ფრთიანი; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო-ოვალური; სიმწიფის პერიოდი—საშუალო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე და საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ძლიერი.

აღნიშნული ორი ჯიში: ძველი ალექსანდროული და კახის თეთრი ერთმანეთისაგან დაცილებულია მანძილით 49, რაც საშუალებას არ გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი სუსტ ჯიშ-ტიპშიც კი.

კახის თეთრი აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერშებუსული ფოთლიანი ჯიშების წარმომადგენელია. ძველი ალექსანდროული ერთეული ძირების სახით გვხვდება ამბროლაურის რაიონში. გარდა

სახელწოდებისა, არაფერი არა აქვს საერთო ცნობილ რაჭის
ალექსანდროულთან და მასთან შედარებით უდავოდ უფრო ძველია.

ჩ გ უ ფ ი № 34 (მახათური). შედგება ერთი ჯიშისაგან: მახათუ-
რი — გურიის ჯიში.

ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით: ახალგაზრდა ყლორ-
ტი — შებუსუსული ქეჩისებრად; ყვავილის ტიპი — ორსქესიანი; ფო-
თოლი — საშუალო, დაუნაკეთავი, შებუსუსული ქეჩისებრი ბუსუსე-
ბით; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი — ღია, ჩანგისებრი და ისრისებ-
რი; მტევანი — საშუალო, ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სი-
კუმის და მეჩხერი, უმბრო; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო,
შავი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — ძლიერ საგვიანო; პროდუქ-
ციის სამეურნეო მიმართულება — სასუფრე. ვაზის ზრდის ღონე —
ძლიერი და საშუალო.

გვხვდება ერთეული ძირების სახით გურიასა და აჭარაში.

ჩ გ უ ფ ი № 35 (ორონა-ჩხავერი). ჩგუფში სამი ჯიშია: კო-
ლოში (გურ.), ორონა (გურ.) და ჩხავერი (გურ.).

აღნიშნული ჯიშების საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი —
საშუალო, დაუნაკეთავი, შებუსუსული ქეჩისებრი ბუსუსეობით; მტევან-
ი — საშუალო, ცილინდრული და ცილინდრულ-კონუსური; მარც-
ვალი — თითქმის პატარა ზომის, ძირითადად მომრგვალო, შავი; სიმ-
წიფის პერიოდი — ძლიერ საგვიანო; სამეურნეო მიმართულება —
საღვინე; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი და საშუალო.

წარმოადგენს ძლიერ ჯიშ-ტიპს. ამ ჯიშების ურთიერთკავშირე-
ბი ჩგუფის შიგნით ნაჩვენებია ქვემოთ:

- 2. სუსტი ჯიშ-ჩგუფი:
 - 2. 1. (საშ. მანძ. — 20) — კოლოში, ორონა.
- 3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:
 - 3. 1. (საშ. მანძ. — 27,7) — ჩგუფის ყველა ჯიში.

სამივე, ერთმანეთთან ახლოს მდგომი ჯიში ადგილობრივი, კოლ-
ხეთის ფორმათწარმოქმნის კერის წარმომადგენელია.

კოლოში გვხვდება გურიასა და სამეგრელოში. აკად. ს. ჩო-
ლოყაშვილის აზრით, ჯიში წარმოშობით სამეგრელოდან უნდა იყოს.
მაგრამ კოლოშის უფრო ახლო მანძილები აღნიშნულ გურიის ჯი-
შებთან და განსაკუთრებით გურიაში ლოკალიზებულ ორონასაგან
საფუძველს გვაძლევს ვიგულისხმობ, რომ ჯიში, პირიქით, გურიი-
დან შეიძლება და გავრცელებულიყო სამეგრელოში.

გურიის ჯიში ჩხავერი ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების გამოჩენამდე, სამეურნეო თვალსაზრისით როგორც აღნიშნულ ჯიშებისაგან ყველაზე ძვირფასი, გურიის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული ქვემო იმერეთის რაიონებში. ჩხავერი შეიქმნა ძველქვეთნოს ერთ-ერთ უძველეს ვაზის ჯიშებს, რომელიც წარმოადგენდა ვაზის კულტურული ჯიშების კოლხეთის კერაში. ამ ჯიშის სიძველეზე მეტყველებს მისი გენეტიკური ანალიზისას გამოვლენილი ფარული რეცესიული ნიშნები—ახალგაზრდა ყლორტისა და ფოთლის აბლაბუდისებრი შებუსვა, ფოთლის ფირფიტის საშუალოდ და ძლიერად დანაკეთვა, მარცვლის თეთრი შეფერვა და სხვ.

ჯ გ უ ფ ი № 36 (ალადასტური). გაერთიანებულია 9 ჯიში: ალადასტური (გურ.), აჩკიკიყი (აფხ.), დონდლაბი შავი (იმერ.), ვერტყვიჭალის შავი (იმერ.), რკო თეთრი (იმერ.), რკო შავი (იმერ.), ქართულა (იმერ.), ჩიტისკვერცხა შავი (ქართ.), ცხენის ძუძუ აჭარული.

ყველა ჯიშისათვის საშუალო მაჩვენებელია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, უმეტესად ქეჩისებრად შებუსული; მტევანი—საშუალო; მარცვალი — საშუალო, უმეტესად ოვალური; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საგვიანო.

ჯიშები განაწილებულია რამდენიმე ჯგუფში:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ. — 24) — ალადასტური, ცხენის ძუძუ აჭარული.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 31) აჩკიკიყი, ცხენის ძუძუ აჭარული,

4. 2. (საშ. მანძ. — 32,3) 2. 1.+რკო შავი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 37,4) — 4, 2.+ვერტყვიჭალის შავი, ჩიტისკვერცხა შავი,

5. 2. (საშ.მანძ. — 40) — ალადასტური, რკო თეთრი.

6. 40-ზე მეტი მანძილით ყველა ჯიშისაგან დაშორებულია ერთი ჯიში — ქართულა.

იმერეთის ჯიშების დომინანტური ჯგუფია.

ალადასტური ფორმირდებოდა კულტურული ჯიშების კოლხეთის კერაში და ფილოქსერის გამოჩენამდე ფართოდ იყო გავრცელებული გურიაში და მის მიმდებარე, ქვემო იმერეთის ზონაში. იმერეთის ჯიშებთან ასეთი კავშირის არსებობა მტკიცდება ჩვენი მუშა-

ობის დროს გამოვლენილი მისი საგრძნობი სიახლოვეთ იმერეთში ფართოდ ცნობილ დონდლაბ შავთან და აგრეთვე ადრე შუა და ზემო იმერეთში ფართოდ გავრცელებულ უძველეს რკო შავთან და რკო თეთრთან, რომლებიც ადრე გარდა იმერეთისა, გვხვდებოდნენ რაჭაში, გურიასა და ქართლშიც კი.

აღნიშნულ ჯიშებთან სიახლოვეს იჩენს აგრეთვე ვერტყვიჭალის შავი, რომელიც ერთეული ძირების სახით გვხვდება ახალციხის რაიონში და იგი აქ შემოტანილი უნდა იყოს იმერეთიდან.

ცალკე ჯიშ-ტიპად იყო გამოყოფილი ორი ჯიში ცხენის ძუძუ აქარული და აფხაზეთის ჯიში აჩკიკიჟი. აჩკიკიჟის სიძველეზე მეტყველებს ჩვენ მიერ ამ ჯიშზე ჩატარებული გენეტიკური ანალიზი.

არამართებულად უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივი ჯიშების ტიპური წარმომადგენლის აქარული ცხენის ძუძუს, ამ „ხალხური სელექციის ქართული ჯიშის“, როგორც ამას პროფ. მ. რამიშვილი წერს¹³, დასავლეთ ევროპის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფზე მიკუთვნება.

იმერეთის ჯიში ქართულა თუმცა შეყვანილია ამ ჯგუფში, მაგრამ განცალკევებით დგას ყველა ჯიშისაგან. გვხვდება შუა იმერეთში.

ჯ გ უ ფ ი № 38 (საფერავი ფაჩხა). შედგება 7 ჯიშისაგან: ანდრეული ვარდისფერი (ქართ.), საფერავი ფაჩხა (კახ.), უწყვეტი (რაჭ.), ქისტაურული საღვინე (კახ.), ჩიტისთვალა ბოდბური (კახ.), შავი ყურძენი (ქართ.), ხიხვა (რაჭ.).

ჯიშების ნიშან-თვისებათა ცენტრი:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი — დიდი, ძლიერად, ზოგჯერ საშუალოდ დანაკეთული, შებუსვა ძლიერი, ქეჩისებრი; მტევანი—საშუალო; მარცვალი—საშუალო, ოვალური და მომრგვალო-ოვალური, იშვიათად მომრგვალო, თეთრი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე, ვაზის ზრდის ღონე—საშუალო.

ყველა ჯიში განაწილდა სუსტი ჯიშ-ტიპის ფარგლებში, რომელიც გამოიყო:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფი:

1. 1. (საშ. მანძ. — 20) — ქისტაურული საღვინე, საფერავი ფაჩხა.

¹³ ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე. საქართველოს აბელოგრაფია. თბილისი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1960. გვ. 376.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 26) — 1. 1.+ჩიტისთვალა ბოდბური,
3. 2. (საშ. მანძ. — 27) — უწყვეტი, ხისა,
3. 3. (საშ. მანძ. 28,7) — 1. 1.+შავი ყურძენი.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 31) — 3. 1.+3. 3.
4. 2. (საშ. მანძ. — 32) — 3. 2.+ჩიტისთვალა ბოდბური.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — ჯგუფის ყველა ჯიში.

ჯგუფი კახეთის ჯიშების საგრძნობი წილით. ახლოს დგას №42 ჯგუფთან. უახლოვდება აბლაბუდისებრად შებუსულ ფოთლიანებს №40 ჯგუფს.

კახეთის ჯიშები საფერავი ფაჩხა და ქისტაურული საღვინე ჯიშ-ჯგუფია, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ მეორეხარისხოვანი ნიშნების მიხედვით და, ალბათ, წარმოიშვნენ კვირტის მუტაციების გამორჩევით. საფერავი ფაჩხა, როგორც ამას აღნიშნავს პროფ. დ. ტაბიძე, „კახეთის წითელ ჯიშებს შორის ყველაზე ნაკლებად ჰგავს საფერავს“¹⁴.

ზემოთ აღნიშნულ ჯიშებთან სხვებზე ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშები ჩიტისთვალა ბოდბური და შავი ყურძენი.

სხვა ჯიშებთან შედარებით ერთმანეთთან უფრო ახლოსაა ხის-ვა და უწყვეტი. ქართლის ჯიში ანდრეული ვარდისფერი, თუმცა ყველა ჯიშისაგან უფრო მეტად არის დაშორებული, მაინც ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია.

ჯ გ უ ფ ი № 42 (გორული მწვანე-კუმსი თეთრი). შედგება 16 ჯიშისაგან: გორული მწვანე (ქართ.), დონდლაბი (იმერ.), ვარდისფერი ყურძენი (კახ.), კუდურაული (რაჭ.), კუმსი თეთრი (კახ.), მაღლარი თვრინა (იმერ.), მწვანე ონიდან (რაჭ.), მცვივანი სხვილმარცვალა საფენა (კახ.), სეურა (რაჭ.), ტკბილი ყურძენი (კახ.), უბაკლური (კახ.), ურიშულა (რაჭ.), წობენურა (კახ.), შავციცქა, სოტეურა (რაჭ.).

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი — დიდი, ძლიერად და საშუალოდ დანაკეთული, შებუსული ძლიერად, ქეჩისებრად; მტევე

¹⁴ Ампелография СССР. М.: Пищепромиздат, 1966, т. III, с. 84.

ნი — საშუალო, უმეტესად კონუსური, ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსური და განიერ-კონუსური, საშუალო სიკუმის; მარცვლო — საშუალო, მომრგვალო, უმეტესად თეთრი და აგრეთვე ვარდისფერი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო. სამეურნეო მიმართულებით — საღვინე; ვაზის ზრდის დონე — საშუალო და ძლიერი.

ყველა ჯიში განლაგებულია ერთ სუსტ ჯიშ-ტიპად, რომლის შიგნით გამოიყოფა:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფები:

1. 1. (საშ. მანძ. — 18) — კუმსი თეთრი, წობენურა,
1. 2. (საშ. მანძ. — 19) — სეურა, ურიშულა.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

2. 1. (საშ. მანძ. — 23) — ვარდისფერი ყურძენი, შავციცქა,
2. 2. (საშ. მანძ. — 23,3) — გორული მწვანე, კუდურაული, მწვანე ონიდან,
2. 3. (საშ. მანძ. — 23,7) — 1. 1.+შავციცქა,
2. 4. (საშ. მანძ. — 24) — კუმსი თეთრი, მცვივანი ონიდან,
2. 5. (საშ. მანძ. — 24) — 1. 2.+კუმსი თეთრი,
2. 6. (საშ. მანძ. — 25) — გორული მწვანე, უბაკლური.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 25,7) — 2. 2.+უბაკლური,
3. 2. (საშ. მანძ. — 26,7) — 2. 2.+კუმსი თეთრი, მალლარი თვრინა,
3. 3. (საშ. მანძ. — 27) — 2. 3.+ვარდისფერი ყურძენი, სეურა, ურიშულა,
3. 4. (საშ. მანძ. — 27) — ვარდისფერი ყურძენი, მალლარი თვრინა,
3. 5. (საშ. მანძ. — 28) — ტკბილი ყურძენი, წობენურა,
3. 6. (საშ. მანძ. — 28,3) — დონდლაბი, კუმსი თეთრი, წობენურა,
3. 7. (საშ. მანძ. — 30) — მალლარი თვრინა, ურიშულა,
3. 8. (საშ. მანძ. — 30) — კუმსი თეთრი, ტკბილი ყურძენი.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 32) — მცვივანი მსხვილმარცვალი, ტკბილი ყურძენი,
4. 2. (საშ. მანძ. — 34) — ყველა ჯიში გარდა დონდლაბის, მცვივანი მსხვილმარცვალი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — ჭგუფის ყველა ჯიში.

ჭგუფი კახეთის და რაჭა-ლეჩხუმის ჯიშების საგრძნობი წილით.

ჭგუფს ახასიათებს გარდამავალი თვისებები აბლაბუდისებრად შებუხულფოთლიანი ჯიშების ჭგუფებისაკენ. კერძოდ, სიანლოფესს ავლენს № 41 ჭგუფთან.

კუმსი თეთრი კახეთის შედარებით ძველი ჯიშია. წობენურაც კახეთის ჯიშია. კუმსი თეთრისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. ეს ორი ჯიში, ალბათ, წარმოიშვა ვეგეტატიური ცვალებადობის შედეგად. ასეთივე ახლოს მდგომი რაჭული ჯიშებია **ურიშულა** და **სეურა**.

გორული მწვანე ძველთაგანვე ცნობილი ქართლის ჯიშია¹⁵, ძირითადად გვხვდება ქართლის დასავლეთ რაიონებში, აგრეთვე ზემო იმერეთსა და რაჭაში. ქართლში ჯიში ცნობილია ძველთაგანვე, მისგან აყენებდნენ მალალხარისხოვან, მსუბუქ, ცქრილა ღვინოს. იმერეთში გორული მწვანე გვხვდება ქვიშხურის სახელწოდებით, რაც მიუთითებს აქ მისი ქართლის დასავლეთ რაიონებიდან შეტანის ფაქტს. რაჭაში, სადაც ჯიში ცნობილია თბილურის სახელწოდებით, პროფ. დ. ტაბიძის მტკიცებით, იგი შეტანილია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან, კერძოდ, თბილისის გარეუბნებიდან. ასეთივე აზრს—გორული მწვანის მიკუთვნებას ქართლის ადგილობრივი ენდემური ჯიშების რიცხვზე, იზიარებს აკად. ს. ჩოლოყაშვილი.

ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების შემოჭრამდე, გორული მწვანე ფართოდ იყო გავრცელებული ქართლის დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში. გენეტიკური ანალიზის ჩატარების დროს ერთხელ კიდევ მტკიცდება მითითებული ავტორების მოსაზრება ამ ჯიშის სიძველის შესახებ. ჰომოზიგოტური მას აღმოაჩნდა ახალგაზრდა ყლორტის შებუსვა, ყვავილის ტიპი, მარცვლის ფორმა და შეფერვა. ჰეტეროზიგოტული — ფოთლის შებუსვის ტიპი და დანაკეთის ხარისხი.

ჯიშის წარმატებით გავრცელებას, უკვე ძველთაგანვე ხელს უწყობდა მისი შედარებით ფართო ეკოლოგიური პლასტიკურობის უნარი, რომელიც მთლიანად დადასტურდა ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის დროს.

გორული მწვანე ჩვენ მიერ რეკომენდებულია ფართო საწარმოო გამოცდისათვის და წარმოებაში დასაწერვად როგორც ზემო, ისე შუა იმერეთში. რაჭის ჯიში **მწვანე ონიდან**, რაჭაში შეტანილი და იქ გავრცელებული გორული მწვანის გამოყოფილი ვარიაციაა.

¹⁵ Геевский В., Шарер Э. Труды Кавказского общества сельского хозяйства, 1885, № 8—9, с. 16, 5.

კუდურაული შორეულ წარსულში რაჭაში ფართოდ გავრცელებული ჯიშია, რომელიც აგრეთვე ამჟღავნებს საკმაო სიახლოვეს გორულ მწვანესთან. თავის მხრივ, სიახლოვეს გორულ მწვანესთან ავლენს აგრეთვე კახური ჯიში უბაკლური. ტკბილი ყურძენი, საფენა კახური ჯიშებია.

საფენას რქაწითელთან შეჯვარების დროს, მემკვიდრეობაში დომინირებს საფენას თვისებები — ფოთლის ქეჩისებრი შებუსვა და სხვ. ჰომოზიგოტური ორივე მშობელ წყვილს აღმოაჩნდათ მარცვლის შეფერვის მაჩვენებლები. პროფ. დ. ტაბიძის აზრით, საფენა ყველა კახეთის ჯიშზე უფრო წააგავს მწვანე კახურს.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად, ჯიშების ურთიერთ-შედარებისას, გამოვლინდა საფენას უფრო ახლო მსგავსება კახეთის ჯიშთან კუმს თეთრთან. მწვანესთან ამ ჯიშს უფრო შორეული მსგავსება აქვს (განსხვავებები შეინიშნება ძირითადად მტენვისა და მარცვლის ფორმაში, ფოთლის დანაკვეთაში, შებუსვაში და ა. შ.).

კახეთის ჯიში ვარდისფერი ყურძენი ერთეული ძირების სახით გვხვდება ახმეტისა და თელავის რაიონებში. ერთეული ძირების სახით რაჭაში გავრცელებულია ხოტეურა, რომელსაც ახასიათებს საერთო მსგავსება საქართველოს ძლიერად შებუსულფოთლიან ჯიშებთან, „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის“ ტომში არამართებულად არის ნიკუთვნებული დასავლეთ ევროპის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფზე (აღწერის ავტორი ა. მიროტაძე).

იმერეთის ჯიში დონდლაში ცნობილია დიდი ხნით ადრე და ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში (ძირითადად იმერეთში, აგრეთვე რაჭასა და გურიაში).

იმერეთის ჯიში მალლარი თვრინა და გაურკვეველი წარმოშობის ჯიშები შავციცქა და მცვივანი მსხვილმარცვალა ავლენენ შორეულ მსგავსებას როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს ჯიშებთან, ე. ი. ზოგიერთი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშის ერთმანეთთან მსგავსება, მიუთითებს მათ ჩამოყალიბებაში საერთო საწყისი ფორმების უფრო ფართო მონაწილეობაზე.

კლასიფიკაციური ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ აბლაბუდისებრად შებუსულ ფოთლიან ვაზის ჯიშებს. გამოყოფილია ასეთი 12 ჯგუფი.

ამ კლასიფიკაციურ ჯგუფებში მოხვდნენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები.

ეს ჯიშები შედარებით უფრო ახლებია, მიღებულია დათრეული და გამოვლენილი ფარული ნიშნების მქონე მცენარეების გამოვლენისა და შემდგომი მიმართულებითი სელექციური გამოჩენის გზით.

ამ ჯიშების წარმოშობაში მონაწილეობდა ადგილობრივი კულტურებიდან შემოსული ფორმები: *pirge* და *Georgica Negr* ტიპური წარმომადგენლები.

ჯ გ უ ფ ი № 3 (აკაბილიყი — ალექსანდროული). მასში 14 ჯიშია: აკაბილი (აფხ.), აკაბილიყი (აფხ.), ალექსანდროული (რაჭ.), ამოხფიყი (აფხ.), აყხვატა (აფხ.), ასპინძურა შავი (ქართ.), აღბიყი (აფხ.), ბათომურა (აჭ.), თეთრა (აჭ.), კუპრაშვილისეული (იმერ.), ლაბილაძის თეთრა (იმერ.), ლაკოიაყი (აფხ.), მუჭურეთული (რაჭ.), ხუბიშიყი (აფხ.).

ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი—ქეჩისებრად შებუსუსული, იშვიათად აბლაბუდისებრად შებუსუსული; ფოთოლი — დიდი, მომრგვალო, სუსტად დანაკვეთული, შებუსუსა სუსტი აბლაბუდისებრი, ყუნწის ამონაკვეთი უმეტესად ღია—თაღისებრი და ჩანგისებრი; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმსის, იშვიათად მეჩხერი; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო-ოვალური და მომრგვალო, უმეტესად შავი და ვარდისფერი, იშვიათად თეთრი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

ამ ჯგუფში ჯიშები არ შეადგენს ერთიან ჯიშ-ტიპს, მაგრამ ამ ჯგუფში გამოყოფილია:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფი:
 1. 1. (საშ. მანძ. — 16) — აკაბილიყი, ხუბიშიყი.
3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:
 3. 1. (საშ. მანძ. — 25,8) — 1. 1.+აღბიყი, კუპრაშვილისეული,
 3. 2. (საშ. მანძ. — 26,3) — 1. 1.+ლაბილაძის თეთრა.
4. საშუალო ჯიშ-ტიპები:
 4. 1. (საშ. მანძ. — 31) — აყხვატა, ასპინძურა შავი,
 4. 2. (საშ. მანძ. — 32,8) — აღბიყი, აკაბილიყი, ამოხფიყი, კუპრაშვილისეული, ლაბილაძის თეთრა, ხუბიშიყი,
 4. 3. (საშ. მანძ. — 34) — აღბიყი, მუჭურეთული,
 4. 4. (საშ. მანძ. — 34) — კუპრაშვილისეული, ლაკოიაყი,
 4. 5. (საშ. მანძ. — 34) — აკაბილიყი, ასპინძურა შავი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპები:

5. 1. (საშ. მანძ. — 35,3) — 4. 2. + მუჯურეთული,
5. 2. (საშ. მანძ. — 36) — აკაბილიყი, ალექსანდროული
5. 3. (საშ. მანძ. — 36) — ამოხფიყი, თეთრი
5. 4. (საშ. მანძ. — 38) — აკაბილიყი, ხუპიშიყი,
5. 5. (საშ. მანძ. — 40) — ბათომურა, კუპრაშვილისეული.

აფხაზეთის ჯიშების დომინანტური ჯგუფია.

აკაბილიყი და **ხუპიშიყი** აფხაზეთის ჯიშებია, რომლებიც წარმოიშვნენ ადგილობრივ კერაში ხანგრძლივი ფორმათწარმოქმნის პროცესის შედეგად. ხუპიშიყის მიკუთვნება *pr. occidentalis* Negr. ჯგუფზე უზუსტობაა, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

ამ წყვილის ირგვლივ ჯგუფდებიან: **კუპრაშვილისეული** იმერეთის შედარებით ძველი ჯიში, **ალბიყი** — აფხაზეთის და **ლაბილაძის თეთრა** იმერეთის ჯიში. **ამოხფიყი** — აფხაზეთის ჯიში, ჯგუფის ტიპური წარმომადგენელი, აგრეთვე არასწორად არის მიკუთვნებული, ახლა უკვე მეორე — აღმოსავლეთის საღვინე ჯიშების ჯგუფზე.

ლაკოიაყი, **აკაბილი**, **აჟხვატა** აფხაზეთის შედარებით ძველი ჯიშებია, რასაც მოწმობს ჩვენ მიერ ჩატარებული ამ ჯიშების გენეტიკური ანალიზის მასალაც. **ალექსანდროული** ძველთაგანვე გვხვდებოდა რაჭის რაიონებში. როგორც ამის შესახებ პროფ. დ. ტაბიძე წერს, ალექსანდროულის ადგილობრივ, კოლხეთის კერაში წარმოშობის და სიძველის დამადასტურებელია მისი მსგავსება ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებით და სამეურნეო თვისებებით დანარჩენ აბორიგენულ ვაზის ჯიშებთან.

მუჯურეთული ჯიშის სამშობლოდ აკად. ი. ჯავახიშვილს მიაჩნია სოფ. მუჯირეთი (იმერეთი), მაგრამ ვ. დემეტრაძე და ა. მიროტაძე თვლიან, რომ მუჯურეთული იმერეთში არ გვხვდებოდა და რომ იგი ალექსანდროულის ვარიაციაა. ჯიშების ურთიერთშედარების შემდეგ, ჩვენ არ ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილ აზრს, მუჯურეთულს არ ვთვლით ალექსანდროულის ვარიაციად და ვგულისხმობთ, რომ მათ უფრო შორეული ნათესაობა აკავშირებთ და წარმოშობილი უნდა იყვნენ საერთო საწყისი წყაროდან.

ქართლის ჯიში **ასპინძურა შავი**, რომელიც ერთეული ძირების სახით გვხვდება ქართლისა და იმერეთის საზღვარზე და ამჟღავნებს დიდ მსგავსებას დასავლეთ საქართველოს ჯიშებთან, ალბათ, აქ შემოიტანეს იმერეთიდან.

აჭარის ჯიშები **ბათომურა** და **თეთრა** დანარჩენი ჯიშებისაგან

საკმაოდ დიდი მანძილებითაა დაშორებული. ამავე დროს ბათონძობა-
გარდა აჭარისა, გურიაშიც გვხვდება.

ჯ გ უ ფ ი № 5 (აბაცვიყი-ჯინეში). შედგება ორი ჯიშისაგან —
აბაცვიყი (აფხ.) და ჯინეში (აჭ.).

ამ ჯიშების ნიშან-თვისებათა საშუალო მაჩვენებლებია: ახალ-
გაზრდა ყლორტი — შებუსუსულია აბლაბუდისებრად; ფოთოლი — დი-
დი, მომრგვალო და თირკმლისებრი, დაუნაკეთავი, სუსტად შებუ-
სული აბლაბუდისებრად; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი — ღია, ძი-
რითადად თაღისებრი, იშვიათად ისრისებრი; მტევანი — საშუალო,
ცილინდრული და კონუსური, იშვიათად ცილინდრულ-კონუსური,
საშუალო სიკუმსის და მეჩხერი, უმბრო; მარცვალი — საშუალო,
მომრგვალო, ვარდისფერი და წითელი. სიმწიფის პერიოდი — საგ-
ვიანო და ძალიან საგვიანო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე
და სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი და საშუალო.

აბაცვიყსა და ჯინეშს შორის მანძილი 44-ია, ეს კი იმას ნიშნავს,
რომ ისინი ერთმანეთისაგან დაცილებულია ისეთი მანძილით, რომ
ვერ ნერხდება მათი გაერთიანება სუსტი ჯიმ-ტიპის ფარგლებშიც კი.
ჯგუფს კავშირი აქვს № 29 ჯგუფთან.

ჯინეში ჯიშია, რომელიც გარდა აჭარისა, გავრცელებული იყო
შავშეთ-კლარჯეთში.

ჯ გ უ ფ ი № 7 (ავასირხვა) შედგება ერთი ჯიშისაგან — ავასირ-
ხვა (აფხ.).

ავასირხვას ახალგაზრდა ყლორტი შებუსუსულია აბლაბუდისებრი
ბუსუსებით; ფოთოლი — საშუალო და დიდი, დაუნაკეთავი, ძარ-
ღვების გასწვრივ ჯაგრისებრი ბუსუსებით, ყუნწის ამონაკვეთი ღია;
მტევანი — საშუალო, ცილინდრულ-კონუსური და ცილინდრული,
საშუალო სიკუმსის, ფრთიანი და მხრიანი; მარცვალი — მომრგვა-
ლო-ოვალური, თეთრი; ყურძნის სიმწიფის პერიოდი — საგვიანო;
პროდუქციის სამეურნეო მიმართულება — საღვინე; ვაზის ზრდის
ღონე — საშუალო.

ახლოს აქვს № 39 ჯგუფთან.

ავასირხვა გავრცელებულია მხოლოდ აფხაზეთის რაიონებში.
პროფ. დ. ტაბიძე ჯიშის სახელწოდების ლინგვისტური ანალიზის
საფუძველზე და მისი როგორც წარსულში, ისე დღესაც მხოლოდ
აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელების ფაქტის
მხედველობაში მიღებით, მას თვლის ადგილობრივ ჯიშად, მაგრამ
იქვე დასძენს, რომ თავისი მორფოლოგიური ნიშნებით და ბიოლო-

გიური თვისებებით იგი, უფრო ახლოს დგას აღმოსავლეთ სავა-
რთველოს ვაზის ჯიშებთან და გარეგნული ნიშნებით ჰგავს ოქაწი-
თელს.

აღენიშნავთ რა ავასირხვას სიახლოვეს კახეთის **პრინციპალი**
№ 39 ჯგუფთან, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელია **ტეტიანი**
ლიც. მხედველობაში ვიღებთ პროფ. დ. ტაბიძის მოსაზრებასაც.

კახეთის ჯიშებთან გამოვლენილი სიახლოვე და ავასირხვას უკ-
ვე ძველთაგანვე დადგენილი გავრცელების ვიწრო არეალი, ჩვენი
აზრით, შეიძლება აიხსნას ჯიშის წარმოშობაში ახლომდგომ ჯიშთა
ჯგუფის მონაწილეობით. სხვა ვერსიით, ავასირხვა შორეულ წარ-
სულშია შემოტანილი აფხაზეთში.

ჯ გ უ ფ ი № 13 (გაბაშა). ჯგუფში 10 ჯიშია: ახმეტის წითელი
(კახ.), ბეგლარის ყურძენი (კახ.), ბროლა (აჭ.), გაბაშა (იმერ.), გაბე-
ხოურა თეთრი (იმერ.), ორბელური (რაჭ.), ღვინის წითელი (კახ.),
ჭოდი (აჭ.), ხუშია თეთრი (გურ.), ჯანი (გურ.).

ამ ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების ნიშან-თვისებათა საშუალო
ცენტრია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ძლიერი ქეჩისებრი; ფოთო-
ლი — დიდი, მომრგვალო, სუსტად და საშუალოდ დანაკვეთული, სა-
შუალოდ, აბლაბუდისებრად შებუსული; მტევანი — საშუალო, კო-
ნუსური და ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრული,
უმეტესად საშუალო სიკუმსის; მარცვალი—საშუალო, მომრგვა-
ლო—ოვალური და მომრგვალო; სიმწიფის პერიოდი — ძირითადად
საგვიანო და აგრეთვე საშუალო; სამეურნეო მიმართულება — სა-
ღვინე. ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

ჯგუფი მთლიანად სუსტი ჯიშ-ტიპია. მასში გამოიყოფა:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფი:
 1. 1. (საშ. მანძ. — 20) — ბეგლარის ყურძენი, ბროლა.
 2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:
 2. 1. (საშ. მანძ. — 24) — ახმეტის წითელი, გაბაშა.
 3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:
 3. 1. (საშ. მანძ. — 27) — 2. 1.+ჯანი,
 3. 2. (საშ. მანძ. — 27,7) — 1. 1.+ღვინის წითელი,
 3. 3. (საშ. მანძ. — 28) — გაბაშა, ხუშია თეთრი.
 4. საშუალო ჯიშ-ტიპები:
 4. 1. (საშ. მანძ. — 31,8) — 3. 1. +ხუშია თეთრი, ჭოდი,
 4. 2. (საშ. მანძ. — 32,3) — 2. 1.+ორბელური,

4. 3. (საშ. მანძ. — 32,5) — 3. 2. + გაბეხოურა თეთრი

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 38,4) — ჯგუფის ყველა ჯიშე
ჯგუფი, კახეთის ჯიშების საგრძნობი წილით. **ქრონოლოგიური**
ახლოს არის № 3 და № 41 ჯგუფებთან. **ბიბლიოციტა**

ბროლა (აჭარის ჯიში) და **ბეგლარის ყურძენი** (კახეთის ჯიში) ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მეორეხარისხოვანი ნიშნებით და ჯიშ-ჯგუფს შეადგენს. ბროლა, უთუოდ ადგილობრივი, საკმაოდ ძველი ჯიშია, რომელიც გავრცელებული იყო შუა და ზემო აჭარაში. მას XVII საუკუნეში, ადგილობრივი მოსახლეობა ღვინის დასაყენებლად იყენებდა. ბროლას მსგავსება კახეთის ბეგლარის ყურძენთან, რომელიც ერთეული ძირების სახით გვხვდება კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შეიძლება აეხსნათ მხოლოდ ერთი მათგანის შემოტანის (უფრო მოსალოდნელია ბეგლარის ყურძენის) შესაძლებლობით ახლანდელი მისი გავრცელების ადგილში.

ამ ჯიშებთან ახლოს არის კახეთის მეორე ჯიში **ღვინის წითელი**, რომელიც არასწორად არის მიკუთვნებული დასავლეთ ევროპის ჯიშების ჯგუფზე.

ახლომდგომ ჯიშთა მეორე წყვილია კახეთის ჯიში **ახმეტის წითელი** და საკმაოდ გაურკვეველი წარმოშობის **გაბაშა**, რომელსაც პროფ. დ. ტაბიძე მიაკუთვნებს კახეთის ჯიშების ჯგუფს, ხოლო ამ ჯიშის ახლო ურთიერთობები კახეთის ახმეტის წითელთან, ადასტურებს ასეთ მოსაზრებას.

იმერეთის **გაბეხოურა თეთრი** უძველესი ქართული ჯიშია, გვხვდება იმერეთის ცენტრალურ რაიონებში, მაგრამ როგორც ზოგიერთ სხვა შემთხვევებში, „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის“ ტომში არასწორად არის მიკუთვნებული დასავლეთ ევროპის ჯიშების ჯგუფთან.

ამ ჯიშებთან ახლოსაა გურიის ჯიშები **ჯანი და ხუშია თეთრი**.

ჯანს აკად. ი. ჯავახიშვილი მიაკუთვნებს გურიის ჯიშებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ იგი ამავე დროს გავრცელებული იყო იმერეთშიც.

ი. ჯავახიშვილი, უშვებდა რა XVI—XVII სს. ამ ჯიშის შემოტანის ვერსიას სამხრეთ-დასავლეთ რაიონებიდან, თვითონვე უარყოფდა მას, ამტკიცებდა რა, რომ მკვლევარები ერთმანეთში ურევენ ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯიშის სახელებს: ესპანურ — ჟეანს და ქართულ — ჯანს.

პროფ. მ. რამიშვილი, მრავალი წლის შესწავლის შედეგად, და-

ასკენის ჯანის ადგილობრივი ფორმათწარმოქმნის კერაში წარმოშობაზე. **ჰოდო** ი. ჯავახიშვილის მონაცემებით, გარდა აჭარისა, გავრცელებული იყო გურიაშიც.

ამრიგად, კლასიფიკაციურ ჯგუფში მეორე მუქიმიტილი ჯგუფს ქმნის **ხუშია შავი**, ჰოდო, გაბაშა, ჯანი და ახლომდებარი მდებარეობის მონაცემების შუქზე ბოლომდე ვერ არის წარმოდგენილი კახეთის ჯიშების ურთიერთობები და კავშირები, ახლომდგომ, მაგრამ მათთან საერთო არეალის არამქონე დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან.

ორბელური ჯგუფის ყველა ჯიშისაგან უფრო მოშორებით მდგომი ჯიშია.

ჯ გ უ ფ ი № 26 (მტრედისფეხა). შედგება სამი ჯიშისაგან: ბლაბურხვა (აფხ.), მტრედისფეხა (გურ.) და ხოფათური (აჭ.).

ნიშან-თვისებათა საშუალო-ცენტრი:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსულობა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, სუსტად დანაკეთული, ზოგჯერ საშუალოდ, შებუსული საშუალოდ, აბლაბუდისებრად; მტევანი — საშუალო, ცილინდრულ-კონუსური, უფრო იშვიათად კონუსური, საშუალო სიკუმსისა და მეჩხერი, ძირითადად უმხრო, მარცვალი — საშუალო, ოვალური, იშვიათად მომრგვალო-ოვალური, თეთრი, ვარდისფერი და შავი; სიმწიფის პერიოდი — საგვიანო და ძალიან საგვიანო; სამეურნეო მიმართულება—სალვინე.

ყველა ჯიში ერთად სუსტი ჯიშ-ტიპია. მასში გამოიყოფა

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 27) — მტრედისფეხა, ხოფათური.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — ჯგუფის ყველა ჯიში.

მტრედისფეხა ძველი ჯიშია, რომელიც მოიხსენია ჯერ კიდევ აკად. ი. ჯავახიშვილმა. ერთეული ძირების სახით გვხვდებოდა როგორც გურიაში, ისე აჭარაში. ამიტომ მისი მიკუთვნება აღმოსავლეთის სალვინე ჯიშების ჯგუფს, არასწორად მიგვაჩნია.

ხოფათური აჭარის ჯიშია. მ. რამიშვილის აზრით, ლიტერატურული წყაროების არასაკმარისობის გამო მისი წარმოშობის საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად. **ბლაბურხვა** აფხაზეთის ჯიშია, ერთეული ძირების სახით გვხვდება მხოლოდ ვაგარის რაიონში.

ჯ გ უ ფ ი № 27 (გომის თეთრი-ქორქაულა). მასში ორი ჯი-

შია: გომის თეთრი (იმერ.) და ქორქაულა (აჭ.) ამ ჯიშებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი — მებუსვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი — დიდი, ოვალური, საშუალოდ, იშვიათად ძლიერად დანაკვეთილი, შებუსული სუსტად, კბილანული სებრად; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრული სური, საშუალო სიკუმსის; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, თეთრი და შავი; სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი.

ეს ჯიშები ერთმანეთისაგან ისეთი მანძილით არის დაშორებული, რომ მათი გაერთიანება არ ხერხდება სუსტ ჯიშ-ტიპშიც კი.

ჯგუფი ახლოს არის № 39 ჯგუფთან.

გომის თეთრი იმერეთის ჯიშია, რომლის წარმოშობის საკითხი დაუდგენელია. სავარაუდოა, რომ ჯიში იმერეთში შემოტანილია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან. **ქორქაულა** ძველად ფართოდ იყო გავრცელებული ზემო და შუა აჭარაში, ამასთანავე მისი მსგავსება და ურთიერთკავშირები აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი შორეულ წარსულში შემოიტანეს აჭარაში ან მის წარმოშობაში მონაწილეობდა აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები და ფორმები.

ქორქაულას, რქაწითელთან შეჯვარებისას მექვიდრეობაში დომინირებდა ფოთლის ძლიერი დანაკვეთილობა და მარცვლის შავი შეფერვა. ამავე დროს, მორფოლოგიურ და ბიოლოგიურ ნიშან-თვისებათა კომპლექსით ორივე ეს ჯიში მიეკუთვნება აბორიგენული ჯიშების ადგილობრივ ვარიანტს და მათი ჩათვლა აღმოსავლეთის ჯიშების ჯგუფის წარმომადგენლებად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ჯ გ უ ფ ი № 29 (წითელოური). ჯგუფში 14 ჯიშია: დიდშავი (იმერ.), ზაქათლის თეთრი (კახ.), თვალდამწვრისეული (რაჭ.); კაპისტონი წიწილიანი (რაჭ.), მოქათური (რაჭ.), ნოშრიო (რაჭ.), ყლია (კახ.), ფერუანი (რაჭ.), წვრიშალა (იმერ.), წითელი ყურძენი, წითელოური (რაჭ.), ჭუბულო (რაჭ.), ჭყაბა (ქართ.), ხარისთვალა ქართლის.

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი—მებუსვა აბლაბუდისებრი და ქეჩისებრი; ფოთოლი — დიდი, სუსტად დანაკვეთილი, აბლაბუდისებრად შებუსული; მტევანი — საშუალო, ძირითადად კონუსური, იშვიათად ცილინდრული და ცილინდრულ-კონუსური, ძირითადად საშუალო სიკუმსის, უმხრო; მარცვალი—საშუალო,

მომრგვალო; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეტყონიო მძაბრ-
თულება — საღვინე, იშვიათად საღვინე-სასუფრე; ვახის ზოდის
ლონე — საშუალო და ძლიერი.

ჩგუფის ჩიშები გაერთიანებულია ერთ სუსტ ჩიშ-ტიპში სოფლის
მასში გამოყოფილია შემდეგი ჩგუფები:

2. სუსტი ჩიშ-ჩგუფები:

2. 1. (საშ. მან. — 23,7) — ნოშრიო, ფერუანი, წითელოური,
2. 2. (საშ. მანძ. — 24,7) — ფერუანი, წითელოური, ჭყაპა,
2. 3. (საშ. მანძ. — 25) — წითელი ყურძენი, ჭყაპა.

3. ძლიერი ჩიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 27) — ფერუანი, ჭუბულო,
3. 2. (საშ. მანძ. — 27) — ნოშრიო, ჭუბულო,
3. 3. (საშ. მანძ. — 27,2) — 2. 1.+2. 2,
3. 4. (საშ. მანძ. — 29) — ყლია, წითელოური,
3. 5. (საშ. მანძ. — 30) — ზაქათლის თეთრი, ჭყაპა,
3. 6. (საშ. მანძ. — 30) — ნოშრიო, წვრიმალა.

4. საშუალო ჩიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 31) — დიდშავი, ხარისთვალა ქართლის,
4. 2. (საშ. მანძ. — 31) — კაპისტონი წიწილიანი, თვალდამ-
წვრისეული,
4. 3. (საშ. მანძ. — 31) — დიდშავი, ფერუანი,
4. 4. (საშ. მანძ. —) თვალდამწვრისეული, ჭყაპა,
4. 5. (საშ. მანძ. — 32,4) — 3. 3.+ყლია, ზაქათლის თეთრი,
წვრიმალა, წითელი ყურძენი, ჭუბულო,
4. 6. (საშ. მანძ. — 33) — კაპისტონი წიწილიანი, წითელო-
ური,
4. 7. (საშ. მანძ. — 34) — მოქათური, წითელოური,
4. 8. (საშ. მანძ. — 35) — დიდშავი, წითელი ყურძენი,

5. სუსტი ჩიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 37,6) — ყველა ჩიში.

რაჭა-ლეჩხუმის ჩიშების დომინანტური ჩგუფია.

წითელოური ადგილობრივი ჩიშია. გვხვდება ერთეული ძირე-
ბის სახით რაჭა-ლეჩხუმში. წარმომობილია ფორმათწარმოქმნის ად-
გილობრივ კერაში.

ფერუანი და ნოშრიო ძველი ჩიშებია, რაზედაც მეტყველებს
მათი ვიწრო ლოკალიზაცია რაჭა-ლეჩხუმში და კულტივირების შე-

დარებითი სიძველე. ადვილობრივი, რაჭის ჯიშებია: მუქათური თვა-
ლდამწვრისეული, ქუბულო და კაპისტონი წიწილიანი.

აღნიშნული ჯიშები ტიპური ქართული, აბლაბუდისებრად შე-
ბუსულფოთლიანი ვაზის ჯიშებია, ამიტომ არავითარი განსათლ-
ბა არ აქვს ზოგიერთი მათგანის აღმოსავლეთის სიღრმე ან დასავ-
ლეთ ევროპის ვაზის ჯგუფებზე მიკუთვნებას¹⁶.

დიდშავი და წვრამალა იმერეთის ჯიშებია, უღია — ძველი ქარ-
თული ჯიში აკად. ი. ჯავახიშვილი, რომელიც იმოწმებს ვ. გეევსკის,
ნ. შარერის, პ. ყანდურალოვისა და სხვათა ცნობებს, აღნიშნავს,
რომ ჯიში გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ (პერეთი, კა-
ხეთი, ქართლი), ისე დასავლეთ საქართველოში (იმერეთი და, შესა-
ძლებელია, შავშეთ-კლარჯეთი). უფრო მოგვიანებით გვხვდებოდა
ერთეული ძირებისა და იშვიათად პატარა ჯგუფების სახით კახეთისა
და ზემო იმერეთის რაიონებში. ძველად ამ ჯიშის ფართოდ გავრ-
ცელებაზე მეტყველებს მისი კავშირები როგორც აღმოსავლეთით,
ისე დასავლეთ საქართველოს ჯიშებთან.

ქართლის ჯიშს **ჭყაპას** ასევე ახასიათებს ახლო კავშირები რო-
გორც აღმოსავლეთ საქართველოს (ზაქათლის თეთრა), ისე დასავ-
ლეთ საქართველოს (განსაკუთრებით რაჭის) ჯიშებთან.

ქართლის ჯიში **ხარისთვალა**, კახეთის ჯიში **ზაქათლის თეთრი** და
აგრეთვე გაურკვეველი წარმოშობის **წითელი ყურძენი** ასევე ამ-
ჟღავნებენ საერთო ურთიერთკავშირებს აღნიშნული ჯგუფის სხვა
ჯიშებთან.

ჯ გ უ ფ ი № 39 (რქაწითელი). ჯგუფში გაერთიანებულია 6 ჯი-
ში: აყემჩილი (აფხ.), ბუერა (კახ.), თავკვერი საფერავისებრი (კახ.),
რქაწითელი (კახ.), საკმეველა (გურ.), წულუკიძის თეთრა (რაჭ.).

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების ნიშან-თვისებათა საშუალო
მაჩვენებლებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი და აბ-
ლაბუდისებრი; ფოთოლი—საკმაოდ დიდი, სუსტად ან უფრო იშვი-
ათად საშუალოდ დანაკეთული, აბლაბუდისებრად შებუსული, იშვი-
ათად შიშველი; მტევანი — საშუალო, უმეტესად ცილინდრული და
ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმსის, გვხვდება მეჩხერი,
მხრიანი და ფრთიანი მტევნები; მარცვალი — საშუალო, ოვალური
და გაცილებით უფრო იშვიათად მომრგვალო-ოვალური, ხანდახან
მომრგვალო, თეთრი და შავი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სა-

¹⁶ Амелография СССР. М.: Пищепромиздат, 1965, т. II, с. 331, 383.

მეურნეო მიმართულება — საღვინე და საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი და საშუალო.

ჯგუფში ჯიშები ძალიან დანაწევრებულია და გავრთიანებული სამ ჯგუფად, ხოლო ერთი ჯიში სცილდება სხვა ჯიშებთან და მანძილებს. ფარგლებს.

ბიზლიჩიშეკა

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 30) — რქაწითელი, წულუკიძის თეთრა.

5. სუსტი ჯიშ-ტიპები:

5. 1. (საშ. მანძ. — 38) — ბუერა, რქაწითელი,

5. 2. (საშ. მანძ. — 39) — აქემჩილი, საკმეველა.

ჯიში თავკვერი საფერავისებრი, განცალკევებულია.

ჯიში თავკვერი საფერავისებრი, განცალკევებულია ყველა ჯიშისაგან მანძილით, რომელიც 40-ზე მეტია.

კახეთის ჯიშების დომინანტური კლასიფიკაციური ჯგუფია.

რქაწითელი. ჯიშის სახელწოდების ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, აკად. ი. ჯავახიშვილმა მისი წარმოშობის დრო განსაზღვრა V—VII საუკუნეებით. გ. ბერიძე, ა. სანიკიძე, დ. ტაბიძე თვლიან, რომ რქაწითელი წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათწარმოქმნის ადგილობრივ (მდ. ალაზნის ქვემო დინება) კერაში. პროფ. დ. ტაბიძის აზრით, რქაწითლის მორფოლოგიური ნიშნებისა და ბიოლოგიური თვისებების ანალიზი (ფოთლის სუსტი შებუსვა, ოვალური და თეთრი მარცვალი და სხვ.), აგრეთვე მისი კლონებისა და ვარიაციების მკვირერიცხოვნობა და თვითდამტვერილი თესლნერგების შედარებით გამოთანაბრებული მასალა, იძლევა საფუძველს დაეასკვნათ, რომ ეს ჯიში ქართული ვაზის სხვა უძველეს ჯიშებთან შედარებით უფრო გვიან არის წარმოშობილი.

მთლიანად ვეთანხმებით ზემოთ მოხსენიებულ ავტორთა მოსაზრებას. რქაწითელი ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშია, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენიმე ათეული საუკუნის მანძილზე მიმდინარე ფორმათწარმოქმნის პროცესისა და შემდგომი ხალხური სელექციის მეთოდებით გაუმჯობესების შედეგად.

რქაწითელზე ჩატარებული თვითდამტვერვის დროს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ ჰეტეროზიგოტულ მდგომარეობაშია: ახალგაზრდა ყლორტის უფრო სუსტი, აბლაბუდისებრი შებუსვა, ყვავილის ფუნქციონალურად მდებრობითი ტიპი, შეუბუსავი და ძლიერად დანაკეთული ფოთოლი.

5. 5. ცერცვაჟე

საკმეველა — პ. ყანდურალოვის ცნობით, გვხვდებოდა ქართლში ერთეული ძირების სახით. ვ. ფოფხაძე აღნიშნავს, რომ ჯიში ადრე გვხვდებოდა რაჭაში. აკად. ი. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ჯიში ადრე გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოში.


ზემოთ მითითებულ მკვლევართა საწინააღმდეგოდ, პროფ. მ. რამიშვილი ამტკიცებს, რომ ჯიში ახლაც და ადრეც გვხვდებოდა მხოლოდ გურიაში. ჩვენი მუშაობის დროს გამოვლენილი ამ ჯიშის სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან, გვაიძულებს გავიზიაროთ პირველად დასახელებულ მკვლევართა მოსაზრებები.

ბუერა აკად. ი. ჯავახიშვილის მონაცემებით, საქართველოში ცნობილია უძველესი დროიდან (XII ს-მდე). ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების გამოჩენამდე ფართოდ გავრცელდა კახეთში, საიდანაც შემდეგში შეაღწია ქვემო ქართლში (ბოლნისის რაიონი). ჯიში უდავოდ ადგილობრივია, ალაზნის ფორმათწარმოქმნის კერიდან, რასაც გარდა სხვა მონაცემებისა, ადასტურებს მისი მსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან და ჩატარებული გენეტიკური ანალიზი.

აუმჩილი აფხაზეთის ჯიშია, ალბათ, შემოტანილია აფხაზეთში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან ან წარმოშობილია საერთო საწყისი მასალიდან (მსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან, აფხაზეთში გავრცელების ვიწრო არეალი). **თავკვერი საფერავისებრი** აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის, აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშების წარმომადგენელია. ამიტომ მისი მიკუთვნება აღმოსავლეთის ჯიშებზე (დ. ტაბიძე) არ მიგვაჩნია მართებულად.

წულუყიძის თეთრა ძირითადად რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ქართული ვაზის ჯიშია. პროფ. დ. ტაბიძე, რომელიც დეტალურად იხილავს ამ ჯიშის წარმოშობის საკითხს, თვლის, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ ჯიშის შეტანა საქართველოდან ყირიმში, სადაც იგი გვხვდება ალბილიო ყირიმულის სახელწოდებით. ამ მოსაზრების დამამტკიცებელია ამ ჯიშის უფრო მეტად საქართველოში გავრცელება და მისი ახლო მსგავსება ადგილობრივ ჯიშებთან.

ჯ გ უ ფ ი № 40 (მწვანე კახური). ჯგუფში შედის 6 ჯიში: ბუდეშური თეთრი (ქართ.), მალრანული (კახ.), მწვანე კახური, ქისი (კახ.), ქიშური (ქართ.), შემოდგომის შავი.



ჯგუფისათვის ტიპური ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი — ქეჩისებრად, უფრო იშვიათად აბლაბუდისებრად შებუსული ფოთოლი — დიდი და საშუალო; ძლიერად დანაკვთული, შებუსული აბლაბუდისებრი, უფრო იშვიათად სებრი ბუსუსებით; მტევანი — საშუალო, კონუსური-ლინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმსის, უმბრო, ხანდახან მხრიანი ან ფრთიანი; მარცვალი — საშუალო, ოვალური. სიმწიფის პერიოდი — საშუალო, იშვიათად უფრო საადრეო; სამეურნეო მიმართულება — უმეტესად საღვინე, მაგრამ გვხვდება სასუფრე და სასუფრე-საღვინეც; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო და ძლიერი.

ჯიშები, გარდა ცალკე მდგომი ორი ჯიშისა, საშუალო ჯიშ-ტიპია. მასში გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფები:

- 2. 1. (საშ. მანძ. — 23) — მალრანული, მწვანე კახური,
- 2. 2. (საშ. მანძ. — 25) — ქისი, მწვანე კახური,

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

- 3. 1. (საშ. მანძ. — 25,3) — 2. 1.+2. 2.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

- 4. 1. (საშ. მანძ. — 31,7) — 3. 1.+ბუდეშური თეთრი.

ქიშური და შემოდგომის შავი დაშორებულია ყველა ჯიშებისაგან მანძილებით, რომლებიც აღემატება 40-ს.

ჯგუფი ქართლისა და კახეთის ჯიშების საგრძნობი წილით. ავლენს გარდამავალ თვისებებს ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშებისაკენ — №38 ჯგუფისაკენ.

მწვანე კახური საკმაოდ ძველი ჯიშია. პროფ. დ. ტაბიძეს მისი სიძველის დამამტკიცებლად მოჰყავს ამ ჯიშისათვის დამახასიათებელი კლონებისა და ვარიაციების დიდი რაოდენობა, რომელთა მიღებასაც უდავოდ დიდი დრო დასჭირდებოდა, ამიტომ დ. ტაბიძე მწვანე კახურს რქაწითელთან შედარებით უფრო ძველ ჯიშად თვლის. პროფ. დ. ტაბიძე ვარაუდობს, რომ მწვანე კახური, ალბათ, წარმოიშვა ფორმათწარმოქმნის კოლხეთის კერაში და შემდეგში იქიდან გავრცელდა საქართველოს სხვა რაიონებში, მათ შორის, კახეთშიც.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევა, ამ ჯიშის სხვა ჯიშებთან ურთიერთშედარებისა და შესწავლის შედეგები, აგრეთვე გენეტიკური ანალიზი, რომელმაც გამოავლინა ნიშანთა მემკვიდრეობაში სტაბილურობა, არ გვაძლევს უფლებას დავეთანხმოთ პროფ. დ. ტაბიძის ამ მოსაზრებას.

მწვანე კახურის ახლო მსგავსება ადგილობრივ კახურ ჯიშებთან, მისი მოხვედრა კლასიფიკაციის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშების ჯგუფში და აგრეთვე XIX საუკუნის დასაწყისამდე, საქართველოში ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მსსობივად გამოჩენამდე ჯიშის დიდი ფართობების არსებობის შესახებ ძველს გვაძლევს ჩავთვალთ იგი ადგილობრივი, ფორმათწარმოქმნის ალაზნის კერის ჯიშად, რომელმაც კულტურაში გამოჩენამდე გაიარა გრძელი, რთული გზა და შემდგომი გაუმჯობესება ხალხური სელექციით. მასთან ახლოს მდგომი ჯიშები, რომელთა წარმოშობაში საგულისხმოა მისი მონაწილეობა, არის კახეთის მადრანული და ქისი.

ქისი, პროფ. დ. ტაბიძის აზრით, არის მწვანე კახურისა და რქაწითლის ბუნებრივი ჰიბრიდი, ხოლო მისი წარმოშობის დროდ მას მიაჩნია VI—VII სს. ვიზიარებთ ამ ვერსიას, მაგრამ ამასთანავე ვვარაუდობთ ამ ჯიშების წარმოშობის მეორე გზასაც—მწვანე კახურის კვირტის მუტაციის მიღებისა და სახეშეცვლილი მასალის შემდგომი გამრავლების მეშვეობით. ქისის თვითდამტვერვით მემკვიდრეობაში გამოვლინდა ისეთი რეცესიული ნიშნები, როგორცაა: სუსტად შებუსუსული და ძლიერად დანაკეთული ფოთლები.

ბუდეშური თეთრი ძველთაგანვე ცნობილი ქართული ვაზის ჯიშია¹⁷. ი. ბახტაძე თვლის, რომ ჯიში აღმოსავლეთ საქართველოსა და აღნიშნავს, რომ გვხვდებოდა აგრეთვე იმერეთშიც. აკად. ს. ჩოლოყაშვილი მას მიაკუთვნებს კახეთის ჯიშების რიცხვს. პროფ. დ. ტაბიძე კი თვლის ალაზნის ფორმათწარმოქმნის კერის ჯიშად და წერს, რომ თუმცა ბუდეშური თეთრი გავრცელებული იყო ქართლის რაიონებში, ადრე მას იცნობდნენ უფრო ფართოდ და გვხვდებოდა კახეთსა და იმერეთშიც კი.

ბუდეშური თეთრის შესახებ ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებას: ბუდეშური თეთრი მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის აბლაბუდისებრად შებუსუსულფოთლიანი ჯიშების ნაირსახეობას და ადგილობრივ, ალაზნის ფორმათწარმოქმნის კერას. ახლო მანძილებით არის დაშორებული კახეთის ვაზის ჯიშებისაგან. ადრე მისი გავრცელების არეალი უფრო ფართო იყო. თვითდამტვერვის

17 ორბელიანის სულხან-საბა. ქართულ სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1928, გვ. 46.

დროს ჰეტეროზიგოტული აღმოჩნდა: ახალგაზრდა ყლორტის შებუ-
სვა — გამოვლინდა რეცესიული ნიშანი აბლაბუდისებრი შებუსვა;
ყვავილის ტიპი — ფუნქციონალურად მდებდრობითი თეთრი შებუსვა
და დანაკვეთა, მარცვლის ფორმა.

ფორმული
პიკლოროსიკა

ჰომოზიგოტური აღმოჩნდა — მარცვლის თეთრი შეფერვა.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ბუდეშური თეთრი ჩავთვა-
ლოთ აბორიგენტულ ჯიშად, რომელიც ჩამოყალიბდა ადგილობრივ
პირობებში და წარმოიშვა ადგილობრივი საწყისი მასალიდან.

ქართლის ჯიში ქიშური განცალკევებით დგას ჯიშ-ტიპად გა-
ერთიანებული ჯიშებისაგან. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, წარმო-
იშვა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ჰერეთში, ვიშის ხეობაში
და აქედან გავრცელდა მთელ კახეთში, შემდეგ კი ქართლში.

გაურკვეველი წარმოშობის ჯიში შემოდგომის შავი ახლოს
დგას აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან.

ჯ გ უ ფ ი № 41 (კურკენა). მასში 15 ჯიშია: ანდრეული თხელკა-
ნა (ქართ.), ბუდეშური წითელი (კახ.), გრძელმტევანა (კახ.), ზაქათ-
ლის წითელი (კახ.), თავკვერი დიდმარცვალა (კახ.), კუმსი ყვითელი
(კახ.), კურკენა (კახ.), თავკვერი პატალანთეული (კახ.), თავქარა
(კახ.), თითა ნამდვილი (კახ.), ჩიტისთვალა თეთრი (კახ.), ცხვედიანის
თეთრა (რაჭ.), ძალიარჭამა (კახ.), წითელი რაჭული, ჯვარი (ქართ.).

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი — ძირითადად შებუსულია ქეჩისებრი
ბუსუსებით; ფოთოლი — დიდი, საშუალოდ, იშვიათად ძლიერად,
უფრო იშვიათად სუსტად დანაკვეთული, შებუსვა სუსტი, აბლაბუ-
დისებრი, ძალიან იშვიათად სქელი, ქეჩისებრი; მტევანი — საშუა-
ლო, უმეტესად კონუსური, გვხვდება განიერ-კონუსური და ცილინ-
დრულ-კონუსური, ძალიან იშვიათად — ცილინდრული; მარცვა-
ლი — საშუალო, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, იშვიათად
ოვალური, მოგრძო და გრძელი. სიმწიფის პერიოდი ძირითადად სა-
შუალო; სამეურნეო მიმართულება—ძირითადად საღვინე, იშვიათად
სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

ჯიშები გაერთიანებულია ორ სუსტ ჯიშ-ტიპში.

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფი:

1. 1. (საშ. მანძ. — 20) — ცხვედიანის თეთრა, ჩიტისთვალა
თეთრი.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ. — 22) — 1. 1.+კურკენა.



3. ძლიერი ჯიშ-ტიპები:

3. 1. (საშ. მანძ. — 28) — 2. 1.+ გრძელმტევანა, თავკვერი პატალანთეული.

3. 2. (საშ. მანძ. — 28) — თავკვერი პატალანთეული, თელი რაჭული.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 34) — თავქარა, თავკვერი პატალანთეული;

4. 2. (საშ. მანძ. — 34,5) — 3. 1.+ ზაქათლის წითელი, კუმსი ყვითელი, თავკვერი დიდმარცვალა, წითელი რაჭული,

4. 3. (საშ. მანძ. — 35) — კურკენა, თავქარა,

4. 4. (საშ. მანძ. — 35) — ძალიარჭამა, კურკენა.

5. სუსტი ჯიშ-ტიპები:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — ანდრეული თხელკანა, ბუდეშური წითელი,

5. 2. (საშ. მანძ. — 37,3) — 4. 2.+ ძალიარჭამა, თავქარა,

5. 3. (საშ. მანძ. — 38) — ჯვარი, კურკენა,

5. 4. (საშ. მანძ. — 38) — ანდრეული თხელკანა, ზაქათლის წითელი,

6.

ყველასაგან განცალკევებით დგას თითა ნამდვილი, რომლის მანძილები ყველა ჯიშისაგან აღემატება 40-ს.

კახეთის ვაზის ჯიშების დომინანტური კლასიფიკაციური ჯგუფი.

აქვს გარდამავალი თვისებები აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიან ჯიშების ჯგუფებისაკენ — კერძოდ №42 ჯგუფისაკენ.

კურკენა კახეთის საკმაოდ ძველი ჯიშია. შედის ჯიშ-ტიპში ჩიტისთვალა თეთრთან და ცხვედიანის თეთრასთან ერთად. ჩიტისთვალა თეთრი კახეთის ჯიშია. გვხვდება შენარევების სახით მწვანე კახურის სამრეწველო ნარგაობებში. პროფ. დ. ტაბიძის აზრით, ჩიტისთვალა თეთრი ძალიან ახლოს დგას კახეთის ჯიშებთან—რქაწითელთან, მწვანესთან, ხიხვთან და, შესაძლებელია, რომ ისინი წარმოშობილი არიან საერთო საწყისი ფორმიდან, იგი ითვალისწინებს რა ჯიშის სტაბილურ მორფოლოგიურ ნიშნებს—ფოთლის უფრო ინტენსიურ შებუსვას, წვრილ, რგვალ მარცვალს და სხვ., თვლის მას რქაწითელსა და მწვანეზე უფრო ძველ ჯიშად. პროფ. დ. ტაბიძის მოსაზრების გაზიარება შეიძლება. ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ ჩი-

ტისთვალა თეთრის ეს საერთო საწყისები მწვანე კახურთან და რქა-
წითელთან, თუკი იგი არსებობდა, უდავოდ უფრო შორეულ წარ-
სულშია.

ცხვედიანის თეთრა გვხვდება მხოლოდ ლეჩხუმში (ცხვედიანის რაიონში). აკად. ს. ჩოლოყაშვილის აზრით, ჯიში საქართველოში შემოტანილია სხვა ქვეყნებიდან. მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, მაშინ გაუგებარია ამ ჯიშის ახლო კავშირები ადგილობრივ, აბორიგენულ ჯიშებთან. ამიტომ ამ ჯიშის წარმოშობის საკითხი, ჯერჯერობით გადაუწყვეტელია.

გრძელმტევანა ადგილობრივი ჯიშია. გამოვლენილია კახეთში ვაზის ველურად მოზარდი მცენარეებიდან.

კუმის ყვითელი, თავკერი, პატალანთეული, ძალიარქამა, ზაქათლის წითელი, თავქარა კახეთის (ზოგიერთი მათგანი შედარებით ძველი) ჯიშებია.

თავკერი დიდმარცვალას ახასიათებს უფრო ფართო გავრცელების არეალი (კახეთი, ქართლი). ითვლება ადგილობრივი, აღმოსავლეთ საქართველოს წარმოშობის კერის წარმომადგენლად, რაზეც მეტყველებს მისი ახლო კავშირები კახეთის ვაზის ჯიშებთან და აგრეთვე ჩვენ მიერ ჩატარებული გენეტიკური ანალიზის მასალები. ჯიში წითელი რაჭული, რომელიც ავლენს მსგავსებას კახეთის ჯიშებთან, რაჭაში, ალბათ, შემოტანილია კახეთიდან.

ჯვარი, თუმცა გამოცალკევებულია ჯიშ-ტიპისაგან, მაგრამ მისი კავშირი ამ ჯიშ-ტიპის ერთ-ერთ ძირითად ჯიშ **კურკენასთან** საფუძველს არ გვაძლევს იგი უშუალოდ მიგაკუთვნოთ „აღმოსავლეთის საღვინე ჯიშებს“¹⁸. მეორე ასეთი ჯიში, რომელიც აგრეთვე გამოიყო ჯიშ-ტიპიდან, არის კახეთის ჯიში **თითა ნამდვილი**.

ბუდეშური წითელი ძველი ქართული ჯიშია, კარგად ცნობილი და ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ XVII საუკუნეში.

აკად. ი. ჯავახიშვილი მას მიაკუთვნებს კახეთის ჯიშების რიცხვს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ იგი კულტივირებული იყო მთელს აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში. დ. ტაბიძე, რომელიც იმორწმებს ი. ბახტაძის ცნობებს, აღნიშნავს, რომ ჯიში ძველად ფართოდ იყო გავრცელებული და, შესაძლებელია, იგი შემოიტანეს დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩვენ სხვა აზრს ვიზიარებთ. ბუდეშური წითლის, აღმოსავლეთ

¹⁸ Ампелография СССР. М.: Пищепромиздат. 1963, т. I, с. 450.

საქართველოს ჯიშების ჯგუფში მოხვედრის ფაქტი და მისი ახლო კავშირები მათთან, გვაძლევს საფუძველს, იგი ჩავთვალოთ ადგილობრივ, ალაზნის კერაში წარმოშობილ ჯიშად, ხოლო მსოფლიო სახეობა საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში აღმოჩენის შემთხვევებში დაეშუვათ, მისი აქ შემოტანა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან. ბუდეშური წითელი დაკავშირებულია ჯიშ-ტიპთან ქართლის ჯიშის ანდრეული თხელკანას მეშვეობით.

ჯ გ უ ფ ი № 43 (ღრუბელა კახური). ჯგუფში სამი ჯიშია: მხარგრძელი (კახ.), ყვითელი მხარგრძელი (კახ.) და ღრუბელა კახური.

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა ქეჩისებრი; ფოთოლი—დიდი, ძლიერად დანაკეთული, შებუსვა—ჯიშების ნაწილს—აბლაბუდისებრი, ნაწილს—ქეჩისებრი; მტევანი—დიდი, საშუალო სიკუმსის და მეჩხერი; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, თეთრი და შავი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე და საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—საშუალო.

ჯგუფში გამოყოფილია:

1. ძლიერი ჯიშ-ჯგუფი:

1. 1. (საშ. მანძ. — 19) — მხარგრძელი, ყვითელი მხარგრძელი. უახლოვდება № 41 ჯგუფს.

მხარგრძელი უძველესი ჯიშია, გვხვდებოდა კახეთის ყველა რაიონში. ყვითელი მხარგრძელი მხარგრძელის კვირტის ვარიაციაა.

მხარგრძელის რქაწითელთან შეჯვარებისას ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და გამოვლინდა შემდეგი ფარული ნიშნები: ახალგაზრდა ყლორტის აბლაბუდისებრი შებუსვა, შეუბუსავი ფოთოლი და სხვ., რაც მოწმობს მხარგრძელის შედარებით ძველ წარმოშობაზე.

ჯ გ უ ფ ი № 44 (ჯაჭვაძისეული). ჯგუფში სამი ჯიშია: მტევან-დიდი (გურ.), ობჩის წითელი (იმერ.) და ჯაჭვაძისეული (კახ.).

ამ ჯიშებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი—დიდი, აბლაბუდისებრად შებუსული; მტევანი — საშუალო, კონუსური და განიერ-კონუსური; მარცვალი — საშუალო; შავი; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი და საშუალო.

მანძილები ყველა ჯიშებს შორის 40-ზე მეტია და ერთმანეთისაგან განცალკევებითაა განლაგებული.

ახლოს არის № 39 ჯგუფთან.

ჯაჭვადისეული კახეთის ჯიშია, ოზრის წითელი — იმერეთის.

მტევანდიდი ფილოქსერის შემოჭრამდე ფართოდ გავრცელებული საქართველოს ყველა რაიონში. ამიტომ, ველობაში აგრეთვე მის მსგავსებას სხვა ქართულ ჯიშებთან, გაუმართლებლად მიგვაჩნია მისი მიკუთვნება დასავლეთ ევროპის ჯიშების ჯგუფზე¹⁹.

კლასიფიკაციური ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ შეუბუსავ ფოთლიან ვაზის ჯიშებს. სულ გამოყოფილია ასეთი 12 ჯგუფი.

ამ კლასიფიკაციურ ჯგუფებში მოხვედრილი ჯიშების უმეტესობა მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტს და წარმომობილია უფრო გვიან. დასავლეთ საქართველოში ასეთი ჯიშები შედარებით ცოტაა.

ამ ჯიშების წარმომობაში მონაწილეობდა დივერგენციის შედეგად გამოყოფილი გარეული ვაზის ქვესახეობა, აგრეთვე უფრო მეტად შებუსულფოთლიანი ადგილობრივი კულტურული ჯიშები.


ამ ჯგუფებში გაერთიანებული ჯიშების უმეტესობა სხვადასხვა ავტორის მიერ მიკუთვნებულია აღმოსავლეთის ჯიშების ჯგუფზე.

სინამდვილეში, ა. ნეგრულის მიერ გამოყოფილი ქვეჯგუფი, *proles orientalis subpr. Caspica*, თუმცა მოიცავს ადგილობრივ, აღმოსავლეთ საქართველოს კერაში წარმომობილი ქართული ვაზის ჯიშების ნაწილს, მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ისტორიული წყაროები, რომლებიც მოწმობენ ამ ჯიშების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ლოკალიზებულ არეალზე, მიუთითებს მათ აბორიგენობაზე და საშუალებას იძლევა ვამტყვიოთ, რომ ისინი წარმომობილია ადგილობრივი, კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათწარმოქმნის აღმოსავლეთ საქართველოს კერაში, უფრო პირველადი, ძლიერად შებუსულფოთლიანი ჯიშების ნაირსახეობიდან ფართული, რეცესიული ნიშნების დათიშვისა და გამოყოფის პროცესის შედეგად.

ჯ გ უ ფ ი № 4 (აძნიყი). შედგება ერთი ჯიშისაგან — აძნიყი (აფხ.).

აძნიყისათვის დამახასიათებელია: ახალგაზრდა ყლორტი შეუბუსულია აბლაბუდისებრად; ფოთოლი — დიდი, მომრგვალო, დაუნაკვთავი, შეუბუსავი, ყუნწის ამონაკვეთი ძირითადად ღია ისრისებ-

¹⁹ Ампелография СССР. М.: Пищепромиздат. 1963, т. II, с. 399.



რი, მაგრამ გვხვდება ერთმანეთზე გადასული ბოლოებით: ყვავილი —
ორსქესიანი; მტევანი — საშუალო, ცილინდრული, ზოგჯერ კონუს-
სური და ცილინდრულ-კონუსური, ძირითადად საშუალო-საშუალო.
გვხვდება ფრთიანი; მარცვალი — საშუალო, მთლიანად მთლიანად
ძლიერ საგვიანო სიმწიფის პერიოდის, საღვინე; ვაზის ზრდის ღონე —
საშუალო.

აძნევი, ალბათ, ადგილზე, ფორმათწარმოქმნისა და შემდგომში
სელექციური პროცესის შედეგად მიღებული ჯიშია. ამავე დროს გა-
მორიცხებული არ არის მისი შორეული ნათესაობა რაჭა-ლეჩხუმის,
შეიძლება, აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთანაც კი.

ჯ გ უ ფ ი № 11 (ქაქუთურა). შედგება ერთი ჯიშისაგან — ქაქუ-
თურა (იმერ.).

ქაქუთურა ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით: ახალგაზრ-
და ყლორტი შებუსუსულია სუსტი აბლაბუდისებრი შებუსუსით; ყვავი-
ლი — ორსქესიანი; ფოთოლი — დიდი, მომრგვალო, დაუნაკვთავი,
შეუბუსავი, ყუნწის ამონაკვეთი ღია თაღისებრი და ისრისებრი;
მტევანი — საკმაოდ დიდი, კონუსური, მეჩხერი, ძირითადად უმხრო,
გვხვდება ფრთიანი; მარცვალი — საშუალო, ოვალური და მოგრძო,
თეთრი; სიმწიფის პერიოდი—საგვიანო; ვაზის ზრდის ღონე—საშუ-
ალო.

ქაქუთურას სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან
საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი იქიდან შემოტანილია
იმერეთში.

ჯ გ უ ფ ი № 16 (თავკვერი). ჯგუფში გაერთიანებულია 6 ჯიშ:
აკომპტალი (აფხ.), თავკვერი (ქართ.), თამარის ყურძენი (ქართ.),
მესხური შავი, ტყის ყურძენი (დას. საქ.), ხარისთვალა შავი (კახ.).

ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსუსვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი—
დიდი, სუსტად, მაგრამ საკმაოდ ხშირად საშუალოდ და ძლიერად
დანაკვთული, ძირითადად შეუბუსავი, ძალიან იშვიათად სუსტად,
აბლაბუდისებრი შებუსუსით; მტევანი—საშუალო, კონუსური, იშვია-
თად ცილინდრულ-კონუსური; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო
და შებრტყელებული, შავი; სიმწიფის პერიოდი—საშუალო და ხან-
დახან საგვიანო; სამეურნეო მიმართულება—საღვინე, უფრო იშვია-
თად საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე — ძირითადად ძლიერი.
მთლიანი ჯგუფი სუსტი ჯიშ-ტიპია. მის შიგნით გამოიყოფა:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:



- 2. 1. (საშ. მანძ. — 25) — მესხური შავი, თავკვერი.
- 3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:
 - 3. 1. (საშ. მანძ. — 29,7) — 2. 1.+ტყის ყურძენი.
- 4. საშუალო ჯიშ-ტიპი:
 - 4. 1. (საშ. მანძ. — 31,5) — 3. 1+თამარის ყურძენი.
- 5. სუსტი ჯიშ-ტიპი:
 - 5. 1. (საშ. მანძ. — 38,5) — ჭგუფის ყველა ჯიში.

ქართლის ჯიშების დომინანტური კლასიფიკაციური ჭგუფია.

ქართლის ჯიშები თავკვერი და მესხური შავი ერთმანეთისაგან განსხვავდება უმნიშვნელო ნიშნებით და ჯიშ-ჭგუფია. წარმოშობილია საერთო წყაროდან, კვირტის მუტაციის გზით.

წერილობითი წყაროები მოწმობენ, რომ თავკვერი გავრცელებული ყოფილა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც პროფ. დ. ტაბიძე წერს, ჯიში წარმოიშვა საქართველოს ტერიტორიაზე და საკმაოდ ძველია. ამას მოწმობს ჯიშის ქართული სახელწოდება და მის შემადგენლობაში მრავალი ვარიაციის არსებობა.

აღნიშნული ჭგუფის ოთხი ჯიში — თამარის ყურძენი, ტყის ყურძენი, მესხური შავი და თავკვერი ჯიშ-ტიპია. მათ აახლოებს ისეთი ძირითადი ნიშან-თვისებები, როგორცაა: სუსტად შებუსუსული, საშუალოდ დანაკეთული ფოთოლი, შებრტყელებული ან მომრგვალო მარცვალი, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმსის მტევანი; სიმწიფის საშუალო პერიოდი, ერთნაირი სამეურნეო მიმართულება და საკმაოდ ძლიერი ზრდის ღონე.

აფხაზური ჯიში აკომშტალი და კახეთის ხარისთვალა შავი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ჭგუფის ცენტრიდან. დიდია აგრეთვე მათი მინიმალური მანძილი სხვა ჯიშებთან.

ჭ გ უ ფ ი № 17 (თითა რბილი-გორულა.).

მასში 7 ჯიშია: ალმურა თეთრი (აჭ.), გორულა (ქართ.), ვარდისფერა (კახ.), თითა რბილი (ქართ.), კლარჯული (აჭ.), მსხვილთვალა თეთრი (კახ.), სირგულა (კახ.).

ჭგუფში გაერთიანებული ჯიშების საშუალო მაჩვენებლებია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა სუსტი; ფოთოლი—დიდი, დაუნაკეთავი და საშუალოდ დანაკეთული, უმეტესად შეუბუსავი, მაგრამ გვხვდება აბლაბუდისებრად შებუსუსული; მტევანი — დიდი, კონუსური, ცილინდრულ-კონუსური და ცილინდრული, ძირითადად საშუალო სიკუმსის, გვხვდება მეჩხერიც; მარცვალი — დიდი ზომის, ოვალური, იშვიათად მომრგვალო-ოვალური, თეთრი და ვარდისფე-

რი; სიმწიფის პერიოდი საშუალო, ხანდახან საგვიანო, სამეურნეო მიმართულება — სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი.

მთელი ჯგუფი მთლიანად ვერ შეადგენს სუსტ ჯიშებს.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მანძ. — 32) — ვარდისფერა, თითა რბილი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 38,5) — 4. 1. + გორულა, კლარჯული.

6.

6. 1. (საშ. მანძ. — 42,7) — აღმურა თეთრი, გორულა, მსხვილ-თვალა თეთრი, სირგულა.

გორულა შედარებით ძველი ქართლის ჯიშია. გვხვდება შენარევის სახით ჩინურის ნარგაობაში. **თითა რბილი** ქართლის ჯიშია. **ვარდისფერა** ადგილობრივი, კახეთის ჯიშია, პროფ. დ. ტაბიძის მიერ მიკუთვნებულია აღმოსავლეთის ვაზის ჯიშების ჯგუფზე, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. **კლარჯულის** ჯიშის სამშობლოდ აკად. ი. ჯავახიშვილი თვლის შავშეთ-კლარჯეთს. მ. რამიშვილის აზრით, ადრე ფართოდ იყო გავრცელებული აჭარასა და გურიაში.

ჯიში რომ აბორიგენულია, ამას მოწმობს აგრეთვე მისი გენეტიკური ანალიზის მასალები. ჩვენი აზრით, ჯიში ადგილობრივი წარმოშობისაა. მიღებულია ნიშნთა დათიშვის, გამორჩევისა და ხანგრძლივი მიმართებითი სელექციის გზით.

სირგულა კახეთის ჯიშია. ახასიათებს შედარებით ინტენსიურად შებუსუსული ახალგაზრდა ყლორტი და თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება უფრო მეტად შებუსუსულფოთლიანი ჯიში მონაწილეობდეს ნაკლებად შებუსუსულფოთლიანი ჯიშის წარმოშობაში.

აჭარის ჯიში **აღმურა თეთრი** და კახეთის **მსხვილთვალა თეთრი**, რომლებიც ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან ადგილობრივი ჯიშებისაგან, საქართველოში, ალბათ, შემოტანილია სხვა ქვეყნებიდან.

ჯ გ უ ფ ი № 18 (ფორთოკა). ჯგუფში ოთხი ჯიშია: ვაზისუჭნის წითელი (კახ.), კახური თეთრი, მელიკუდა ქართლის, ფორთოკა.

ნიშან-თვისებათა საშუალო ტენორი:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსუსვა აბლაბუდისებრი, იშვიათად შეუბუსუსავი; ფოთოლი — დიდი, ძლიერად დანაკეთული, შეუბუსუსავი, იშვიათად აბლაბუდისებრად შებუსუსული; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ფრთიანი; მარცვა-

ლი — საშუალო, ძირითადად მომრგვალო ფორმის, თეთრი და შავი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო, იშვიათად საგვიანო.

სამეურნეო მიმართულება — საღვინე; ვაზის ზრდის ფენე-
ქლიერი, იშვიათად საშუალო.

ჯგუფში შემავალი ჯიშები ვერ ქმნიან ერთიან ჯგუფს.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 32) — მელიკუდა ქართლის, ფორთოკა,

4. 2. (საშ. მანძ. — 34) — ვაზისუბნის წითელი, ფორთოკა.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მან. — 36,7) — ვაზისუბნის წითელი, მელიკუდა ქართლის, ფორთოკა.

5. 2. (საშ. მანძ. — 40) — კახური თეთრი, ფორთოკა.

მელიკუდა ქართლის ძველი ქართული ჯიშია, ადრე ფართოდ იყო გავრცელებული და გეზვდებოდა თითქმის მთელ საქართველოში. მისი მოხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშების ჯგუფში, ჯიშის სახელწოდება და, აგრეთვე გენეტიკური ანალიზის მასალები, საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ იგი აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშად, რომელიც უკვე ძველადვე შეიტანეს დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

კახეთის ვაზისუბნის წითელი, პროფ. დ. ტაბიძის აზრით, გაურკვეველი წარმოშობისაა. ფორთოკა ახლოს არის კახეთის ჯიშებთან.

ჯ გ უ ფ ი № 20 (დანახარული-ტყუპკვირტა). მასში ორი ჯიშია: დანახარული (ქართ.) და ტყუპკვირტა.

ორივე ჯიშისათვის მსგავსი ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი — დიდი, შეუბუსავი; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური; მარცვალი — საშუალო, შავი; სიმწიფის პერიოდი — საგვიანო; სამეურნეო მიმართულება, — საღვინე.

მანძილი დანახარულსა და ტყუპკვირტას შორის 23-ია, რაც საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი სუსტ ჯიშ-ჯგუფში.

უახლოვდება № 22 ჯგუფს.

დანახარული. ნ. ჩახნაშვილი, ითვალისწინებს რა ჯიშის დამახასიათებელ მორფოლოგიურ ნიშნებს და მის ლოკალიზაციას ქართლში, თვლის მას ერთ-ერთ უძველეს აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშად.

ტყუპკვირტა უდავოდ მასთან საერთო წარმოშობის ჯიშია.

ჯ გ უ ფ ი № 21 (წითელი ვაზი). ჯგუფში ერთი ჯიშია — წითელი ვაზი (ქართ.).

წითელი ვაზის მაჩვენებლებია: ახალგაზრდა ყლორტი — შეუ-
ბუსავი; ყვავილის ტიპი — ორსქესიანი; ფოთოლი — დიდი, სა-
შუალოდ დანაკვეთილი, შეუბუსავი, ყუნწის ამონაკვეთი — ჩანგი-
სებრი და თალისებრი; მტევანი — საშუალო, კონუსური, იშვიათად
ცილინდრული; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, მკვრივი, მკვრივი
სიმწიფის პერიოდი — საშუალო. სამეურნეო მიმართულება საღვინე-
სასუფრე; ზრდის ღონე — საშუალო.

ჩვენი აზრით, ჯიში საქართველოში შემოტანილია სხვა ქვეყნე-
ბიდან, რასაც მოწმობს მისი საერთო იერი და სხვა ქართულ ჯიშებ-
თან არამსგავსი მორფოლოგიური ნიშნები.

ჯ გ უ ფ ი № 22 (ფართალა შავი) ჯგუფში 10 ჯიშია: ანანურა, ასუ-
რეთული შავი (ქართ.), ახალციხური თეთრი (ქართ.), ბზვანურა
(იმერ.), ენდელაძისეული (იმერ.), კაპიტა (ქართ.), ფართალა შავი
(ქართ.), სიმონასეული (კახ.), ფითრა (იმერ.), შემოდგომის თეთრი.

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების ნიშან-თვისებათა საშუალო
ცენტრია: ახალგაზრდა ყლორტი — უმეტესად აბლაბუდისებრად
შებუსული, გვხვდება შეუბუსავი; ფოთოლი — დიდი, უმეტესად
ძლიერად დანაკვეთილი, შეუბუსავი და იშვიათად აბლაბუდისებრად
შებუსული; მტევანი — საშუალო, კონუსური და ცილინდრულ-
კონუსური, გვხვდება ცილინდრული, ძირითადად საშუალო სიკუმ-
სის; მარცვალი — საშუალო, მომრგვალო, მაგრამ საკმაოდ ხშირად
მომრგვალო-ოვალური და ოვალური, უმეტესად შავი, თუმცა გვხვ-
დება თეთრი ფერისაც. სიმწიფის პერიოდი — ძირითადად საშუა-
ლო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე და იშვიათად საღვინე-
სასუფრე. ვაზის ზრდის ღონე — საშუალო და ძლიერი.

ჯიშები ჰქმნის რამდენიმე გაერთიანებას:

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ. — 25) — ფითრა, შემოდგომის თეთრი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 28) — 2. 1. + ფართალა შავი.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 32) — ბზვანურა, ფართალა შავი,

4. 2. (საშ. მანძ. — 33) — 3. 1. + ბზვანურა,

4. 3. (საშ. მანძ. — 34) — ასურეთული შავი, კაპიტა, ფარ-
თალა შავი,

4. 4. (საშ. მანძ. — 34) — ფართალა შავი, სიმონასეული,

4. 5. (საშ. მან. — 34,3) — ახალციხური თეთრი, ფართალა შავი, ფითრა,

4. 6. (საშ. მანძ. — 35) — ანანურა, ფართალა შავი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპები:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — ანანურა, ფართალა შავი, ნასეული,

5. 2. (საშ. მანძ. — 36,7) — 4, 2. + ახალციხური თეთრი,

5. 3. (საშ. მანძ. — 37) — ენდელაძისეული, ფართალა შავი.

ჯგუფი ქართლისა და იმერეთის ჯიშების საგრძნობი წილით. ახლოს არის № 45 ჯგუფთან.

ფართალა შავი ქართლის ჯიშია, რომელიც ეტყობა მონაწილეობდა ჯგუფში შემავალი უმეტესი ჯიშების ფორმირებაში.

კაპიტა ქართლის ჯიშია, ვ. ლოლაძის აზრით, შედარებით გვიან არის წარმოშობილი. **სიმონასეული** კახეთის ჯიშია უფრო მკვეთრად გამოსახული ფოთლის შებუსვის ნიშნებით. ახლო მანძილით არის დაშორებული ფართალა შავისაგან. იმერეთის **ბზვანურა** და **ფითრა** ეტყობა შემოტანილებია იმერეთში ქართლიდან. ჩვენ მოსაზრებას ემთხვევა ამ საკითხის ირგვლივ პროფ. დ. ტაბიძის მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც აგრეთვე ამტკიცებს, რომ თუმცა ეს ჯიშები გვხვდება მხოლოდ განსაკუთრებით იმერეთის რაიონებში, მათი წარმოშობა მაინც დაუდგენელია.

ჯიშებს **შემოდგომის თეთრი** და **ანანურა** ურთიერთკავშირები აქვთ ფართალა შავთან და ფითრასთან. **ახალციხური თეთრი** ქართლის ჯიშია.

ენდელაძისეული, რომელიც ერთიანი ნარგაობების სახით გვხვდება იმერეთის შუა ნაწილში, ალბათ, წარმოშობილია დასავლეთ საქართველოში, ადგილზე ფორმათა წარმოქმნის პროცესის შედეგად. **ასურეთული შავი** შედარებით ძველი ჯიშია, რომელიც მიღებულია აღმოსავლეთ საქართველოში, გარეული ვაზის ლიანებიდან მისი გამორჩევის გზით. აქვს შორეული მსგავსება თავკვერთან.

ჯ გ უ ფ ი № 23 (ღრუბელა ქართლის-ხარისთვალა მესხური) მასში ორი ჯიშია.

ნიშან-თვისებათა საშუალო ცენტრია:

ახალგაზრდა ყლორტი—შებუსვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი—დიდი, საშუალოდ დანაკეთული, შეუბუსავი ან აბლაბუდისებრად შებუსული, ყუნწის ამონაკვეთი ღია; მტევანი — დიდი, კონუსური და ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრული, უმეტესად

საშუალო სიკუმსის; მარცვალი — დიდი, მომრგვალო-აგვალური და
ოვალური, თეთრი და ნაცრისფერი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო;
ვაზის ზრდის ღონე — ძლიერი.

ჯიშები ღრუბელა ქართლის და ხარისთვალა მესხური ქვეყნის
თისაგან დამორბეულია მანძილით 49. ეს მანძილი საშუალოდ 49
იძლევა რაიმე ჯგუფში მათი გაერთიანებისა.

უახლოვდება № 22 ჯგუფს.

ღრუბელა ქართლის, ნ. ჩახნაშვილის აზრით, შეიძლება მიეკუთ-
ვნოს ადგილობრივ ჯიშებს, რაზეც მეტყველებს მისი მთელი რიგი
მორფოლოგიური ნიშნები და აბორიგენულ ჯიშებთან მსგავსება.
გავრცელებულია ძირითადად ქართლში და აგრეთვე კახეთშიც.

ხარისთვალა მესხური ადგილობრივი ჯიშია.

ჯ გ უ ფ ი № 30 (უსახელოური) გაერთიანებულია 7 ჯიშში: არა-
ბეული შავი (რაჭ.), ნაცარა (რაჭ.), უსახელოური (რაჭ.), ყორნის-
თვალა (რაჭ.), ძირაგეულის შავი (იმერ.), წვინდირხვა (აფხ.), ჭროლა
ქართლის.

ჯგუფში გაერთიანებული ჯიშების საშუალო დამახასიათებელი
ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვა აბლაბუდისებ-
რი; ფოთოლი — დიდი, უმეტესად სუსტად დანაკეთული, იშვიათად
საშუალოდ და ძლიერად დანაკეთული, შეუბუსავი და ერთ მესამედ
შემთხვევაში აბლაბუდისებრად შებუსული; მტევანი — საშუალო,
ცილინდრულ-კონუსური და უფრო იშვიათად კონუსური, საშუალო
სიკუმსის, გვხვდება მეჩხერიც, უმეტესად უმწრო; მარცვალი — სა-
შუალო, ძირითადად მომრგვალო, საღვინე; ვაზის ზრდის ღონე — სა-
შუალო და ძლიერი.

ჯიშები კონცენტრირებულია ორ სუსტ ჯიშ-ტიპში.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მანძ. — 31,3) — ყორნისთვალა, ნაცარა, უსახე-
ლოური.

5. სუსტი ჯიშ-ტიპები:

5. 1. (საშ. მანძ. — 36) — არაბეული შავი, ჭროლა ქართლის,

5. 2. (საშ. მანძ. — 37,6) — 4. 1. + ძირაგეულის შავი, წვინ-
დირხვა. რაჭა-ლეჩხუმის ჯიშების დომინანტური კლასიფი-
კაციური ჯგუფი.

უსახელოური ადგილობრივი, დასავლეთ საქართველოს ჯიშია.
აკად. ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ იგი გავრცელდა სოფელ უსახე-
ლოდან.

ჭ. დემეტრაძე და ა. მიროტაძე მას მიაკუთვნებენ *pr. orientalis subsp. Caspica Negr.* ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს.

ჯიში თავისი ნიშან-თვისებებით, მართლაც, შეესაბამება ჯიშების აღნიშნულ ჯგუფს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი წარმოადგენს ფორმათწარმოქმნის ადგილობრივ კერაში, ფარული ნიშნების დათიშვისა და მათი შემდგომი გამორჩევის გზით.

ასეთივე გზით წარმოშობილი ან აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან შორეული წარსულის მქონე რაჭის ჯიშები **ყორნისთვალა** და **ნაცარა**, იმერეთის **ძირაგულის შავი** და აფხაზეთის ჯიში **წვინდირხვა**, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშებია.

ამ ჯიშების შედარებით შეზუსტულფოთლიანი ჯიშებიდან წარმოშობის კარგი მაგალითია აღნიშნულ ჯგუფში ქართლის **ჭროლას** და **რაჭის არაბეული შავის** არსებობა.

ჯ გ უ ფ ი № 37 (წნორი თეთრი). ჯგუფში 4 ჯიშია: თითა ქართლის, პირღებული თეთრი, წნორის თეთრი (კახ.), ხარისთვალა თეთრი (აღმ. საქ.).

ჯგუფისათვის ტიპური ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი — შეზუსტვა აბლაბუდისებრი; ფოთოლი — დიდი, უმეტესად ძლიერად დანაკეთული, მაგრამ გვხვდება აგრეთვე სუსტად დანაკეთული, ძირითადად შეუზუსტავი; მტევანი — დიდი, ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრული, საშუალო სიკუმისი; მარცვალი — დიდი, ოვალური და მოგრძო, თეთრი. სიმწიფის პერიოდი — საშუალო; სამეურნეო მიმართულება — სასუფრე და საღვინე-სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე — ძირითადად, ძლიერი, უფრო იშვიათად საშუალო.

ყველა ჯიში გაერთიანებულია ერთ სუსტ ჯიშ-ტიპში.

4. საშუალო ჯიშ-ტიპი:

4. 1. (საშ. მან.—31)—პირღებული თეთრი, წნორის თეთრი.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ. — 39,5) — ჯგუფის ყველა ჯიში.

ახლოს არის № 45 ჯგუფთან.

წნორის თეთრი კახეთის ჯიშია, **პირღებული თეთრი** — ქართლის **ხარისთვალა თეთრი** და **თითა ქართლის** ადგილობრივი, აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებია. ამავე დროს მათი მიკუთვნება აღმოსავლეთის ჯიშების ჯგუფისადმი²⁰ არ არის სწორი.

²⁰ Амшелография СССР. М.: Пищепромиздат, 1966, т. III, с. 234, 318.

ჭ გ უ ფ ი № 45 (ღვინის თეთრი-ჩინური). მასში 8 ჯიშია: თაკვერი თეთრი (კახ.), მესხური მწვანე, ოქროულა (კახ.), უღია საგვიანო (კახ.), ფახხატა (რაჭ.), ღვინის თეთრი (კახ.) ჩინური (ქართ.), ჭროლა კახური.

ჯგუფის ჯიშების საშუალო ნიშან-თვისებებია:

ახალგაზრდა ყლორტი — შებუსვა აბლაბუდისებრი, ზოგჯერ შე-
უბუსავი; ფოთოლი — დიდი, დაუნაკეთავი და საშუალოდ დანაკე-
თული, შეუბუსავი, ძალიან იშვიათად აბლაბუდისებრი სუსტი ბუ-
სუსებით; მტევანი — საშუალო, ძირითადად კონუსური, გვხვდება
განიერ-კონუსური და ცილინდრული, უმხრო; მარცვალი — საშუა-
ლო, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, ძალიან იშვიათად ოვა-
ლური, თეთრი და ვარდისფერი; სიმწიფის პერიოდი — საშუალო,
უფრო იშვიათად საგვიანო; სამეურნეო მიმართულება — საღვინე-
სასუფრე; ვაზის ზრდის ღონე—ძლიერი და საშუალო.

ჯიშები დაჯგუფებულია ერთ სუსტ ჯიშ-ტიპში. ორი ჯიში გან-
ცალკევებულია ამ ჯიშ-ტიპისაგან.

2. სუსტი ჯიშ-ჯგუფი:

2. 1. (საშ. მანძ. — 23) — ჩინური, ღვინის თეთრი.

3. ძლიერი ჯიშ-ტიპი:

3. 1. (საშ. მანძ. — 29,7) — 2. 1. მესხური მწვანე, ფახხატა.

4. საშუალო ჯიშ-ტიპები:

4. 1. (საშ. მანძ. — 32) — ჩინური, ოქროულა,

4. 2. (საშ. მანძ. — 33) — მესხური მწვანე, ოქროულა.

4. 3. (საშ. მანძ. — 35) — ღვინის თეთრი, ჭროლა კახური.

5. სუსტი ჯიშ-ტიპი:

5. 1. (საშ. მანძ.—36,3)—3. 1+ ოქროულა, ჭროლა კახური.

6.

უღია საგვიანო და თაკვერი თეთრი განცალკევებულია ყველა
ჯიშისაგან მანძილით, რომელიც აღემატება 40-ს და სცილდება სუს-
ტი ჯიშ-ტიპის 5. 1.-ს ფარგლებს.

კახეთის ჯიშების დომინანტური ჯგუფი.

ჩინური ქართლის ჯიშია. აკად. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევებით,
ჩინური ერთ-ერთი უძველესი ქართული ვაზის ჯიშია.

პროფ. ა. ნეგრულმა იგი მოათავსა pr. pontica-ის, ხოლო ნ. ჩახ-
ნაშვილმა pr. orientalis subpr. Caspica Negr. ჯგუფში.

ღვინის თეთრი ჩინურთან ახლომდგომი ჯიშია. კახეთის ჯიში
ოქროულა, პროფ. დ. ტაბიძის აზრით, ითვლება ერთ-ერთ უძველეს
ჯიშად და მთელი რიგი ნიშნებით ძალიან ჰგავს ჩინურს. აქვს საერთო

მსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ჯიშებთანა და მათთან ერთად წარმოშობილია საერთო ფორმათწარმოქმნის კერაში.

ჩვენი გამოკვლევებით — ოქროულა მესხურ მწვანესთან ერთად ავლენს გარკვეულ სიახლოვეს ჩინურთან და მასთან, ერთად ახლო წარმომავლობის უნდა იყოს.

ჯიშების ამ ჯგუფთან მიახლოებულია აგრეთვე რაჭის ჯიში ფახხატა, რომელიც შეიძლება რაჭაში შეიტანეს აღმოსავლეთ საქართველოდან.

ჩვენ არ ვეთანხმებით ა. მიროტაძეს, რომელიც ამ ჯიშს მიაკუთვნებს ადგილობრივ, ქეჩისებრფოთლიანი ჯიშების ჯგუფს.

ქროლა კახური ამჟღავნებს უფრო შორეულ კავშირებს აღნიშნული ჯგუფის ჯიშებთან.

ჯიშ-ტიპიდან გამოცალკევებულია უღია საგვიანო და თავკვერი თეთრი, რომლებიც თავისი ნიშან-თვისებებით განსხვავდება ჯგუფში შემავალი ყველა ჯიშისაგან, ჩვენი აზრით, საქართველოში შემოტანილია სხვა ქვეყნებიდან.

მუშაობის პროცესში გაკეთებულია „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის“ ტომებში გამოქვეყნებული ქართული ვაზის ჯიშების მონოგრაფიებში შენიშნული ზოგიერთი უზუსტობის შესწორების ცდა.

მაგალითად, არასწორად და სრულიად დაუსაბუთებლად არის მიკუთვნებული დასავლეთ ევროპის დაშორებულ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს *pr. occidentalis* Negr. ისეთი ადგილობრივი ფორმათწარმოქმნის კერის ჯიშები, როგორებიცაა: აწლიყი, გაბეხოურა თეთრი, კაპისტონი წიწილიანი, კიბურა, მტევანდიდი, სამარხი, ღვინის წითელი, ყვირა, ჩიტისთვალა აჭარული, ცხენის ძუძუ აჭარული, წითელოური, წირქვალის თეთრი, ჭეჭიბერა, ჭუმუტა, ხოტეურა. ასევე არასწორადაა მიკუთვნებული მეორე, აღმოსავლეთის ჯგუფს ადგილობრივი ჯიშები: ამოხფიყი, ბუდეშური თეთრი, გომის თეთრი, ბუერა, თავკვერი საფერავისებრი, ქორქაულა, ჯვარი. პირიქით, ჯიშები ფახხატა და სიმონასეული; რომლებსაც ახასიათებთ სუსტად შებუსუსი ფოთლები და ჩვენ. მიერ მიკუთვნებულია *convar. orientalis subconvar. Caspica* ჯგუფს, იქ კი მიაკუთვნეს *pr. pontica* Negr. ჯგუფს.

ამრიგად, ქართული ვაზის კულტურული ჯიშების თანამედროვე გენოფონდი დაყოფილია ორ დიდ, მკვეთრად განსხვავებულ, დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტად, რომლებიც, ერთი მხრივ, თვითონ შედიან უფრო მსხვილ სისტემატიკურ

ერთეულში, ხოლო, მეორე მხრივ, დანაწილებული არიან უფრო წვილ ჯგუფებად.

დასავლეთ საქართველოს ვარიანტი სჭარბობს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარისა და აფხაზეთის ჯიშებს. მათში (162 ჯიში—ყველა ქართული ვაზის ჯიშის 15%) შედის:

ეს ტიპი ხასიათდება ნიშნებით, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ძლიერად შებუსულ, აგრეთვე სუსტად და საშუალოდ დანაკვეთულ ფოთოლს; უმეტესად საშუალო ზომის მტევანს, საშუალო ზომის, მომრგვალო-ოვალურ და მომრგვალო, წვნიან მარცვალს; ყურძნის საგვიანო და ძლიერ საგვიანო სიმწიფის პერიოდს.

დასავლეთ საქართველოს ვარიანტის შიგნით გამოიყოფიან, საერთოდ, მსგავსი, მაგრამ ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებული იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ა. შ. ჯიშები.

მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფების შემდეგ, ლოკალურ, განმასხვავებელ ნიშნებზე:

იმერეთის ჯიშები უმეტესად საშუალო ზრდისანია, ჯიშების საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს სიმწიფის საშუალო პერიოდის ჯიშები. ჯგუფში, ტიპურთან ერთად გვხვდება ისეთი ჯიშებიც, რომლებსაც ახასიათებთ ძლიერად დანაკვეთული, შეუბუსავი ფოთოლი და ოვალური მარცვალი.

რაჭა-ლეჩხუმის ჯიშების ჯგუფში ხშირად გვხვდება საშუალო სიმწიფის პერიოდის ჯიშები. ძლიერად შებუსულფოთლიან ჯიშების გარდა, საკმაოდ ხშირად გვხვდება აბლაბუდისებრად შებუსული და უფრო იშვიათად შეუბუსავი, ძლიერად დანაკვეთული ფოთლიანი ჯიშები.

გურიისა და აჭარის ჯიშების ჯგუფში, სამეგრელოს ჯიშებთან შედარებით გვხვდება უფრო მეტი აბლაბუდისებრად შებუსული ფოთლიანები.

აჭარის ჯიშებში, შეუბუსავფოთლიანი, ოვალურმარცვლიანების არსებობა აღმოსავლეთის წარმოშობის ჯიშებთან კონტაქტის შედეგია (აღმურა თეთრი).

აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ჯიშების მტევანი უმეტესად ცილინდრულ-კონუსური და ცილინდრულია.

აფხაზეთის ჯიშებს უფრო ხშირად ახასიათებთ ძალიან ძლიერი ზრდის ღონე და ძალიან საგვიანო სიმწიფის პერიოდი.

დასავლეთ საქართველოს ვარიანტში, უფრო ახლო ურთიერთ-

ბებით ხასიათდება, ერთი მხრივ, აჭარის, ხოლო, მეორე მხრივ, გურჯისტანისა და იმერეთის ვაზის ჯიშები. თავის მხრივ, აფხაზეთის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი შედარებით გამოირჩევა დედაქალაქისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტი. მოიცავს კახეთისა და ქართლის ჯიშებს, რომლებიც ხასიათდება სუსტად და იშვიათად ძლიერად შებუსუსული, საშუალოდ დანაკეთული ფოთლებით; საშუალო და დიდი ზომის მტევნებით, საშუალო, მომრგვალო-მოოვანო, მაგრამ საკმაოდ ხშირად ოვალური, წვნიანი, ზოგჯერ კნატუნა მარცვლებით და სიმწიფის საშუალო პერიოდით.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტში შეიძლება გამოიყოს მსგავსი, მაგრამ ლოკალურად განსხვავებული ქართლისა და კახეთის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფები.

კახეთის ჯიშები, ქართლის ჯიშებთან შედარებით ხასიათდება საშუალო ზრდით, უფრო ძლიერად შებუსუსულფოთლიანი ჯიშების მეტი რაოდენობით.

ქართლის ჯიშებს შორის უფრო მეტია ძლიერი ზრდის, შეუბუსუსულფოთლიანი ჯიშები.

ორივე აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი (ქართლისა და კახეთის) ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებს მჭიდრო ურთიერთკავშირს. მანძილები მათ შორის უდრის 12,9, რაც ორივე ჯგუფისათვის დამახასიათებელი მრავალი საერთო ნიშან-თვისებათა არსებობის დამამტკიცებელია.

დასავლეთ საქართველოს ვარიანტის ჯიშების ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება უძველეს, კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათწარმოქმნის კოლხეთის კერას. ისინი წარმოიშვნენ გარეული ვაზის გამორჩევისა და შემდგომი გაუმჯობესების გზით. ეს კერა ხასიათდება დომინანტური გენების კონცენტრაციით.

ამ ვარიანტის ჯიშებია *pr. pontica subpr. Georgica Negr.* ეკოლოგიური-გეოგრაფიული ჯგუფის ტიპური წარმომადგენლები.

აღნიშნული ვარიანტის ჯიშების უმცირესი ნაწილი, რომლებსაც ახასიათებთ აბლაბუდისებრად შებუსუსული ფოთოლი, შესაძლებელია წარმოშობილიყვნენ ადგილობრივ კერაში, ნიშანთა დათიშვისა და მცენარეთა გამორჩევის გზით. ფორმათწარმოქმნის გარკვეულ ეტაპზე ამ პროცესს დაემატა ჯიშებს შორისი ჰიბრიდიზაცია და უფრო გვიან პერიოდში, ზოგიერთ შემთხვევაში ჯიშების ინტროდუქცია მეზობელი რეგიონიდან.

ეს ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშები, საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მრავალსაუკუნოვანი ფორმათწარმოქმნის პროცესის პროდუქტია. ეს პროცესი — საერთო დომინანტური ფენიდან, მანამდე ფარულ ნიშანთა მქონე ჯიშების გამოყოფის ერთი დადასტურებაა საქართველოს ტერიტორიაზე მიუყვალდი დივერგენციის პროცესის არსებობისა, რომელმაც დასაბამი მისცა აქედან განსხვავებული ჯიშების (აბლაბუდისებრად შებუხული და შეუბუხსავოთლიანი) ჯგუფების რეცესიულ ნიშანთა ჰომოზიგოტების შემდგომ გამოცალკევებას. ამიტომ, ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის დაზუსტების მიზნით, პროფ. ა. ნეგრულის მიერ 1946 წელს გამოყოფილი ქართული ვაზის ჯიშების ჯგუფი *pr. pontica subproles Georgica*, ჩვენ დავყავით ორ ქვეჯგუფად:

1. *Convar. pontica subconvar. Georgica Negr. provar. tomentosae* Tserts. ჯიშები, რომლებსაც ახასიათებთ ძლიერად, ქეჩისებრად შებუხული ფოთოლი.

2. *Convar. pontica subconvar. Georgica Negr. provar. araneosae* Tserts. ჯიშები, რომლებსაც ახასიათებთ აბლაბუდისებრად შებუხული ფოთოლი.

ქართული ჯიშები, რომლებსაც ახასიათებთ შეუბუხსავი ფოთლები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის წარმომადგენლებია. მორფოლოგიური ნიშნებითა და ბიოლოგიური თვისებებით მიეკუთვნებიან პროფ. ა. ნეგრულის მიერ გამოყოფილ *pr. orientalis subpr. Caspica*-ს ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს. ისინი აბორიგენული ქართული ჯიშებია, წარმოშობილია ფორმათწარმოქმნის აღმოსავლეთ საქართველოს კერაში.

მათ წარმოშობაში მონაწილეობდა გარეული ვაზის ადგილობრივი, ნაკლებად შებუხულფოთლიანი ტიპი. მათ აბორიგენობაზე მიუთითებენ ისტორიული წყაროები, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ჯიშების ლოკალიზაციის ფაქტს ისტორიულ პერიოდში.

ეს ჯიშები შედარებით გვიან არიან წარმოშობილი. თეორიულად მათ გენეზისში შეიძლება დავეშვათ ადგილობრივი კულტურული, ქეჩისებრად და აბლაბუდისებრად შებუხულფოთლიანი ჯიშების მონაწილეობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის ჯიშები ხასიათდება როგორც დომინანტური (შებუხული ფოთოლი, მომრგვალო, შავი, წვნიანი მარცვალი), ისე დიდი რაოდენობით გამოვლენილი და ჰომო-

მოზიგოტურ მდგომარეობაში მოქცეული რეცესიული ნიშნებით, ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტი, ჯერ კიდევ ნ. ვაგილოვის მიერ შექმნილ გენცენტრების თეორიის მიხედვით, შეიძლება მიეკუთვნოს ვაზის მცენარეთა ფორმათწარმოქმნის მეორად ცენტრს, ხოლო აქ რეცესიულთან ერთად დიდი რაოდენობით დომინანტური ნიშნების არსებობა, მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ აქ შეიძლება და წასულიყო დომინანტური გენების ძირითადი ფენიდან რეცესიულ ნიშანთა დათბვის პირველადი პროცესი.

პრინციპში ასეთსავე აზრს იზიარებს პროფ. ა. ნეგრული²¹ აღმოსავლეთის ჯიშების წარმოშობის საკითხის განმარტების დროს. მისი აზრით, აღმოსავლეთის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან რეცესიულ ნიშანთა კომპლექსით, წარმოიშვნენ ვაზის გავრცელების არეალის პერიფერიაში, ხოლო საწყის მასალად გამოყენებული იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ძლიერად შებუხულ-ფოთლიანი და მრგვალმარცვლიანი კულტურული ვაზი *pr. pontica Negr*, აგრეთვე გარეული ვაზის სუსტად შებუხული ნაირსახეობა *V. silvestris Gm. abberans Negr*.

იზოლაციის პირობებში ყალიბდებოდა ფენოტიპში გამოვლენილი, ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში მოქცეული რეცესიული ნიშნების მატარებელი ფორმები. შეუბუხსავფოთლიანი, მსხვილი, ოვალურმარცვლიანი ჯიშების შემდგომ გავრცელებას ხელი შეუწყო ისლამის დამკვიდრებამ, რომელმაც აკრძალა ღვინის გამოყენება.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტში, დასავლეთ საქართველოს ვარიანტისაკენ გარდამავალ შუალედ ნიშანთა მთელი მრავალფეროვნების არსებობა იმის დამადასტურებელია, რომ ორივე ეს ვარიანტი ქართული ვაზის საერთო ამპელოგრაფიული ტიპის სახესხვაობაა.

აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტი, რომელიც ხასიათდება გამოვლენილი რეცესიული ნიშნებით, ჩვენი აზრით, ჩამოყალიბდა სივრცობრივი იზოლაციის შედეგად, დომინანტურ გენთა კონცენტრაციის არეალის პერიფერიაზე, ევოლუციის ფაქტორების: ცვალებადობის, მემკვიდრეობისა და გამორჩევის გავლენით, კულტურული ჯიშების გენეზისში გარეული ვაზის სახეშეცვლილი, სუსტად შებუხულფოთლიანი ფორმის მონაწილეობით.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მტკიცდება აგრეთვე ჩვენ მიერ

²¹ Ампелография СССР. М.: Пищепромиздат, 1946, т. I, с. 184—185.

ჩატარებული ქართული ვაზის ჯიშების გენეტიკური ანალიზის მასალებითაც. დამტკიცდა რომ თვითდამტვერვის დროს რეცესიული ნიშნებია: ახალგაზრდა ყლორტისა და ფოთლის სუსტი და საშუალო აბლაბუდისებრი შებუსვა, მარცვლის ოვალური ფორმა და თეთრი ფერი და ა. შ., ანუ ყველა ის ნიშანი, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს პოპულაციის გავრცელების არეალის საზღვარზე და სივრცობრივი იზოლაციის პირობებში.

აღმოსავლეთ საქართველოს შეუბუსავფოთლიან ჯიშებს უკავიათ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფის — *pr. orientalis subpr. Caspica* Negr. არეალის ყველაზე განაპირა, დასავლეთი ნაწილი და ერთდროულად მჭიდროდ უახლოვდება ძლიერად შებუსულფოთლიან და დომინანტურ ნიშანთა მატარებელი ჯიშების ჯგუფს — *pr. pontica subpr. Georgica*, Negr. ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს ვარიანტის ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის გამოვლენილი მჭიდრო კავშირები საფუძველს გვაძლევს დავუშვათ შეუბუსავფოთლიანი და მრგვალმარცვლიანი ჯიშების წარმოშობის ვერსია ამიერკავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში.

შემდგომში, არათანაბრად წარმართულმა ბუნებრივმა, მოგვიანებით კი ხელოვნურმა გამორჩევამ, განაპირობა აღნიშნულ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფში მრავალფეროვანი სორტიმენტის წარმოშობა.

ამრიგად, ჩვენი მუშაობის შედეგად, ყველა ქართული ვაზის ჯიში განაწილებულია სამ ჯგუფში:

I. Convar. *pontica subconvar. Georgica*, Negr. *provar tomentosae* Tserts (ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშები, გამოყოფილი გარეული ვაზიდან *V. vinifera subsp. silvestris* Gmel. და გაუმჯობესებული ხალხური სელექციის გზით).

ჯიშები: აბისტაყი, ავმილური, ათურქუყი, ალაბეური თეთრი, ალადასტური, აღმურა შავი, ამლახუ, ანდრეული ვარდისფერი, აპაპნიყი, აყაფში, აყყაფში, არგვეთულა საფერე, აწეიყი, აწისიყი, აწლიყი, აჩკიყი, აჭარული შავი, აშულაყი, ახარდანი, ბადაგი, ბაზალეთური, ბახვა, ბეწოურა, ბუზა, ბუტკო, გაბეხოურა შავი, გორული მწვანე, დიდმურა, დონდლაბი, დონდლაბი მწვანე, დონდლაბი შავი, დუდლუში, ევნაძის თეთრა, ვარდისფერი ყურძენი, ვერტყვიჭალის შავი, ზამთრის თეთრი, ზერდაგი, თავწითელა, თქვლაფა ქართლის, იყალთოს წითელი, იმერული შავი, ინგილოური, კაბის-

ტონი რგვალი, კამუტი თეთრი, კამუტი შავი, კაპისტონი თეთრი, კა-
 ჭიჭი, კახის თეთრი, კახის წითელი, კიბურა, კირწმაგარა, კირწითე-
 ლა, კოლოში, კოცხანა, კრახუნა, კრახუნა შავი, კუდურაული კუმსი
 თეთრი, კუმსი შავი, კუნდა, მალლარი თვრინა, მამუკას საფერე, მარ-
 გული საფერე, მაური თეთრი, მალლარი მსხვილმარცვალი, მარცხ-
 ტური, მახათური, მახვატელი, მეკრენჩხი, მირზაანული, მურადო-
 ული, მცვივანი კახური, მცვივანი რაჭული, მცვივანი მსხვილმარც-
 ვალა, მცვივანი წითელი, მწვანე ონიდან, მწკლარტა, ნაკუთენეული,
 ორონა, ოფოურა, ოხტოურა, ოჯალეში, პანეში, პაშანიკი, პუმპულა,
 რაჭული შავი, რკო თეთრი, რკო შავი, რცხილი, სამარხი, სამაჭრე,
 სამაჭრია, საფენა, საფერავი, საფერავი ატენის, საფერავი ბეჟაშვი-
 ლის, საფერავი ვაიო, საფერავი ფახხა, საფერე ოცხანური, საწურა-
 ვი, სეურა, სხილათუბანი, ტაგიძურა, ტკბილი ყურძენი, უბაკლური,
 ურიშულა, უწყვეტი, ქველოური, ქისტაურული საღვინე, ღარიბა წი-
 თელი, ღვანურა, ყვირა, შაბა, შავბარდა, შავთხილა, შავი ყურძენი,
 შავკაპიტო, შავციცქა, შონური, ჩერგვალი, ჩეში, ჩეჭიფეში, ჩიტის-
 თვალა აჭარული, ჩიტისთვალა ბოდბური, ჩიტისკვერცხა შავი, ჩხა-
 ვერი, ჩხიკოურა, ჩხუში, ჩხუჩეში, ციცქა, ციცქინა, ცოლიკოური,
 ცხენის ძუძუ აჭარული, ცხენის ძუძუ კახური, ძველი ალექსანდროუ-
 ლი, ძველშავი ობჩური, ძველშავი საჩხერის, ძიგანიძე, წითლანი,
 წირქვალის თეთრი, წმინდა თეთრი, წობენურა, წყობილა, ჭანკილო-
 ური, ჭეჭიბერა, ჭვიტილური, ჭოდი სალხინოსი, ჭუმუტა, ხარისთვა-
 ლა კოლხური, ხაფშირა, ხემხუ, ხიხვა, ხიხვი, ხოტეურა, ხროგი, ხუ-
 შია შავი.

II. *Convar. pontica* subconvar. *Georgica* Negr. provar. *araneosae* Tserts.


(აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ჯიშები, გამოყოფილი გარეული ვაზიდან — *V. vinifera* subsp. *silvestris* Gmel. აგრეთვე კულტურული ჯიშებიდან — *Convar. pontica* subconvar. *Georgica* Negr. provar. *tomentosae* Tserts).

ჯიშები: აბაციყი, ავასირხვა, აკაბილი, აკაბილიყი, ალექსანდროული, ამონთეყი, ანდრეული თხელკანა, აყემჩილი, აყხვატა, ალბიყი, ასპინძურა შავი, ახმეტის წითელი, ბათომურა, ბეგლარის ყურძენი, ბლაბურხვა, ბროლა, ბუდეშური თეთრი, ბუდეშური წითელი, ბუერა, გაბაშა, გაბეხოურა თეთრი, გომის თეთრი, გრძელმტევანა, დიდშავი, ვერტყვიჭალის თეთრი, ზაქათლის თეთრი, ზაქათლის წითელი, თავქარა, თავკვერი დიდმარცვალი, თავკვერი პატალაანთეუ-

ლი, თავკვერი საფერავისებრი, თეთრა, თვალდამწვრისგული, თითა
ნამდვილი, კაპისტონი წიწილიანი, კუმსი ყვითელი, კუპრაშვილისე-
ული, კურკენა, ლაბილაძის თეთრა, ლაკოიაყი, მარტანდისეული, მწვანე
გრძელი, ნოშრიო, ობჩის წითელი, ორბელური, ჟღია, რქაწითელი,
საკმეველა, ფერუანი, ქისი, ქიშური, ქორქაულა, ღვინის წითელი,
ღრუბელა კახური, ყვითელი მხარგრძელი, შემოდგომის შავი, ჩიტის-
თვალა თეთრი, ცხვედიანის თეთრა, ძაღლიარქამა, წვრიმალა, წითე-
ლი რაჭული, წითელი ყურძენი, წითელოური, წულუკიძის თეთრა,
ჭოდი, ჭუბულო, ჭყაპა, ხარისთვალა ქართლის, ხოფაფური, ხუპი-
შიყი, ხუშია თეთრი, ჯანი, ჯაჭვადისეული, ჯვარი, ჯიწეში.

III. *Convar. orientalis subconvar. Caspica* Negr. (შუბუ-
საფოთლიანი ჯიშები, გამოყოფილი გარეული ვაზის ქვესახეობი-
დან — *V. vinifera subsp. silvestris* Gmel. *abberans* Negr.
აგრეთვე კულტურული ჯიშებიდან — *Convar. Pontica subconvar.*
Georgica Negr. *provar. tomentosae* Tserts. და *convar. Pontica*
subconvar. Georgica Negr. *provar. araneosae* Tserts.).

ჯიშები: აკომშტალი, აღმურა თეთრი, ანანურა, არაბეული შა-
ვი, ასურეთული შავი, აძნიყი, ახალციხური თეთრი, ბზვანურა, გო-
რულა, დანახარული, ენდელაძისეული, ვაზისუბნის წითელი, ვარ-
დისფერა, თავკვერი, თავკვერი თეთრი, თამარის ყურძენი, თითა ქარ-
თლის, თითა რბილი, კაპიტა, კახური თეთრი, კლარჯული, მელიკუდა
ქართლის, მესხური შავი, მესხური მწვანე, მსხვილთვალა თეთრი, ნა-
ცარა, ოქროულა, პირღებული თეთრი, ჟღია საგვიანო, სიმონასეუ-
ლი, სირგულა, ტკბილი ყურძენი, ტყის ყურძენი, ტყუპკვირტა, უსა-
ხელოური, ფართალა შავი, ფაჩხატა, ფითრა, ფორთოკა, ქაქუთურა,
ღვინის თეთრი, ღრუბელა ქართლის, ყორნისთვალა, შემოდგომის
თეთრი, ჩინური, ძირაგეულის შავი, წვინდირხვა, წითელი ვაზი, წნო-
რის თეთრი, ჭროლა კახური, ჭროლა ქართლის, ხარისთვალა თეთრი,
ხარისთვალა მესხური, ხარისთვალა შავი.



დასავლეთი
საქართველო

აღმოსავლეთი
საქართველო

●
convar. pontica subconvar. Georgica Negr.
provar. tomentosae Tserts.

(ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ქართული
ვაზის ჯიშები.).

◐
convar. pontica subconvar. Georgica Negr.
provar. araneosae Tserts.

(აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ქართული
ვაზის ჯიშები.).

○
convar. orientalis subconvar. Caspica Negr.
(შეუბუსავფოთლიანი ქართული ვაზის ჯიშები.).



V. vinifera subsp. *silvestris* Gmel.

(გარეული ვაზი)
მცირე აზია, კავკასია



Convar. *pontica* subconvar. *Georgica* Negr. provar. *tomentosae* Tserts.

(ქეჩისებრად შებუსულფოთლიანი ქართული ვაზის ჯიშები)



Convar. *pontica* subconvar. *Georgica* Negr. provar. *araneosae* Tserts.
(აბლაბუდისებრად შებუსულფოთლიანი ქართული ვაზის ჯიშები)

V. vinifera subsp. *silvestris* Gmel. *abberans* Negr.



Convar. *orientalis* subconvar. *caspiaca* Negr.

(შეუბუსავფოთლიანი ქართული ვაზის ჯიშები)



შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის ჩატარების მიზნები და ამოცანები	3
ქართული ვაზის ჯიშების ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები . . .	8
ქართული ვაზის ჯიშების ცალკეული ჯგუფების ძირითადი ნიშან-თვისებები	12
ქართული ვაზის ჯიშების ძირითადი ნიშან-თვისებების ცვალებადობა და შემკვიდრება	18
ქართული ვაზის ჯიშების ბოტანიკური ნიშნების მოდიფიკაციური ცვალებადობა	18
ქართული ვაზის ჯიშების ბიოლოგიური თვისებების მოდიფიკაციური ცვალებადობა	19
ქართულ ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია	23

რედაქტორი ა. არბელიძე
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ვეშაიძე
კორექტორი შ. ხუტაშვილი
გამომშვები დ. იამანიძე

ს. ბ. 6074

გადაეცა წარმოებას 06.04.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.07.89. უე 01938. სა-
ბეჭდო ქალაქი № 2. 60×84¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 5,58. პირ.-სალ.-გატ. 5,81. საალრ.-საგამომც. თაბახი. 4,84.
ტირაჟი 2,000 უეკვ. № 761

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.



საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა, უშ. ჩხეიძის ქ. № 8.
Тбилисская типография № 12 Государственного
комитета Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли,
Ул. Уш. Чхеидзе № 8,

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა, უშ. ჩხეიძის ქ. № 8.
Тбилисская типография № 12 Государственного
комитета Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли,
Ул. Уш. Чхеидзе № 8,



Церцвадзе Нугзар Васильевич
КЛАССИФИКАЦИЯ КУЛЬТУРНОГО
ВИНОГРАДА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1989

27/10



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა